

ქლიერეპაო ჯვარო ვაჟისაო,
ღაგვიცეჲს და ღაგვიფარეჲ ჩვეს.




ჯვარი ვაჟისა

3

საქართველოს საკატორიარქო

1992



აცხოვნე უფალო, ერი შენი, და
აკურთხე სამკვიდრებელი შენი.
კლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზე-
და ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა
მოანიჭე და საფარველსა ქვეშე
მისსა დაიცევ, რათა ვიტყო-
დეთ-უფალო, დიდება შენდა.
ამინ!



ჩვენთანა არს ღმერთი!

ჯვარი ვაჭისა

ს რ უ ლ ი ა ღ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ჯ ა ტ რ ი ა რ ძ ო

3

1992

შ ი ნ ა ა რ ს ი

ღვთისმეტყველება

ვაისაკოვოსი ეგნატე (ბრინანანინოვი). ცხოვების შესახებ 3
მამა ბიორბი (სხირტლაძე). დემონოლოგიის საკითხები

მართლმადიდებლურ სწავლებაში 11

ეკლესია და ოჯახი

ალიზარდენ შვილნი ჩვენნი „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა“ 18

ელგუჯა ხინთიბიძე. კაპადოკიელ წმინდა მამათა სადაურობისათვის 24

მადლმოსილი ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე 41

ღავით ვაისაკოვოსი. მწუხრის განმარტება 46

არქიმანდრიტი რაფაელი. ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“ 57

მჟთიფა კოჭლამაზაშვილი. ქორეპისკოპოსი თუ ქორიკოზი? 62

ანტონი მთაფინდელი. XIX საუკუნის ათონელი მამები 70

დაიბეჭდა
უფიდეუსისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის
ღვაწლითა და ღოცვა-კურთხევით



სრულიად საქართველოს საპატრიარქო
უშრნალი

ჯვარი ვაზისა

3.1992

საგამომცემლო განყოფილების
თავმჯდომარე
და რედაქტორი
მღვდელი ლავრენტი
კუზიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ბრიგოლ გულია

გარეკანის მხატვარი
დავით მორგოშია

რედაქციის მისამართი:

სრულიად საქართველოს საპატრიარქო
თბილისი

ერეკლეს მოედანი 1
ტელ 98-26-34

JVARI VAZISA
(The Cross of Vine)
Georgian Patriarchate
Tbilisi 1, Erekle's square
T. 98-26-34

ДЖВАРИ ВАЗИСА
(Крест из лозы виноградной)
Грузинская Патриархия
Тбилиси, пл. Ираклия 1
Т. 98-26-34

შეკვეთა 1934

გადაეცა წარმოებას 10.6.92

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.10.92

ქაღალდის ზომა 60x84 1/8

პირობითი ნაბეჭდი თაბანი 10

ტირაჟი 5 000

ურნალი დასაბეჭდად მომზადდა
გამომცემლობა „მარიხში“
თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14

დაიბეჭდა
გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში
თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14

ცხოვნიების შესახებ

საყვარელო ძმანო! მოწყალე უფალმა მე უღირსი თქვენს მოძღვრად დამადგინა. მან ღირსმყო, თქვინი მწყემსი გავმხდარიყავი, თქვინი ლოცვისათვის ჩემი უბადრუკი ლოცვაც შემემატებინა და ბოლოს, მესაუბრა კიდევ თქვენთან. რაზე ვისაუბროთ ძმანო? - ვისაუბროთ ცხოვრებაზე.

ჩვენ ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ. იმდენ ხანს ვიარსებებთ ამქვეყნად, რამდენიც უფალმა დაგვიდგინა, მერე კი ყოველი ჩვენგანი უეჭველად მოკვდება. სიკვდილი ჩვენ ყველაფერს წაგვართმევს - სახლებს, ბაღებსა და ყანებს, მთელ ქონებას და ბოლოს, თვით სხეულსაც კი. მხოლოდ სული, თავისი ნამოღვაწარით, ავიტ თუ კარგით, მარადისობას შეერწყმება, ან მუდამ ნეტარებასა და განცხრომაში იქნება იქ, ან მუდმივ ტანჯვაში, ტირილსა და გოდებაში. ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვცხოვრდეთ, რა მოვიმოქმედოთ, რომ სათნოვევით უფალს, ჯოჯონეთი ავიცილოთ და სასუფეველი დავიმკვიდროთ.

ძმებო! გულდასმით მომისმინეთ, რომ კარგად გაიგოთ და დაიხსომოთ ჩემი სიტყვები. რადგანაც თქვენთან გასაუბრების საშუალება ხშირად არ მეძლევა, გადავწყვიტე, ახლა ასე დაგმოდღვროთ: „უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნე და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა“ (ფს. 50,15).



ვისაც ცხოვნება სწავლია, იგი წმიდა მართლმადიდებლური ეკლესიის გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს. მისი ერთგული შვილი იყოს და ყველაფერში მას ემორჩილებოდეს. თუ ვინმე ეკლესიას არ ემორჩილება, განუდგა მას და განხეთქილების მოქმედი, რამდენიც არ უნდა მოუდრიკოს თავი უფალს, იმარხულოს ან ილოცოს, ის ვერ ცხოვნდება. ვინც ეკლესიას არ ემორჩილება, უფალმა ისინი კერბთაყვანისმცემლებს შეადარა. მან ბრძანა: „ხოლო უკუეთუ კრებულისაცა არა ისმინოს, იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი“ (მათე, 18, 17). გავიხსენოთ ძველი აღთქმიდან: საულმა თვითნებურად შესწირა მსხვერპლი, რითაც უფლის მცნება დაარღვია. წინასწარმეტყველმა სამუელმა ასე მიმართა საულს: „ცუდად იყო მსხვერპლი ეგე შენი, რამეთუ არა დაიცვენ მცნებანი ჩემნი, რომელნი მამცნო უფალმა“ (1 მეფეთა 13, 13), „არა უხმან უფალსა საკუერთხნი მსხვერპლად, არამედ აღსრულებად ბრძანება უფლისა? რამეთუ ფრიად უმჯობეს არს მსხვერპლთა დამორჩილება და სმენად ბრძანება, უფლისა უფროს ცმელისა ვერძთასა, რამეთუ ზმნა ზმნათა ცოდვა არს, და განრისხებაჲ ცუდადი უსჯულოება არს და ფუფუნებაჲმან სენი და საღმობანი შეიძინიან“ (1 მეფეთა. 15, 22-23) ახალი აღთქმის მიხედვით, ქრისტეს საყვარელმა მოწაფემ დაგვიდასტურა, რომ უფალი მხოლოდ მაშინ შეისმენს ჩვენს ლოცვას, თუ იგი მისივე განგებით აღავლინეს (იოანე 5, 4). ვინც თავისი ქცევით უფალს ეწინააღმდეგება, მათ ლოცვებს ღმერთი არ შეისმენს და დაგმობს. ეშმაკის მსგავსად, მწვალებლებისა და ერეტიკოსებისათვის უცხოა სიმდაბლე, ამიტომაც ისინი ვერ ცხოვნდებიან. ერთხელ, ღირსს მაკარს ეშმაკი გამოეცხადა და უთხრა: „მაკარ, შენ ბევრს მარხულობ, მე კი სრულებით არ ვჭამ. შენ ცოტა გძინავს, მე საერთოდ არ ვიძინებ. მხოლოდ შენი სიმდაბლით მჯობნი მე“. მწვალებლები ხანგრძლივად მარხულობენ, ღამეებს ლოცვაში ატარებენ, ურიცხვ

მეტანიებსაც აღასრულებენ, მაგრამ ამაოდ! ტყუილად ირჯებიან, რადგანაც მათ არ სურთ დამორჩილება, თვინიერ მორჩილებისა კი შეუძლებელია ქრისტეს მოწაფე გახდეს. უფალმა ბრძანა: „აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბლად გულითა; და ჰპოოთ განსუენება სულთა თქუენთა“ (მათე, 11, 29). წმიდა იოანე კიბისაღმწერელმა ბრძანა, რომ ჭეშმარიტი სიმდაბლე მორჩილებიდან მომდინარეობს. ასევე, უფლის სიმდაბლე იმით გაცხადდა, რომ მან „დაიმდაბლა თავი თვისი და იქმნა იგი მორჩილ ვიდრე და სიკუდილითა მის ჯუარისაჲთა“ (ფილიპ. 2, 8). თუ არა ხარ ეკლესიის მორჩილი, ვერ ცხოვნდები: „მოწყალე არს უფალი და მართალ და ღმერთი ჩუენი მწყალობელი“ (თს. 114, 5). მწვალებლობა, სხვა სიავესთან ერთად, სული წმიდის გმობასაც შეიცავს, ეს კი მომაკვდინებელი ცოდვაა, რომელსაც ღმერთი არ აპატიებს არც ამქვეყნად და არც მარადისობაში. იოანე ოქროპირმა გვამცნო, რომ თვით მოწამებრივი სისხლიც კი ვერ განწმენდს მათ ამ ცოდვისაგან. ამ მომაკვდინებელი ცოდვიდან მხოლოდ მაშინ გამოვა ადამიანი, თუ უარყოფს ერესს, თავს დაანებებს მწვალებლობას და წმიდა ეკლესიას შეუერთდება.

ვინც სულის ცხოვნებისათვის ზრუნავს, მან ზმირად უნდა ილოცოს, თუნდაც ცოტ-ცოტა ხნით. სადავ დღეებში შინ ასე ილოცეთ: დილით, გაღვიძებისთანავე და საღამოს, როცა დაძინებას განიზრახავთ, სადილისა და ვახშმის წინ. საუზმედ და ვახშმად ისე არ დასხდეთ, ჯერ ღმერთი რომ არ ახსენოთ. დღესასწაულების დროს და კვირაობით ეკლესიაში უნდა დაესწროთ საეკლესიო მსახურებას: მწუხრს, ღამისთევის ლოცვას, ცისკარსა და საღმრთო ლიტურგიას.

ცოდვილისათვის დიდი ბედნიერებაა, რომ მას ტაძარში ყოფნის უფლება აქვს. მას შეუძლია უფალს ცოდვათა მონანიება შეევედროს და შემდეგ სულის ცხოვნება შესთხოვოს. დავითი სახელოვანი და მდიდარი მეფე იყო, გარდა ამისა, იგი წინასწარ-

მეტყველიც გახლდათ, მაგრამ უფალს მხოლოდ ამასღა შესთხოვდა: „ერთი ვითხოვე უფლისაგან, ესევე ვითხოვო: დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, ხილვად ჩემდა შუენიერება უფლისა და მოხილვად ტაძარი მისი“ (ფს. 26, 4). დავითის აზრით, ტაძრად სიარული იყო უდიდესი წყალობა, რომელიც უფალმა მისთვის გაიღო: „უფალო, მიძელე მე სიძარტლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის წარჰმართე შენ წინაშე გზა ჩემი“ (ფს. 5,8). საერთოდ კი, ლოცვა უდიდესი სათნოებაა, რომლის მეოხებითაც ადამიანი ღმერთს უკავშირდება. წმიდა მამები ლოცვას სათნოების დედას უწოდებენ, რადგანაც ლოცვით შეგვიძლია მოწყალე უფალს სხვა დანარჩენი სათნოებანი გამოვთხოვოთ, როგორც წარმავალნი, ასევე მარადიულნიც. აკი თავად უფალმა ბრძანა: „ეძიებდით და ჰპოვოთ, ირეკდით და განგელოს თქვენ“ (მათე: 7, 7). უფალმა განგვიმარტა რა ლოცვის არსი, ისიც აღგვიტქვა, რომ ჩვენს ლოცვებს შეისმენდა, „რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს - მოიღოს, და რომელი ეძიებდეს - პოვოს. და რომელი ირეკდეს - განგელოს... მამამან თქუენმან ზეცათამან მოსცეს კეთილი რომელი სთხოვდენ მას“ (მათე: 7,7-8-11). ლოცვა რწმენით უნდა აღვავლინოთ. რაც სხეულია სულისათვის, იგივეა რწმენა ლოცვისათვის, როგორც სხეული არ ვარგა უსულოდ, ასევე ლოცვაც, თვინიერ რწმენისა, ფუჭია, მას არავითარი ძალა არ შესწევს. სახლი საძირკვლის გარეშე არ აშენდება, ის უეჭველად დაიქცევა. ასევეა ლოცვაც. ლოცვის დროს მშვიდნი თუ არ ვიქნით, იგი ღმერთამდე არ მიაღწევს. ამას სიბნელეში დაინთქმება და განქარდება. უფალმა ბძანა: „ყოველსა, რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ მოიღოთ, და გეყოს თქუენ და რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა, მიუტყვეთ, უკეთუ გაქუნდეს რამე ბოროტი ვისთვისმე, რაჟთა მამამანცა თქუენმან, რომელ არს ცათა შინა, მოგიტყვენს შეცოდებანი თქუენნი“ (მარკოზ

11,24-2). ლოცვის დროს ჩვენზე არა მარტო გადმოდის უფლის მაღლი და კურთხევა, არამედ ის გვიცავს ჩვენ ბოროტის მოხდომისაგან. ლოცვამ გამოიყვანა იონა წინასწარმეტყველი ვეშაპის მუცლიდან, იხსნა მეფე ეზეკიელი გარდაუვალი სიკვდილისაგან. უფალმა ბრძანა: „ილოცევდით, რათა არა შეზვიდეთ განსაცდელსა“ (ლუკა 22, 40), ხოლო ლოცვასა შინა მცონარე მრავალ ხიფათსა და უბედურებას გადაეყრება და შესაძლებელია, ვერც კი ცხოვნდეს.

ვინც სულის ცხოვნებაზე ფიქრობს, მან უნდა გაიღოს როგორც სულიერი, ასევე ხორციელი მოწყალეობა. სულიერი მოწყალეობის გაღებაა, როცა მოყვასს ყველა ცოდვას და შეურაცხყოფას მიუტყვებთ. ხორციელი მოწყალეობა კი იმით გამოიხატება, რომ მოყვასს პურს გაუყოფთ, შესამოსელსა და ფულს უბოძებთ, სახლში შეიფარებთ. როგორც უფალმა ბრძანა: “ნეტარ იყვენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (მათე, 5,7), ე.ი. ისინი ცხოვნდებიან. ხოლო უწყალო სამსჯავრო ელით მათ, ვინც მოწყალენი არ არიან, ე.ი. ისინი ვერ ცხოვნდებიან. ვისაც ცხოვნება სურს, უნდა მოინანიოს თავისი ცოდვები როგორც ყოველდღიური ლოცვების დროს, ასევე სულიერ მოძღვართან აღსარებისას. ღვთივგანბრძნობილი წინასწარმეტყველი გვაუწყებს: „ცოდვა ჩემი გაუწყო შენ და უშჯულოება ჩემი არა დაგფარო შენგან ვთქუ: უთხრა ბრალი ჩემი უფალსა, და შენ მომიტყევე ყოველი უშჯულოება ცოდვისა ჩემისა“ (ფს. 31,5). ჩაუკვირდით სული წმინდის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა თანმიმდევრობას: თავდაპირველად ადამიანი შეიცნობს თავის ცოდვებს. ამას იგი საკუთარი თავის შესწავლით მიაღწევს, შემდეგ იგი უარს ამბობს საკუთარი თავის მართლებაზე, რომლის დროსაც მისი ცბიერი სინდისი ყველანაირად ცდილობს თავისი ცოდვების გამართლებას, და ბოლოს, მონანული ადამიანი თავისსავე თავს ამტყუნებს და ყველა თავის ცოდვას აღიარებს ღმერთის წინაშე მოძღვრის თანდასწრებით და არად

მიიჩნევს თავმოყვარეობის შელახვას. აი, მაშინ იგი მიიღებს შენდობას უფლისაგან. მოციქულმა გვაუწყა: „უკეთუ აღვიარეთ ცოდვანი ჩუენნი, სარწმუნო არს და მართალ, რათა მოვეიტყვენეს ჩუენ ცოდუანი ჩუენნი, და განწმინდნეს ჩუენ ყოვლისაგან სიცრუისა. და უკეთუ ვინმემ სცოდოს, ნუგეშინის-მცემელი გვივის მამისა მიმართ, ქრისტე იესო მართალი, და იგი არს მომტკეველები ცოდუათა ჩუენთა, და არა ხოლო ცოდუა ჩუენთა, არამედ ყოვლისა სოფლისა“ (იოანე, 1,9: 2,1-2). ჩვენ გვყავს ყოვლისშემძლე შუამავალი უფალან - იესო ქრისტე! ცოდვებისაგან სწორედ იესო ქრისტეს მეოხებით განვიწმინდებით. მოვინანიებთ რა ჩვენს ცოდვებს აღსარებისა და განწმინდის მეშვეობით, მოგვეცემა საწინდარი ჩვენი სულის ცხონებისა. სულიერ მოძღვართან აღსარებით განწმინდისას უნდა გვქონდეს ღვთის შიში, რწმენითა და სიყვარულით უნდა ვეზიაროთ ქრისტეს წმიდათაწმიდა ხორცსა და სისხლს. უფალმა ბრძანა: „ამინ, ამინ გეტყვით თქვენ: უკეთუ არა სჭამოთ ხორცი მისა კაცისა და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუენთა“ (იოანე 6,53-54). კაცი წელიწადში ოთხჯერ მაინც უნდა ეზიაროს მარხვების დროს. თუ ამქვეყნიური საზრუ-ნავი ოთხჯერ ზიარების საშუალებას არ გაძლევთ, წელიწადში ერთხელ მაინც უეჭველად უნდა ეზიაროთ.

კაცს თუ ცხოვნება უნდა, ამქვეყნად მისი ხანმოკლე არსებობის მანძილზე სულგრძელად უნდა გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს. შეიძლება მოუსავლიანობა იყოს, მოწვეული ყანა მკალმა გაანადგუროს, ან დასეტყვოს, შეიძლება, საქონელი გაგვიწყდეს, ან ახლობელი ავად გაგვიხდეს და მიიცვალოს კიდევ. ზოგჯერ ძლიერნი ამა სოფლისანი გვაგვიწროვებენ, - ყველაფერი ეს სულგრძელად და უსიტყვოდ უნდა დავითმინოთ, არამც და არამც არ უნდა დავგმოთ უფალი. უფალმა გვაინდერძა ჩვენ: „მოთმინებითა თქვენითა მოიპოვნეთ სულნი თქვენნი“ (ლუკა 21,19), ხოლო რომელმან დაითმინოს

სრულიად, იგი ცხოვნდეს“ (მათე. 24,13). ეს ნიშნავს, რომ ცხოვნდება არა ის, რომელიც ერთ რომელიმე გასაჭირს მოთმინებით გადაიტანს, ხოლო დანარჩენს დრტვინვითა და მწუხარებით შეეგებება, არამედ ის, ვინც ამქვეყნად არსებობის მანძილზე ყველანაირ მწუხარებასა და ბოროტის მოხდომას სულგრძელად აიტანს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მწუხარების სულგრძელებით დათმენა არის ცოდვების რეალური აღიარება, იგი ცოცხალი, ჭეშმარიტი რწმენაა მაცხოვრისა. ამ გზით ჩვენ უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტეს გზას შევუდგებით! პეტრე მოციქული ამბობს: „და იჩინენითცა მეზრ ამისთვისმე, რამეთუ ქრისტემანცა ივნო ჩუენთვის და თქუენ დაგიტევა ხელთ წერილი, რათა შეუდგეთ კუალთა მისთა“ (1 პეტრე 2,21). არანაირი თავგანწირვა, არანაირი თვითგვემა არ მოუტანს სულს ისეთ სარგებელს, რასაც მიიღებს იგი უფლისგანვე მოვლენილი განსაცდელისაგან. თავგანწირვის დროს ჩვენს თავზე, მეტნაკლებად დიდი წარმოდგენა გვექმნება და პატივმოყვარენი ვხდებით. მაგრამ ის თავგანწირვა, რაც უფალს სწადია და რომლის დროსაც სული მწუხარებით მალდდება, დაცულია ზემოთ ჩამოთვლილი მომაკვიდნებელი ვნებებისაგან. ამგვარი თავგანწირვა სულს უხვ სიმშვიდეს ჰმატებს და მას ჭეშმარიტ მონანიების საშუალებას აძლევს. უფლისგან მოვლენილი განსაცდელი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ადამიანი უფლის რჩეულია: „მე რომელნიცა მიყუარდენ, გამხილებ და ვასწავებ“ (გამოცხადება, 3,19). ამ მიზეზით, მწუხარუთა და ტანჯულთ მოციქული ასე არიგებს: „შვილო ჩემო, ნუ სულმოკლე იქნები სწავლასა უფლისა, ნუცალა დაჰხსნდები მის მიერ მხილებასა! რამეთუ რომელი უყუარს უფალსა, სწავლის; და ტანჯვის ყოველი შვილი, რომელი შეიწყნარის, უკეთუ სწავლასა დაუთმოთ, ვითარცა შვილთა შეგიწყნარებს თქუენ ღმერთი“ (ებრ. 12,5-7). აი, ასეთია ამქვეყნიურ ჭირთა თმენის ღირსება, თუ მას სათნოებით დავითმენთ! იგი უფლისგანაა

ნაბოძები და ნიშანია იმისა, რომ ღვთის შვილი ვართ. ამ ქვეყნად ჭირთა თმენა სათნოებითა და მოთმინებით რომ შეეძლოთ, საჭიროა მას ავაზაკის ამ სიტყვებით შევეგებოთ: „მომიხსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა“ (ლუკა. 23,24). ურიგო არ იქნებოდა, მრავალტანჯული იობის სიტყვებიც გაგვეხსენებინა: „უკეთუ კეთილი იგი მოვიღეთ ხელისაგან უფლისა, ბოროტი ესე ვერ მოვითმინოთა? უფალმანცა მომცა, უფალ-მანცა მიმიღო, ვითარცა უნდა, ეგრეცა ქმნა, იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ“ (იობ 2.10; 1.21). ყველა წმიდანმა სასუფეველი ჭირთა თმენითა და სიკვდილით დაიმკვიდრა. ყველა წმიდანი აღიდებდა და ჰმადლობდა უფალს განცდისა მწუხარების ჟამს. ამით ისინი განიწმიდნენ და მოემზადნენ სამუდამო ნეტარებისათვის ქურაში გამობრძმედილი ოქროს მსგავსად. სათნოებით ჭირთა თმენა სწკუთარი ჯვრის ტვირთვაა. ჯვარცმული ცად ამაღლდება, რათა სამუდამო მიეცეს.

ვინც სულის ცხოვნებისათვის ზრუნავს, მან უთუოდ უნდა იკითხოვს წმიდა წერილი: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვითასა არა დადგა და საჯდომელსა უშჯულოთასა არა დაჯდა. არამედ შჯულსა უფლისასა არს ნებაჲ მისი და შჯულსა მისსა ზრახვენ იგი დღე და ღამე“ (ფს. 1,1-2). ჩვენ სულის ცხოვნება კი გვწადია, მაგრამ ცოდვით დაბნელებულ ჩვენს გონებას არ ძალუძს ამის განხორციელება, რადგანაც ჩვენი აზრები მერყევი, უძლური და მაცდურია. საღვთო წერილის გულდასმით კითხვისას ჩვენ შევიცნობთ უფლის ზრახვას. ამიტომ ზედმიწევნით უნდა შევისწავლოთ საღვთო წერილი, რომ იგი დაგვეხმაროს სულის ცხოვნებაში. ჩვენი გონება კი ხშირად გვაცდუნებს და კარგს ავად მოგვაჩვენებს ხოლმე. იგი (გონება) ისეა დამძინებული ცოდვებისაგან, რომ ხშირად ეწინააღმდეგება კიდევაც უფლის სიტყვას. საშინელება მოხდებოდა, მარტო მის ანაბრად რომ

დავრჩენილიყავით. ღვთის მაღლი გადმოდის მასზე, ვინც ბრმად ენდო უფლის სიტყვებს. წმიდა მამები უფლის სიტყვების კითხვასა და მოსმენას სათნოების საფუძველს უწოდებდნენ, იგი მიგვითითებს ჩვენს ცოდვილ ვნებებზე, რომლებიც ჩვენსავე შერყენილ არსებაში სუფევს, გამოააშკარავებს მათ ყოველგვარ ხრიკებს, ამხელს მათ სიბოროტეს, თუმცა-და ჩვენს საცდუნებლად მათ ხშირად სიკეთის ნილაბი აქვთ აფარებული. სიტყვანი უფლისანი ამხელენ ეშმაკის მზაკრობას, გვმოძღვრებენ, თუ როგორ უნდა უკუვადლოთ ეს ცბიერი მტერი, რომელსაც ჩვენი წარწყმედა სურს. უფლის სიტყვა განუწყვეტლივ მოგვიწოდებს მონანიებისაკენ, გვამცნობს უფლის უსასრული მოწყალებას, რომელიც მან ცოდვით დაცემული და ტანჯული კაცობრიობისათვის გაიღო. იგი გვასწავლის, თუ როგორ უნდა მოვიწინიოთ ჩვენი ცოდვები ჭეშმარიტად და მიგვანიშნებს ამა სოფლის ცვალებადობასა და ამაოებაზე. სიტყვანი უფლისანი თვალწინ გადაგვიშლიან მარადისობას, სადაც ადამიანი ჯილდოვდება ღვთისმოსაებრივი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის და ისჯება უკანონობისათვის. ისინი ზედმიწევნით გვასწავლიან, თუ როგორ მოვიპოვოთ მაღლი ღვთისა და სათნო ვეფოთ მას. მოკლედ რომ მოვჭრათ, სიტყვანი უფლისანი გვასწავლიან, თუ როგორ უნდა ვცხოვრდეთ.

ვინც მართლმადიდებელი ეკლესიის ჭეშმარიტი შვილია, ვინც ყოველდღიურად, უკეთეს შემთხვევაში, ყოველ წუთს მოიხსენებს უფალს და მოწყალებასა და შევლას ითხოვს მისგან, ვინც კვირაობით გულმოდგინედ დადის ტაძარში, შინ კი დილა-საღამოს ლოცულობს, ვინც მოწყალებას გაიღებს, ვინც თავის ცოდვებს ინანიებს და ქრისტეს წმინდა საიდუმლოს ეხიარება, ვინც სულგრძელად აიტანს ღვთისგან მოვლენილ უბედურებას, ვინც გულდასმით სწავლობს უფლის სიტყვებს, — მას გააჩნია უძვირფასესი საწინდარი ცხოვნებისათვის. მან, ამავე დროს, უნდა იღვაწოს, — თავი

დაიცვას ცოდვისაგან, განსაკუთრებით — მომაკვდინებელი ცოდვებისაგან.

რა არის მომაკვდინებელი ცოდვა? მომაკვდინებელია ცოდვა, როცა ის სამუდამოდ კლავს ადამიანის სულს. თუ ასეთი ცოდვა კაცმა სათანადოდ არ მოინანია და ცოდვილი გარდაიცვალა, მაშინ დემონი მლიტაცებს მის სულს და ჩაიყვანს ქვესკნელად, ბნელსა და სულისშემზოველ უფსკრულში, ჯოჯოხეთში, სამუდამო ტანჯვისათვის. მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება: ერესი, მწვალებლობა, ქრისტეს რჯულისაგან განდგომა, ღვთის გმობა, გრძნეულობა და ჯადოქრობა, კაცთა კვლა და თვითმკვლელობა, სიძვა და მრუშობა, ლოთობა, მკრეხელობა, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა და ყველანაირი დაუნდობარი და არაადამიანური შეურაცხყოფა. ამ მომაკვდინებელ ცოდვათაგან მხოლოდ თვითმკვლელობის მონანიებაა შეუძლებელი. ღვთის წყალობით, დანარჩენ ცოდვათა მონანიება შესაძლებელია. ცოდვათა მონანიება კი იმაში მდგომარეობს, რომ აღსარება ვუთხრათ სულთერ მოძღვარს, მივიღოთ მისგან ეპიტიმია და იგივე ცოდვა აღარ დავიდოთ. თუმცა ძალიან ბევრმა ცოდვილმა ვერ შესძლო ცოდვათა მონანიება. ზოგი ღვინოს მიეძალა და ამით მისი სული სხეულს დაშორდა, ზოგმა ძარცვა-გლეჯას მიჰყო ხელი და უფლის რისხვა არ ასცდა. მოერიდეთ, ძმებო, მომაკვდინებელ ცოდვებს! კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, მომაკვდინებელი ცოდვა სულს ღუპავს. თუ ვინმე ისე მიიცვალა, რომ ვერ მოასწრო ცოდვათა მონანიება, მისი სული ჯოჯოხეთში მოხვდება, მას ცხონების იმედიც კი აღარ უნდა გააჩნდეს.

რა არის არამომაკვდინებელი ცოდვა? ეს ისეთი ცოდვებია, როცა კაცი სცოდავს გონებით, სიტყვით და საქმით, ნებით თუ უნებლიეთ. ასეთი ცოდვები კი არ კლავენ სულს, არამედ დაღაზვრავენ მას მეტნაკლებად. ასეთი ცოდვები თვით წმიდანთათვისაც არ არის უცხო. მაგრამ ისინი

მუდამყამს ფხიზლობენ და იგრძნობენ რა, რომ შესცოდეს ადამიანური უძლეულებისა გამო, მაშინვე ინანიებენ მათ. თუ ადამიანის სული ცოდვების მოუნანიებლად გაეყრება სხეულს, არამომაკვდინებელი ცოდვებით მისი სული ჯოჯოხეთში მაინც არ მოხვდება. ცად მიმავალი სული ათას ხიფათს გადაეყრება ბოროტისაგან, რომლის გამოც ჩაიღინა მან ეს ადამიანური ცოდვები. მაგრამ სულს ეძლევა საშუალება მათგან განწმენდისა ამქვეყნად ჩადენილ კეთილ საქმეთა მეოხებით. თუ სულს საკმარის ბევრი სიკეთე დაუთესია ამქვეყნად, განსაკუთრებით კი დიდი მოწყალება გაუღია, ამით იგი გამოისყიდის თავის ცოდვებს. მისთვის გახსნილია სასუფევლის კარი, იგი ცად ამალდება და სამუდამოდ განისვენებს იქ. ხშირია შემთხვევები, როცა სული საოცრად დამძიმებულია არამომაკვდინებელი ცოდვებისაგან, ღვთის მადლი კი მასზე სულ ცოტათი გადმოსული. ასეთი სული ჯოჯოხეთში ხვდება. წმინდა მამებმა მომაკვდინებელი ცოდვა მძიმე ლოდს შეადარეს, არამომაკვდინებელი კი — კენჭს. ადამიანს კისერზე ლოდი რომ ჩამოვკიდოთ და წყალში ჩავავლოთ, დაიხრჩობა. ასევე, ერთი მომაკვდინებელი ცოდვაც კმარა, რომ სული ჯოჯოხეთის უფსკრულში გადაეშვას. კენჭი კი მძიმე არ არის. არამომაკვდინებელი ცოდვაც, თუ დროულად მივხვდავთ საკუთარ თავს და მოვინანიებთ მას, დაკნინებული და შევედრებულა და ვერ შეცვლის ჩვენი სულის საბოლოო ხვედრს. მაგრამ იგივე არამომაკვდინებელი ცოდვა ამძიმებს სულს და ჯოჯოხეთში მიჰყავს, თუ იგი ამქვეყნიურ სიამეთათვის ზრუნავს, განსაკუთრებით კი გართობას ეტანება. ასეთი ცოდვა მომაკვდინებელის ტოლფასია. მაგალითად, ვინმეს უწმაწური ან უხამსი სიტყვა თუ წამოსცდა, მაგრამ შემდეგ მოინანია, ეს ცოდვა მას მიუტევენ. მაგრამ თუკი ვინმე გამუდმებით ზომამზე მეტად იცინის, მკრეხელობს ან ბილწსიტყვაობს, ამ სიამეთა გამო იგი შეიძლება ჯოჯოხეთში მოხვდეს და სამუდამო

სატანჯველს მიეცეს. მრავალრიცხოვანი არამომაკვდინებელი ცოდვა ისევე ბილწავს ხულს, როგორც — მომაკვიდნებელნი. კაცს თუ კენჭებით სავსე ტომარას ჩამოვკიდებთ წელზე და წყალში ჩავაგდებთ, ისევე დაიხრჩობა, როგორც კისერზე ლოდნამოკიდებული.

წმიდა მოციქულ პავლეს ცოდვათა საწყისად ვერცხლისმოყვარეობა მიაჩნდა. ამის შემდეგ, წმიდა მამებს ცოდვათა დასაბამად ნაყოფანება მიაჩნდათ, რომელიც მთელი სისრულით ლოთობაში ვლინდება. ვერცხლისმოყვარეობამ იუდას ცოდვათა შორის ყველაზე მძიმე ცოდვა ჩაადენინა, — მან გასცა უფალი. ანგარების გამო ხდება უამრავი ბოროტება, ხალხი არღვევს საღვთო და სახელმწიფო კანონებს, სიმართლეს ფეხქვეშ ქლავენ, ცრუობენ, გლახაკს ჩაგრავენ, მისდა დასაღუპად მდიდრდება მექრთამე. ვერცხლისმოყვარულთა გული დახშულია მთხოვნელთათვის. ამით ისინი თვითონ ამბობენ უარს ღვთის წყალობასა და სულის ცხოვნებაზე. ღვთის წყალობა და სულის ცხოვნება კი მხოლოდ მოწყაღეთა ხვედრია. ლოთი ყველანაირ უწესობას ჩაიდენს. მას ჯოჯოხეთის აღივით ეკიდება ღვინო, გახელებული ბოროტობის და მძვინვარებს. მას შეუძლია კიდევ იმრუშოს, კიდევ იჩხუბოს, დაარბიოს ვინმე, მოკლას კიდევ. ლოთს ყველანაირი ბოროტების ჩადენა შეუძლია. მიუხედავად ამისა, ის სიკვამლე, რაც ლოთობას მოაქვს, ვერ შეედრება ვერცხლის-მოყვარულთა სიკვამლეს. ამ უკანასკნელთ სიმართლის ნიღაბი აუფარებიათ, თუმცა კი მათი ზრახვები წინასწარგამიზნულია, სატანური ცბიერებითაა გამსჭვალული. ასეთი ბოროტი ზრახვანი ხშირად ვლინდება მთელი თავისი სახით და ზიანს აყენებენ ერთა კეთილდღეობას. ტყუილად კი არ წერია წმიდა სახარებაში ვერცხლისმოყვარე იუდაზე, რომ საშინელი ზრახვის განსახორ-ციელებლად „შევიდა მისა ეშმაკი“ (იოანე 13,22).

საყვარელნო ძმანო! ჩემი გონებრივი შესაძლებლობისდაგვარად, თქვენთან ხანმო-

კლე საუბრისას დაგანახეთ ცხოვრების გზა. გიჩვენეთ, თუ რა გზით შეიძლება მივალწიოთ ცხოვრებას და როგორ დავიცვათ ღვთივმოძღვრებული სულის ცხოვრება წარწყმედისაგან.

თავს უშველეთ, ძმებო! მიწიერი ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა, ვერც კი გავიგებთ, ისე დასრულდება. თვალის დახამხამებასაც კი ვერ მოვასწრებთ, ისე მოგვადგება კარს სიკვდილი! იმ საზარელ ჟამს ლოთობა და ნაყოფანება, სიძვა და მრუშობა მყარად და ღრმად უფსკრულად მოგვეჩვენება. აი, მაშინ კი ვინანებთ, ამ წუმპეში რომ ვეყარეთ. მერე მივხვდებით, რომ ვნებებით ტკობა ყველაზე საშიში და ავისმომტანი ცდუნებაა. ნეტარ არს კაცი იგი, ვინც ლოცვით, მოწყალების გაღებით და ცოდვათა მონანიებით შესძლო ამ ვნებათაგან თავის დაღწევა.

ასეთი ადამიანი უფლის სინარულს ეზიარება, სიტკბოების სამოთხეში შევალოს, სადაც ღვთიური მადლის მდინარენი დიან, სადაც საუკუნო ცხოვრების დღესასწაულს ზეიმობენ.

და პირიქით, უღმობელი დემონები ჯოჯოხეთში ჩაიყვანენ იმ სულს, რომელიც ამქვეყნად ცოდვაში იმყოფებოდა. ძმანო! შეუძლებელია იმ ტანჯვა-წამების აღწერა, რაც ცოდვილს ჯოჯოხეთის ჯურღმულებში ელის. იქ სამუდამო წვედიადია, გიზგიზებს დაუშრეტელი ცეცხლი, ისმის კბილების ღრჭიალი, იქაურობა მატლითაა სავსე, გამუდმებით გაისმის გოდების ხმა. მოწყალებას ითხოვენ, მაგრამ არავინ ჩანს, ვინც ყურად იღებს მათ გულსაკლავ ხვეწნამუდარას. იქ თხოულობენ შევლასა და ხსნას, მაგრამ მშველელი არსად ჩანს. წმიდა კირილე ალექსანდრიელი ამბობს: „ვერანაირი სიტყვით ვერ გადმოვცემთ და ვერაფრით ვერ წარმოვიდგენთ იმ ტანჯვა-წამებას, რასაც განიცდის ჯოჯოხეთის უფსკრულში მოხვედრილი სული. ტყუილუბრალლო ლაპარაკით ამაოდ დავშვრებით, მაინც ვერ განვაცდევინებთ ადამიანთ იმ შიშსა და გულის ძვრას, რასაც განიცდიან ჯოჯოხეთის ტყვეობაში“.

ჰმანო! ვეცადოთ, ღვთისნიერი ცხოვრებით ავიცილოთ თავიდან ჯოჯოხეთური წამება და სასუფეველი დავიმკვიდროთ! ვინც აქამდე ღვთისმოსავი იყო, დე, ისეთივე დარჩეს. მან კი, ვინც აქამდე სცოდავდა, მონანაოს თავისი ცოდვები და ღვთისნიერი ცხოვრება დაიწყოს.

„ცხოველ ვარ მე — რამეთუ არა მნებავეს მე სიკუდილი უთნოხსა; ვითარ მოქცევა მისი გზისაგან მისისა და ცხოვნება მისი“ (ეზეკიელი 33, 11).
ამინ!

6 (19) აგვისტო

ფერისცვალება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა
ჩვენი იესო ქრისტესი



მთასა მალალსა ფერი იცვალა მაცხოვარმან, თავნი მოწაფეთანი ჰქონდეს, დიდებით გამობრწყინდა, საცნაურ არს, რამეთუ რომელნი სიმაღლითა სამკნისაითა განშუენდეს, საღმრთოხსა მისცა ხილვად დიდებასა ღირს-იქმნეს. ზრახვითა ურთიერთას მოსე და ელია აუწყებდეს, თუ ცხოველთა და მკუდართა უფლებდეს და კუალად რომელ-იგი რჩეულისა მიერ და წინასწარმეტყველთა ზრახვითა იყო ქრისტე, რომლისათუისცა კმა მამისაი ღრუბლით გამო ნათლისაით წამებდა მათა: მაგისი ისმინეთ, რომელმან ჯუართა ჯოჯოხეთი წარმოტყუენოს და მორწმუნეთა მოანიჭოს ცხოვრება საუკუნოა.

მამა გიორგი (სწირტლაჲ)

დემონსტრაციის სახელმწიფო მართლმადიდებლურ
სახელმწიფო

„ჩვენ ვიბრძით არა სისხლისა და სორცის, არამედ
მთავრობათა და ხელმწიფებათა, ამ ბნელი საწუთროს
ქვეყნისმპყრობელთა და ბოროტების ზეციურ სულთა
წინააღმდეგ“ (ეფეს. 6, 12).

წერილის მიზანია, მოხაზოს დემონოლო-
გიაზე მართლმადიდებლური ეკლესიის
სწავლების კონტურები, რადგანაც ამ
საკითხის რამდენადმე სრულად გადმოცემა
დიდ სირთულეს წარმოადგენს. მართლმად-
იდებლურ ეკლესიას ყოველთვის ჰქონდა
სწავლა-მოძღვრება ბოროტ სულთა შესახებ.
ის, რაც სხვა სეკულარიზებულმა ეკლესიებმა
დიდი ხანია დაკარგეს, და არა მარტო
დაკარგეს, სკეპტიკურადაც კი უყურებენ ამ
პრობლემას. მართლმადიდებლურ ეკლესიას
ყოველთვის ჰქონდა გამოცდილება დემონურის
შესახებ, მას ყოველთვის ჰქონდა ობიექტური
ცოდნა სატანისა და მის მსახურთა შესახებ.
ის, რაც სხვა მოდერნიზებულ რელიგიურ
მიმართულებებში ან ათეისტურ მოძღვრებებში
ცრურწმენად და საალბათოდ იქცა, მის
შესახებ მართლმადიდებლურმა ეკლესიამ
თავის წიაღში ღრმა მისტიკური მოძღვრება
შემოგვინახა.

მართლმადიდებლური ეკლესია ამ ტკი ც
ე ბ ს, რომ დემონური რეალობა არსებობს,
ბოროტება არსებობს როგორც ბოროტი ძა -
ლ ა, მაგრამ ისევე, როგორც არ არსებობს
სიყვარული იმის გარეშე, ვისაც უყვარს, ე.ი.

პიროვნების გარეშე, ასევე არ არსებობს
სიძულვილი მოძულეს გარეშე, ე.ი. იმ
პიროვნების გარეშე, ვისაც სძულს. და თუკი
სიკეთის უდიდესი საიდუმლო პიროვნებაშია
დამარხული, მაშინ ბოროტებასაც პიროვნული
ხასიათი უნდა ჰქონდეს. ბოროტი, ი რ ა ც ი -
ონ ა ლ უ რ ი ძ ა ლ ი ს მატარებელი
შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ
პიროვნება, ან პიროვნებები. ე.ი. არსებობს
პიროვნული სამყარო მათი, ვინაც ღვთისადმი,
ჭეშმარიტებისადმი სიძულვილისა და
წინააღმდეგობების გზა აირჩია.

გრიგოლ ნოსელის აზრით, პარადოქსულია
მისი არსებობა, ვინც ემორჩილება ბორო-
ტებას, იგი არსებობს არარსებულში. დიადო-
ხოს ფოტიკიელი კი ამბობს: „ბოროტება არ
არსებობს; ანუ უფრო სწორად, იგი არსებობს
მხოლოდ იმ დროს, როცა მას სჩადიან“.

წმ. მამები ამბობენ, რომ, როგორც კი ჩვენ
ვღებულობთ გადაწყვეტილებას მაცხოვრის
გზით სვლისა, ჩვენ გარდაუვლად ვაწყდებით
ჩვენს გზაზე სატანას, „რომელიც დაძრწის,
როგორც მბრდღვინავი ლომი და ეძებს
მსხვერპლს“ (პეტრე I, 5.8.).

ნათლისღების საიდუმლოში ერთ-ერთი მთავარი ადგილი სატანის უარყოფას, მისი მოძღვრების დაგმობას უკავია, რადგანაც ადამიანს ნათლობის გზაზე უცილობლად უხდება შეჯახება ამ ბნელსა და მძლავრ კოსმიურ ძალასთან, რომელიც უღობავს მას ქრისტეს ნათელთან მისასვლელ გზას. ვაცნობიერებთ ჩვენ ამას, თუ არ ვაცნობიერებთ, ვიცით ჩვენ ეს თუ არ ვიცით, ქრისტიანულ გზაზე ჩვენი დადგომა და სულიერი ბრძოლის დასაწყისი ერთია. სასიკვდილოდ დაჭრილი ეშმაკი სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს ყოველ ქრისტიანს. ეშმაკს არაფერი არ ძალუძს ქრისტეს წინააღმდეგ, მაგრამ მას ბევრი შეუძლია იღონოს ჩვენს წინააღმდეგ. ამიტომ, ბოროტების შესახებ ეკლესიის სწავლების გაცნობიერება ჩვენთვის აუცილებელია, რადგანაც ვაცნობიერების გარეშე არ არსებობს სულიერი წინსვლა, რადგანაც ყველაზე დიდი სატანიზმი - მისი არსებობის უარყოფაა.

საღმრთო წერილში მრავლადაა მუხლები და ცალკეული ციტატები ანგელოზთა, კეთილ სულთა შესახებ. მაგრამ იგივე საღმრთო წერილი ლაპარაკობს ბოროტ სულებზე, დემონებზე. საღმრთო წერილში მათ სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ: „მრავალნი განკურნა (ქრისტემ) სნეულებათაგან, საღმრთობათა და უკეთურ სულთაგან და მრავალ ბრძმას მიჰმადლა ხედვა“ (ლუკა 7,21).

მაცხოვარმა თორმეტივე მოციქულს მისცა ხელმწიფება „უწმინდურ სულთა განდევნისა“ (მათე 10,1).

პეტრე მოციქული გვაფრთხილებს: „იფხიზლეთ, იღვიძეთ, ვინაიდან თქვენი მტერი — ეშმაკი დაძრწის...“ (პეტრე 1,5,8).

მათე მოციქული ბოროტ სულს „მაცდურს“ უწოდებს: „თუ ძე ხარ ღმრთისა, თქვი, რომ ეს ქვები პურებად იქცნენ“ (მათე 4,3) — ეუბნება სატანა მაცხოვარს, გამოსცდის რა მას.

იოანე ღვთისმეტყველი აპოკალიფსში ასე სწერს: „ურჩხული და გველი დასაბამისა, რომელიც არის სატანა“ (გამოცხ. 20,21).

და კიდევ: „ათასი წლის გასრულების შემდეგ სატანა დაიხსნება თავისი ბორკილებიდან“ (გამოცხ. 20,7).

დემონები სახარებაში სხვანაირადაც მოიხსენიებიან, მაგალითად:

„ბელზებულის ეშმაკთა მთავრად“ (ლუკა 10,15).

„ბელიარად“ (2 კორინ. 6,15).

„ამ ქვეყნის მთავრად“ (იოანე, 12,31).

„ჰაერის ხელმწიფების მთავრად“ (ეფეს. 2,2).

„სულით, რომელიც მოქმედებს ურჩობის ძეთა მიერ“ (იქვე).

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „წადით ჩემგან, წყევუნო; საუკუნო ცეცხლში, რომელიც ეშმაკისა და მისი ანგელოზებისთვისაა გამზადებული“ (მათე 25,41).

„ღვარძლის მთესავი ეშმაკია“ (მათე 13,37) — იგავიდან მთესველზე.

საღმრთო წერილიდან ნათლად ჩანს, რომ ლაპარაკია არა რაღაც გაურკვეველ ბოროტებაზე, ცდუნებაზე და სხვა; არამედ ნათლად, სახარებისეულად, გამოკვეთილია ის აზრი, რომ დემონები რეალურად არსებული პიროვნული არსებებია და არა წარმოსახვითი ან მითოლოგიური.

შემდეგ მაცხოვარი ამბობს: „ამ მოღმას (ე.ი. ეშმაკს) ვერაფრით ვერ განდევნი, თუ არა ლოცვით და მარხვით“ (მარკ. 9,29).

იაკობ მოციქული ამბობს: „ეშმაკებსაც სწამთ, და ძრწიან კიდევ“ (იაკობი 2,19). იოანე ღვთისმეტყველის ეპისტოლეში ვკითხულობთ: „დასაბამიდან ეშმაკი სცოდავს, ამიტომაც მოგვევლინა ძე ღმრთისა, რათა დაერღვია ეშმაკის საქმენი“ (1 იოანე 3,8).

პავლე მოციქული ამბობს, რომ ბოროტ სულებს აქვთ ზრახვანი, გონება და ნება: „თავი დააღწიონ ეშმაკის მახეს, რომელმაც შეიპყრო ისინი თავისი ნებით“ (2 ტიმ. 2,26).

„რათა არ ვიძლიოთ სატანის მიერ, ვინაიდან ჩვენთვის უცნობი როდია მისი ზრახვანი“ (2კორ. 2,11).

რაც შეეხება ბოროტ სულთა რიცხვსა და იერარქიას, საღმრთო წერილი ამას ზუსტად არ განსაზღვრავს, მაგრამ ამბობს, რომ მათი რიცხვი უზარმაზარია. ამაზე მოწმობს ღაღარინელი ეშმაკეულის განკურნება, როდესაც ეშმაკეულის პირით დემონები თავიანთ სახელს რიცხვით გამოხატავენ - „ლეგიონი“ (ლუკა 8,30).

ფარისეველთა შეკითხვაზე ქრისტე პასუხობს: „თუ სატანა აძევებს სატანას, მაშინ ის თავის თავს განეყოფა, როგორღა გაძლებს მისი სამეფო?“ (მარკ. 9,29) აქ ლაპარაკია დემონთა სამეფოზე, ე.ი. ისინი შეადგენენ მთელ სამეფოს თავისი იერარქიული წყობით. ზოგი წმინდა მამა (მაგ. წმ. დიმიტრი როსტოველი) აპოკალიფსიდან გამომდინარე თვლიდა, რომ სატანამ გადაიყოლია ანგელოზური სამყაროს ერთი მესამედი: „და აჰა, ვეშაპი ცეცხლისაჲ დიდი, რომელსა ედგნეს თავნი შვდნი და რქანი ათნი, და თავთა ზედა მისთა შვდნი გვირგვინნი, და კუდი მისი მიითრევდა მესამედსა კარსკულავთა ცისათა, და გარდამოყარნა იგინი ქუეყანად“ (გამოცხ. 12,4).

ეკლესიის მამათა უმეტესობა თვლის, რომ დემონთა რიცხვი უზარმაზარია, მაგრამ რიცხვს ზუსტად არ განსაზღვრავენ, კერძოდ წმ. იოანე დამასკელი ამბობს: „ღმერთმან გარდამოაგდო იგი (სატანა)... და ყოველივე დასი მისი, რომელნიცა თანამზრახუელ და მიმდგომ იქმნეს ბოროტსა მას ზრახუსა მისსა. ყოველნივე მის თანა გარდამოჰყარნა სიმრავლე ურიცხვი და იქმნეს იგინი მიერთვან უკეთურ ნებსით თვისით, რამეთუ კუთილსა განემორნეს და მიერთვან მბრძოლ არიან კაცთა“ („მართლის სარწმ. სიტყვისგება“).

არის თუ არა დემონებს შორის რაიმე იერარქიული დაუმორჩილებლობა? ამის შესახებ საღმრთო წერილში ვკითხულობთ: „წავა (ეშმაკი) და მოიყვანს შვიდ სხვა

სულსაც, მასზე უბოროტესს და შევლენ და დაემკვიდრებიან იქ. და ამ კაცისათვის უკანასკნელი პირველზე უარესი იქნება“ (ლუკა 11,26). სახარებაში ნათქვამია ეშმაკთა მთავრის ბელზებულის შესახებ. პავლე მოციქული მათში ანსხვავებს „მთავრობათა და ხელმწიფებათა“ და „ამ ბნელი საწუთროს ქვეყნისმპყრობელთა“ იერარქიებს (ეფეს. 6,12). ე.ი. მოციქული თითქმის იგივე სახელწოდებით აღწერს დემონთა იერარქიას, როგორითაც წმ. დიონისე არეოპაგიტელი განარჩევს ანგელოზურ დასებს. წმ. მამათა აზრით, დემონებს შორის ეს იერარქიული ურთიერთდამორჩილებულობა არის ნარჩენი, ნაშთი იმ იერარქიული სრულყოფილებისა, რაც მათ ანგელოზურ სამყაროში ყოფნისას გააჩნდათ, არის კიდევ თეოლოღუმენა, რომ მათ ჯოჯოხეთურ ძალაუფლებას მათი ბოროტისეული წიაღის წვდომა და მისი განხორციელება განაპირობებს.

წმ. დიონისე არეოპაგელი ანგელოზური იერარქიების აღწერისას ამბობს, რომ ჭეშმარიტების შემეცნება ანგელოზთათვის უმაღლესი, სერაფიმთა დასიდან გადაეცემა ქვემოთ ანგელოზურ ძალებს, ისინი თავის მხრივ უფრო ქვევით მდგომ ანგელოზურ ძალებს და ა.შ. ადამიანებამდე. ჭეშმარიტება აღწევს ადამიანთან ყველაზე ახლოს მდგომარე ანგელოზებრივი ძალებით. იგი ამბობს, რომ ჭეშმარიტების წვდომა, მისი გადაცემა და მიღება ანგელოზურ დასთა ჭეშმარიტებისადმი და ერთმანეთისადმი სიყვარულით არის განპირობებული. წმ. მამათა აზრით, დემონური სამყაროს ერთიანობას არავითარი საერთო არა აქვს დასთა ანგელოზებრივ ერთიანობასთან სიყვარულში. თუკი დემონურ სამყაროში რაიმე იერარქიულ ერთიანობაზე შეგვიძლია ლაპარაკი, ეს ერთიანობაა სიძულვილში და შურში ადამიანური მოდემისა და საერთოდ ყოველივეს მიმართ:

„ღმერთმა ადამიანი უხრწნელად შექმნა და თავისი მარადიულობის ხატად დაბადა იგი, მაგრამ ეშმაკის მოშურნეობით სამყაროში

სიკვდილი შემოვიდა და მისი წილხვდომნი განიცდიან მას“ (სიბრძნე სოლომონისა 20,23,24).

ერთიანობა დაბადებულისადმი და დაუბადებელისადმი სიძულვილში, გაერთიანება ჭეშმარიტებასთან საბრძოლველად ამპარტავნების სულში, რომელიც „ურჩობის ძეთა მიერ მოქმედებს“ (ეფეს. 2,2) აი, რა არის სატანიზმი. ქრისტე ამბობს:

„დასაბამითვე კაცის მკვლეელი იყო იგი და ჭეშმარიტებაში ვერ დაემკვიდრა, ვინაიდან ჭეშმარიტება არ არის მასში და როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, ვინაიდან ცრუ არის და სიცრუის მამა“ (იოანე 8,44).

საინტერესოა ადრექრისტიანული ეკლესიის მამების ხედვა დემონოლოგიური პრობლემისა. მაგალითად, წმ.კვირიანეს ცხოვრებაში ვკითხულობთ მის შემზარავ აღსარებას: „აწ დაიჯერეთ ჩემი, რამეთუ მინახავს ეშმაკი თუალითა ჩემითა და შემიწვნარა მე ზორვითა (ჭეშმარიტსა ვიტყვი და არა ვტყუვი); მშვიდობაა მიმიცემია მისადა და სიტყუაუგებლი და ვიყავ მის თანა სადგუროვან, ვითარცა პატიოსანნი მისნი... შემეწეოდის მე ყოველსა ზედა საქმესა პატივისა ჩემისათვის და უხუცეს მყო მე ყოველთა ზედა ეშმაკთა და ოდეს გამოვიდოდე, დაღად-ყო და მრქუა: „მხნე იყავ რჩეულო ჩემო კვირიანე!“ და აღდგა საჯდომით თვისით და გზათა-მყია მე და განკვირდეს ამისთვის ყოველნი იგი ეშმაკნი და მისთვის იყვნეს დამორჩილებულ მთავარნი და ისმენდეს ჩემსა, ოდეს ცნეს სადგური ჩემი მის თანა... და სამოსლისა მისისა ბრწინვალებასა არარაჲ ჰგვანდა და არნ ძერაჲ ადგილსა მას, ოდეს მიმოიხედნის და იყო გარემოის საყდარსა მისსა ზარი დიდი და გუნდი მრავალი გარემოჲს მისსა, თაყუანისმცემელნი და განმზადებულნი მოსწრაფებად მსახურებასა მისსა“. წმ. კვირიანე ამბობს, რომ 'მაცდური ცდილობს ყველაფერში მიჰბადოს ღმერთს: „ადგილი მისი მსგავს იყო ცისაჲ და ნათლობდა და განგრუნებულ მაცთურებითა ამისთვის, რამეთუ მიემსგავსა ყოველთა დაბადებულთა

ღმერთისათა... რაჲ თა ჰხედებოდის ღმერთსა და ანგელოზთა მისთა, რომლითა უნებს ცთუნებაჲ კაცთაჲ, ვითარმედ ღმერთი არს“. წმ. კვირიანე დაწვრილებით აღწერს სხვადასხვა სახის ბოროტ სულთა გარეგნობას, წარმართული კულტების მისტერიებს და არა მარტო აღწერს, მწარე სინანულითაც ინანიებს, იგი ამბობს: „ვაამე! რაჲ ესე შემემთხვა, ვითარ წავრწმედი და მოვიწყალ წყლულებითა დიდითა, რომელი ვერ საკურნებელ არს. მომკუდარ ვიყავ და მეგონა, ვითარმედ ცოცხალ ვარ“.

აპოლოგეტ მამებს ხშირად უხდებოდათ ბოროტების არსზე და მის შედეგებზე მსჯელობა. ტატიანე ამბობს სატანაზე, რომ „სხვებზე უფრო ბრბენი იყო და ღმერთად დასახეს ღვთის რჯულის მოწინააღმდეგეთ, მაშინ ლოგოსის ძალმა უარყო უგუნურების მოთავეცა და ყველა ისინი, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით შეუდგნენ მას“. ტატიანე აღნიშნავს, რომ დემონებს საკუთარ ცთომილებაში და ღვთისაგან განდგომის წიადში სურთ შეიტყუონ ადამიანებიც.

აპოლოგეტი ათენაგორა ამბობს: „ანგელოზთა შორის ერთნი, მიუხედავად თავისუფალი ნებისა, იმგვარნივე დარჩნენ, როგორებიც დაიბადნენ, ანუ ის შეინარჩუნეს, რისთვისაც შექმნა და განაჩინა ისინი ღმერთმა, სხვებმა კი შეაგონეს, როგორც მათი არსებისეული საფუძველი, ასევე მათი დასაბამი“, „ეს ანგელოზები, რომლებიც ცათაგან დაეცნენ, ჰაერში და მიწაზე იმყოფებიან და ზეციურთა მიმართ ამაღლება მათ აღარ ძალუძთ. ათენაგორა მათ „მოხეტიალე დემონებს“-აც უწოდებს.

საინტერესოა წმ. იუსტინე მარტვილის დემონოლოგია. თავის აპოლოგეტიკაში წარმართული კულტების წინააღმდეგ იგი ამბობს: „ჯერ კიდევ უძველეს დროში ბოროტი დემონები დაუფარავად ცხადდებოდნენ. ბილწავდნენ ყრმებსა და ქალწულთ, ანცდევინებდნენ მათ უდიდეს საშინელებებს, ისე, რომ იმათ ვისაც შიშისაგან გონება დაუბნელდა და ვეღარ აზროვნებდა თავის

ქედებაში და არ იცოდა რომ ესენი იყვნენ ბოროტი დემონები, ეძახდა ღმერთებს და უწოდებდა სახელებს, რომლებიც დემონებმა თავიანთთვის აირჩიეს“. დემონებმა დაიმონეს ადამიანთა მოდგმა, ნაწილობრივ ჯადოსნური წერილებით, ნაწილობრივ მათ მიერ აღძრული შიშითა და ტანჯვით და ნაწილობრივ მსხვერპლშეწირვათა საშუალებით, რომლებსაც თვით საჭიროებდნენ, რადგანაც დაემორჩილნენ ვნებებსა და ხურვილებს. და მათ დათესეს ადამიანებს შორის მკვლელობანი, ომები და ყოველი ბოროტება“.

„მე გაფრთხილებთ თქვენ — რათა არ გაცდუნონ დემონებმა“... „რადგანაც ისინი ცდილობენ მონობაში გამყოფონ თქვენ და მათდამი მსახურებაში; და ხან სიზმრეული წყნებებით და ხან მაგიური ხიბლით ატყვევებენ ყველა იმას, ვინც სრულიად არ ზრუნავს თავის გადარჩენისათვის“.

წმ. იოანე დამასკელი ამბობს: „შეშურდა მატყვი კაცისაჲ ეშმაკსა, რომელ იგი იყო მირველ ერთი ანგელოსთაგანი და რწმუნებული იყო მისდა ღმრთისაგან ცუაჲ ყოვლისავე ქუეყანისა. ესე არათუ ბუნებით იყო, ნუ იყოფინ, არამედ კეთილსა ზედა დაიბადა ღმრთისა მიერ და არა აქუნდა ყოვლადვე კუალიცა ბოროტისა დაბადებული ბუნებასა შინა მისსა, არამედ ნებითა და განზრახვითა თვისისა მიდრკა ბოროტისა შიშართ და არა შეიშუნა პატივი იგი ღმრთისა მიერ მიცემული, არამედ თვითმფლობელთა მით ნებითა მიდრკა თვისითა ბუნებისაგან და იქმნა გარეგან ბუნებისა და აღხკანა უბადრუკი იგი და წინა აღდგომა ღმრთისა განიზრახა. განეშორა კეთილსა და იქმნა ბოროტ და უკეთურ და უკეთურებაჲ არა რაჲ არს სხუჲ, გარნა კეთილისაგან განშორებაჲ და დაკლებაჲ, ვითარცა იგი ბნელი მოკლება არს ნათლისა. იგი უკუე უკეთური ნათლად და კეთილად დაბადებული იყო ღმრთისაგან და ნებისით თვისით ბნელ იქმნა ესევეითარისა მის უკეთურებისათვის შერისხნა მას ღმერთმან

და გარდამოავდო იგი პატივისა მისგან ზეცათასა და წესისაგან ანგელოზთასა“.

წმ. მამათა მიხედვით, ბოროტება ნაკლია, ბოროტება არის ის, რაც აკლია ბუნებას, რათა სრულყოფილი იყოს. არსებითად, წმ. მამები თვლიან, რომ ბოროტება არ არსებობს, რომ იგი არ არსებობს ყოფიერებაში. ბოროტება ეს არ არის პიროვნების ბუნება, არამედ ბუნების მდგომარეობაა, ასე ვთქვათ, იგი ავადმყოფობაა, პარაზიტია, რომელიც მხოლოდ იმის ხარჯზე არსებობს, რაზედაც პარაზიტები. უფრო ზუსტად, ბოროტება პიროვნების ამ ბუნების ნების გარკვეული მდგომარეობაა. ეს ნება კი მცდარია ღვთის მიმართ. ბოროტება ეს ის მდგომარეობაა, რომელშიც იმ პიროვნული არსებების ბუნებაა, რომელნიც ღმერთს განუდგნენ. ყოველი მათგანი ცალკეული პიროვნებაა, ცალკეული სამყაროა. ბოროტება საწყისს ანგელოზური სამყაროდან იღებს. ამიტომ ანგელოზური სამყაროსათვის ბოროტება სხვა შესაძლებლობებს ხსნის, ვიდრე მიწიერი სამყაროსათვის. ადამის მიერ აღქმულმა ბოროტებამ მთელი კაცობრივი მოდგმა შებილწა, მაგრამ ერთი ანგელოზის ბოროტი პოზიცია მის პირად პოზიციად რჩება (ე.ი. პიროვნულია). აქ ბოროტება თითქოს ინდივიდუალიზირდება. თუკი ცდუნება ვრცელდება და ხორციელდება, იგი ვრცელდება იმ მაგალითის ძალითა და გავლენით, რაც ერთ პიროვნებას შეუძლია მოახდინოს მეორეზე. ლუციფერმა აიყოლია სხვა ანგელოზნი, მაგრამ დაეცა არა ყველა, არამედ მესამედი, როგორც ამბობს აპოკალიფსი: „მიქაელ და მისი ანგელოზნი ებრძოდნენ ურჩხულს, და ურჩხული და მისი ანგელოზნი ებრძოდნენ მათ, გადმოვარდა დიდი ურჩხული, დასაბამის გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი სამყაროს მაცდური: გადმოვარდა და თან გადმოჰყვნენ მისი ანგელოზნი“ (გამოცხ. 12, 7-9).

„და კუდი მისი მიითრევდა მესამედსა ვარსკვლავთა ცისათა“ (გამოცხ. 12.4).

ბოროტებას საწყისი დაედო ერთი ანგელოზის ცოდვით და ლუციფერის ეს პოზიცია ფარდას ხდის ძირს, ფესვს ყველა ცოდვისა — ამპარტავნებას, რაცაა განდგომილება ღვთისაგან. ესაია წინასწარმეტყველის წიგნში ვკითხულობთ: „ცად ავხდები, ღვთის ვარსკვლავთა ზემოთ ტახტს დავიდგამ და დავჯდები საკრებულო მთაზე, ჩრდილო კალთებზე. მაღლა ღრუბლებში ავიჭრები უზენაესს გაუტოლდებიო! მაგრამ შავეთში ჩადიხარ, ქვესკნელის უფსკრულებში“ (ესაია 14.13-15).

წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ამპარტავნებისათვის ანგელოზნი ზეციით გარდამოცვივნეს და ეშმაკად შეიცვალნენ“ („ოქროს წყარო“). იმან, ვინც პირველი მოწოდებული იყო მაღლით განდგომისაკენ, თავად მოინდომა ღმერთად გახდომა. აქ არის ძირი ცოდვისა — თვითგანდგომის სურვილი, მაღლისადმი სიძულვილი. ღვთის გარეშე, ვითარცა ღმერთად ყოფნის წყურვილი. დამოკიდებულია რა ღმერთზე თავისი ყოფიერებისეული არსით, რადგან ღვთის შექმნილია, ბოროტ სულს ეუფლება, სურვილი განადგურებისა და ნგრევისა, წყურვილი არ არსებობაში გადავარდნისა. მაგრამ ღმერთისათვის გახსნილია მხოლოდ მიწიერი სამყარო, და იგი ცდილობს დაარღვიოს მასში ღვთიური განგება და ქმნულის განადგურების უძღურების გამო ცდილობს გაამრუდოს და დაამახინჯოს იგი.

ძველი აღთქმის გველი, ისევე როგორც აპოკალიფსის „დასაბამის გველი“ — ეს სატანაა. მიწიერ სამოთხეში იგი იმყოფებოდა იმის გამო, რომ ადამიანს უნდა გაეგლო თავისუფლების გამოცდა. უფლის პირველი მცნება, ნაყოფის მიღების აკრძალვისა, ასე ვთქვათ, პოსტულირებას უკეთებს ადამიანური ნების თავისუფლებას და, ამავე დროს, უშვებს გველის არსებობას, ე.ი. ცდუნების შესაძლებლობას. როგორც პავლე მოციქული ამბობს, ცოდვას რწმენა აძლევს არსებობას, რწმენა მას აცხადებს. თავისთავად ნაყოფი კარგი იყო. თავის დროზე ადამი ეზიარებოდა მას,

მაგრამ აცდუნა ეშმაკმა და დაარღვია ღვთისა და ადამიანის ერთობა.

ბოროტების სათავე ყოველთვის იყო და არის ამპარტავნება. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „მაღლად რბის სული ამპარტავანისა და მუნითგან სიღრმესა შინა ჯოჯოხეთისასა შთაიჭრების“, „... რამეთუ მაღალი იგი წინაშე კაცთა, საძაგელ არს წინაშე ღვთისა“, „... არაწმიდა და საძაგელ უფლისა არს ყოველი მაღალი გულითა“ („ოქროს წყარო“). ერთ-ერთი თანამედროვე მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი ამბობს (პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი): „განავლო სატანა არ ნიშნავს მარტო უარყოფითი მითიური არსება, რომლის არსებობაც კი არ სწამთ, არამედ ეს ნიშნავს უარყოფითი მთელი გარკვეული „მსოფლმხედველობა“, მოქსოვილი სიამაყითა და თვითდაჯერებულობით“. იგი აგრძელებს: „შემაძრწუნებელია ის სიმართლე, რომ დღევანდელ ქრისტიანთა უმრავლესობა ვერ ხედავს სატანის არსებობასა და მოქმედებას მსოფლიოში და ამიტომაც არ განიცდიან საჭიროებას „მის საქმეთა და მსახურებათა უარყოფისა“, „თუკი ჩვენ შეგვიძლია რაიმე გავიგოთ ჩვენი სულიერი ცხოვრებიდან ბოროტების შესახებ“, „... ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მას“.

მე მინდა დავამთავრო სახარების ნათელი სიტყვებით: „ესრეთ შეიყვარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რაათა ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო. რამეთუ არა მოავლინა ღმერთმან ძე თვისი სოფლად, რაათა დასაჯოს სოფელი, არამედ რაათა აცხოვნოს სოფელი მის მიერ. რომელსა რწმენეს მისი, არა დაისაჯოს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა ჰრწმენა სახელისა მიმართ მისა ღმერთისა მხოლოდ შობილისა. და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად და შეიყუარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ. რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა

იქმს, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა; რაითა არა ემხილნენ საქმენი მისნი, ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვალს ნათლად, რაითა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან“ (იოანე 3.16-21). ლოცვა: „რაჟამს შთახედ საფლავად ცხოვრება ეგე უკვდავი, მაშინ

ჯოჯოხეთი შეაძრწუნე ელვითა მით ღვთაებისა შენისათა, ხოლო რაჟამს მკვდარნი ქვესკნელით აღმოიყვანენ, მაშინ ყოველნი ძალნი ცათანი დაღაღებდენ, ცხოვრების მომცემელო ქრისტე ღმერთო ღიღება შენდა!“
ა მ ი ნ.

1990 წლის ნოემბერი

15(28) აბვისტო

მიძინება ყოვლადფიდიისა ღმრთისა ჩვენისა
ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა



აჭი. ღვთისმშობლის მიძინება

შობასა ქალწულებაჲ დამარხე, და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე, ღვთისმშობელო, მიხვედ ცხოვრებად დედა ეგე ცხოვრებისა, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკვდილისაგან სულთა ჩვენთა.

აღიზარდნენ შვილნი ჩვენნი „სწავლითა და მოძღვრებითა უფლისაითა“

განვითარება ახალგაზრდის მარტო ერთი გონებისა მისი გარყვნილი გულის გამოსწორების გარეშე დახელოვნებული ბოროტმოქმედის ხელში ბასრი მახვილის მიცემას ნიშნავს, რამეთუ უვიცი ცოტა ბოროტებას თუ ჩაიდენს თავისი უმეცრებისა გამო, ხოლო მოქნილი, განვითარებული გონება უღმრთოსი კაცობრიობის მათრახია, რომელსაც საზოგადოების შეძგრა შეუძლია და დამლუპველი შხამის დაქცევა არა მარტო აწმყონში, არამედ მომავალ თაობებზეც, რისი მაგალითიც საუბედუროდ მრავალადაა.

სულიერი ყვავილნარი

ახლა კი მივუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღვზარდოთ ქრისტიანი ბავშვი მართლმადიდებელი ეკლესიის სულისკვეთებით, თანამედროვე პირობებში და თუ რა საუკეთესო საშუალებები არსებობს ამ მიზნის მისაღწევად. ადამიანის სულიერ ცოდნასა და ქრისტიანული საზოგადოების გამოცდილებაზე დაყრდნობით ამ მნიშვნელოვან საკითხზე სათანადო პასუხი მოგვცა ცნობილმა მქადაგებელმა, წმიდათა შორის განსვენებულმა ამბროსიმ — ხარკოვის მთავარეპისკოპოსმა და ჩვენც ამჯერად სწორედ მის რჩევა-დარიგებას მივმართოთ:

ეკლესიის მიერ შემოთავაზებული აღზრდის დაწვებითი მეთოდების უდიდეს გავლენას ჩვენ დღესაც ვხვდებით მრავალ ჭეშმარიტ

ქრისტიანულ ოჯახში. ამ მეთოდებმა საუკუნეების მანძილზე სრული განსორციელება ჰპოვეს და კეთილი გავლენა იქონიეს მთელს საქრისტიანოზე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მათ არავითარი სკოლა და სასწავლებელი არ გააჩნდათ, არც უმაღლესი და არც უმაღლესი, სწორედ მათი გავლენის ქვეშ იკრიბებოდა, ძლიერდებოდა და მაღლდებოდა ქრისტიანი ერი.

ძირითადი საფუძველი ადამიანური ზნეობისა ღვთის რწმენაა, ხოლო ორგანო სულისა, რომლითაც ეს რწმენა გვეთვისება — გული. გულის ცხოვრება გონების ცხოვრებაზე ფართო და აღმატებულია, რადგან გონებაზე ადრე იღვიძებს და მისგან განსხვავებით არც აზრებით, არც წარმოდგენებით, არამედ გრძნობითა და შთაბეჭდილებებით ვითარდება.

წმ. მოციქული პავლე ამბობს: „და შექმნა ერთისაგან სისხლისა ყოველი ნათესავნი კაცთანი დამკვიდრებად ყოველსავე ზედა პირსა ქუეყანისასა, განაჩინა დაწესებულნი ჟამნი და საზღვრის დადებანი დამკვიდრებისა მათისანი მოძიებად ღმრთისა, და უკუეთუცა ვინ ეძიებდა, პოვამცა იგი, და რამეთუ არცა შორს არს კაცად-კაცადისაგან ჩუენისა“ (საქ. 17-26,27). აქ წმ. მოციქული სხვადასხვა ერზე მიუთითებს, რომელნიც უფალმა მრავალფეროვანი წყალობითა და ბუნების სილამაზით შექმნა, იმ მიზნით, შეიგრძნობდნენ თუ არა ღმერთს, და იპოვნიდნენ თუ არა მას, მით უფრო, როცა თითოეული ჩვენგანისაგან შორს არ დგას იგი. და თუ ყოველმა ერმა გარკვეულ ქვეყნებში ჯერ უნდა შეიგრძნოს ღმერთი, როგორც კეთილისმყოფელი, შემდეგ იპოვოს იგი მის საქმეთა ნაკვალევსა გამო, და ხოლო, ამაღლდეს მის შემეცნებაში, რამდენად უფრო საჭიროა მოზარდის სწორედ ამ გზით წარმართვა ოჯახში, რომელიც მოსთვის მთელი სამყაროს მოდელს წარმოადგენს, და მით უფრო ქრისტიანთა შორის, სადაც ეს გზა და საშუალება ასე შემსუბუქებულია მართლმადიდებელ ეკლესიასა და საღვთო განცხადებაში; ქრისტიანი ღვდა ხომ ყოველგვარი მეცნიერული განათლების გარეშე ბავშვის დაბადებიდანვე ღვთისმეტყველების მასწავლებელი ხდება, ნათლობის ემბაზიდან მიღებისთანავე სწამს, რომ ხელში საუკუნო ცხოვრებისათვის განახლებული ღვთის შვილი ჰყავს აყვანილი, რაც მასში სიყვარულის გარდა პატივისცემასაც ბადებს. იმ დღიდან ფხიზლობს და თვალყურს ადევნებს, რომ ბავშვი ერთი წუთითაც არ დარჩეს ნათლობის ჯვრის გარეშე, აკვანზე წმ.ხატს უმაგრებს და მფარველ ანგელოზს მოუწოდებს; როგორც კი პირველი გონიერი გამოხედვა გაუვლევებს თვალბში, მაშინვე კანდელით განათებულ ხატებთან მიჰყავს, მიუთითებს მაცხოვარზე და

უბნება: „ეს ღმერთია“. მართლაც, ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც პირველ გამოთქმებთან ერთად ამ წმიდა სახელს ითვისებს, და სწორედ ამ უბრალო ხერხის წყალობით მიიღწევა ის, რომ ზოგ ქრისტიანს არც კი ახსოვს დრო, როცა მაცხოვრის სახე მისთვის ძვირფასი გახდა. და მართლაც, რა დიდებული შენაძენია გიყვარდეს ღმერთი ჯერ კიდევ ჩვილს, თან როცა სიყვარული მიმართულია არა რომელიმე გამოგონილი და შეთხზული ღვთაების ხელოვნური გამოსახულებისაკენ, არამედ ჭეშმარიტი შემოქმედისაკენ, რამეთუ ცრუ ღვთაებებით მოსვრილი გონება შემდგომში ღვთის სუფთად ჭვრეტისათვის გულდასმით განწმენდასა და გასუფთავებას მოითხოვს. ეს ხატება კი ჭეშმარიტი ღვთისაა, რომელიც გარდამოხდა ჩვენთვის ხორცშესხმული სახით და ჩვილთათვისაც კი ხელმისაწვდომი გახდა; — ეს ის ღმერთია, რომლის წინაშე წარსდგება ბავშვი პირველი ღოცვით, მის წინაშე აღიარებს ცოდვებს ასაკის მომატებასთან ერთად, მის წინ დაღვრის ცრემლს და ითხოვს შეწევნას ჭირსა თუ განსაცდელში, მას შეხედავს სასოებით სასიკვდილო სარეცელიდან; და როცა მიწიერ ცხოვრებას დაასრულებს, მისკენ ექნება ღტოლვა მარადისობაში.

პირველ შთაბეჭდილებებს ღმერთზე, რომელიც ბავშვის წარმოსახვაში იწერება, ღვდა ყოველდღიწმიდა ღვთისმშობლისა და წმიდათა გამოსახულებით ავსებს და განმარტავს, ხოლო ტაძარში საზიარებლად მოყვანილს ყველაფერი ეს თვალწინ სრულყოფილ სურათად ეშლება წმიდა საგნებსა თუ რწმენის სიმბოლოებში, რაც ყმაწვილის გულს მათთვის დამახასიათებელი შთაბეჭდილებებითა და გრძნობებით ავსებს, და ვის შეუძლია ახსნას ეს გრძნობები. „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითარად არს სასუფეველი ღმრთისაჲ“ — ამბობს უფალი. „ამინ გეტყვი

თქვენ, რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისა ვითარცა ყრმა, ვერ შევიდეს მას შინა“ (ლუკა 18-16,17), „და შეიტკობდა მათ და დაასხმიდა მათ ზედა ხელთა და აკურთხებდა მათ“ (მარკ. 10,16). იცინა რა ეს ქრისტიანმა მშობლებმა, ღრმად სწამთ, რომ ტაძარში მოყვანილ ბავშვებს უშუალოდ უფალი აკურთხევს, და რომ უპირატესად სწორედ იქ ითესება მათ გულში კეთილი თესლი კეთილმსახურებისა და სარწმუნოებისა. გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი ადრეული ბავშვობა, თუ როგორი მოკრძალებით გვევსებოდა გული, როცა უფროსებს ტაძარში შევყავდით და ღვთისმშობიში მრევლის ლოცვას ვხედავდით, გავიხსენოთ გულჩვილობის ის წმიდა გრძნობა, დიდ დღესასწაულებში რომ მოგვიცავდა ხოლმე. ან ის სიხარული, რომლითაც გვითრთოდა გული ბრწყინვალე ადგომისას, რაც უდაოდ იმაზე მეტყველებს, რომ უმთავრესი მოვლენები მაცხოვრის ცხოვრებიდან, სწორი ლოცვითი განწყობილება, სიყვარული ღვთის ტაძრისა და ბევრი სხვა რამ კეთილი სწორედ იმ დღეებიდან აღიბეჭდა ჩვენს გონებასა და გულში — ყველაფერი ეს ერთად აღებული კი უდიდესი შენაძენია, რადგან საწყისი ცდებია ახალჩასახული სულიერი ცხოვრებისა, რომლის გარეშე მომავალი არ არსებობს და ვისაც ეს სულიერი განძი ბავშვობიდანვე არ მიუღია, აწ უკვე ძნელად თუ შეიძენს მას, რადგან გულის გრძნობათა ახსნა-განმარტება შეუძლებელია, რამეთუ ღვთის სიყვარულს წიგნებით ვერ შევისწავლით.

ქრისტიანული აღზრდის მეთოდებს გაუცხოვებული განათლებული მშობლები ხშირად ბავშვის გონების გაღვივებას ელოდებიან და ვიდრე ღვთის სჯულის შესასწავლად მათ უნარიანობას აღიარებენ, წარმოსახვა ბავშვისა უკვე ბინძურდება მიწიერი წარმოდგენებით და ხშირად არაწმიდა შთაბეჭდილებებითაც კი, რის გამოც

მათი გულები სხვადასხვა მანკიერ ჩვეულებებსა და მიდრეკილებას იძენენ და სუფთა სულიერი წარმოდგენები და გრძნობები მათი გაველურებული სულე-ბისათვის უგემური ხდებიან. ეკლესიის ხელმძღვანელობით კი ბევრ ქრისტიანულ ოჯახში ჯერ კიდევ სკოლამდე ბავშვი ღვთის შემეცნების ისეთ პრაქტიკულ გაკვეთილს იძენს, რომელიც უფრო ღრმად განლაგდება მის მეხსიერებასა და შეგნებაში, ვიდრე სასკოლო. ეს პრაქტიკული დამოძღვრა კი არა მხოლოდ განმარტებებისაგან შედგება, არამედ რწმენის პრაქტიკული აღიარებისაგან ანუ აღსრულებისაგან, რაც ბავშვის სულში არა მხოლოდ ცივ აზრად ან შეხედულებად რჩება, არამედ შეთვისებული ჩვევის. სახით ყალიბდება. როცა ოჯახის არცერთ წევრს არ შეუძლია დილისა და საღამოს ლოცვის გარეშე დარჩენა, როცა მამა არ წავა არც ერთ საქმეზე, ვიდრე ხატების წინ არ აიღებს კურთხევას, ხოლო დედა პირჯვრის გამოსახვის გარეშე არ ისაქმებს, როცა ბავშვებსაც კი წესად აქვთ ქვეული ჭამისა თუ ძილის წინ ლოცვა, განა არ ეჩვევიან ამით ბავშვები ყველაფერში ღვთის შეწევნის თხოვნას, ყველაფერზე მისი კურთხევის აუცილებლობას და რწმენას, რომ ღვთის გარეშე არა აქვს წარმატება არც ერთ ადამიანურ საქმეს. რომელი განსულიერებული სიტყვები დანერგავენ ლოცვას ბავშვის გულში ისე, როგორც უბრალო შეგონება დედისა ავადმყოფი მამის სარეცელთან; „ილოცეთ შვილებო...“ ან როცა მამა იმ ოთახიდან გამოსული, სადაც დედა სასიკვდილო განსაცდელის წინაშე დგას, დაიჩოქებს მათთან ერთად და ცრემლითა და ტკივილით ლოცვას აღუვლენს უზენაესს. შეუძლებელია პატარასათვის უნაყოფო დარჩეს რწმენა მშობლებისა, რომლებიც გაჭირვებასა და სიღარიბეში იტყვიან: „ღმერთო მოწყალეო“ ან ძნელბედობის ყუამს

— „უფალი შეგვეწვევას“, ხოლო წარმატებისა ან სიხარულისას, როცა მადლობას შესწირავენ მას. ასეთ ოჯახში ხომ ყოველთვის და ყველაფერში ღვთის სახიერებაა აღიარებული, მისი განგებულება, მისი მართლმსაჯულება; რაც ცოცხალ სწავლებას წარმოადგენს ღმერთსა და მის თვისებებზე.

ბავშვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი მშობელია და შეუორგულებლად სჯერა მისი, ამიტომ მშობლების ჭეშმარიტ რწმენას და ღვთის მიმართ სიყვარულს დიდი გავლენა აქვს და მოზარდის საკეთილდღეოდ განსაკუთრებული ნაყოფის გამოღებაც შეუძლია. გავიხსენოთ ძველი ქრისტიანი ლეღები, თუ როგორი რწმენით ისტუმრებდნენ ისინი შვილებს ომში, როგორ ლოცავდნენ მათ და კიდებდნენ გულზე პატარა ხატსა და ოთხმოცდამეათე ფსალმუნს, და ეს ლოცვა და რწმენა მშობლებისა როგორ იფარავდა მათ მტრისაგან ან რა მხნეობითა და ვაჟკაცობით უკსებდა გულებს მშობლის კურთხევის განსენება განსაცდელის ჟამს.

2) ბავშვის აღზრდის საქმეში, ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანას სინდისის გახსნა წარმოადგენს. უსინდისო ადამიანი საზოგადოების წყლულია; ადამიანი უგრძობელი სინდისით ან ძალზე დამთმობია და გაუკუღმართებული საზოგადოებისთვის არასანდო წევრს წარმოადგენს, რასაც ყველა იზიარებს; ხოლო რამდენადაც სასურველი და ძვირფასია პატიოსანი ადამიანები და მოქალაქეები, იმდენად სასურველია მათი აღზრდისათვის სწორი ხერხები და საშუალებები, მაგრამ სად არიან ისინი? სად არიან ეს მეთოდები პატიოსან კაცთა აღზრდისა? — მეცნიერება და განსწავლა გონებისა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, უღირსი საქციელისაგან ვერ გვიხსნის. ხშირად ამბობენ: გააღვიძეთ პიროვნებაში სიამაყე და თავმოყვარება და მაშინ ის არ მისცემს თავს ნებას რამე

უღირსი ჩაიდინოსო, მაგრამ საკმარისია სულ ორი მაგალითი, რომელსაც ხშირად ვხვდებით ჩვენს ცხოვრებაში, რომ დავრწმუნდეთ ამ საყრდენების სისუსტესა და არამდგრადობაში:

1) იქ სადაც კეთილი და ჭეშმარიტად პატიოსანი საქმისათვის ტანჯვა ან დამცირებისა და დაცინვის გადატანაა საჭირო, განსაკუთრებული სიამაყისა და თავმოყვარების ადამიანები ამ დროს გაურბიან მას.

2) ერიდება რა წვრილ-წვრილ უღირს საქმეებს, ამაყი ადამიანი ყოველთვის დიდი განსაცდელის წინაშე დგას, როცა მხოლოდ ერთხელ სინდისის გათელვით შესაძლებლობა ეძლევა მთელი ცხოვრების მანძილზე ბრწყინვალე მდგომარეობა შეიქმნას საზოგადოებაში, ხოლო თავს იმით ინუგეშებს, რომ მისი უღირსი საქციელი საიდუმლოდ დარჩება, ანდა დავიწყებას მიეცემა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მომავალი სათნოებებით დაიფარება. ამდენად, ბრწყინვალე მდგომარეობა საზოგადოებაში ასე მაცთურია მათი თავმოყვარეობისათვის. ამასაც ამბობენ, რომ ასწავლეთ ბავშვებს და მოზარდებს ღირსებისა და ზნეობრიობის მყარი წესები და უეჭველად მათგან ღირსეული და პატიოსანი ადამიანები გამოვლენო. მაგრამ, ყველაზე მყარი წესები, ხომ თავისთავადაა მყარი მისი შინაგანი ჭეშმარიტებით და რით შეგვიძლია თავი დაეიზღვიოთ, რომ ეს წესები თუ ჩვეულებები ადამიანის სინდისს და გულს დაემყნოს. ცხოვრების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ყველაზე კარგი, ყველაზე სასარგებლო მცნებები და ყველაზე მკაცრი წესები ჩვენს მეცნიერებაში შეიძლება მყარადაც აღიბეჭდოს, მაგრამ გავლენა ვერ მოახდინოს გულსა და ცხოვრებაზე და თითქოს იმ წიგნშივე დარჩეს, საიდანაც ამოვიღეთ.

სრულიად საწინააღმდეგო სურათი წარმოგვიდგება ქრისტიანულ აღზრდაში: აქ დარიგება უმთავრესად მიმართულია არა

გარეგნული წესების ან უჯერო საქმის შედეგისაკენ, არამედ სულის შინაგან მდგომარეობისაკენ, ანუ გულისა და სინდისის გაღვიძებისაკენ. ამიტომ ქრისტიანი მშობლები, უპირველეს ყოვლისა, ჩქარობენ ბავშვს იმის შეგნება შთაუწერონ, თუ რა არის ცოდვა, ან რით განვარისხებთ ღმერთს, რისთვის ისჯება ცოდვილი და რატომ რჩება სიყვარულისა და მარადიული ნეტარების იმედის გარეშე.

შერწყმა ბავშვის ცნობიერებაში შემოქმედზე ფიქრისა, რომელიც უკვე გაღვიძებულია კეთილკრძალულებით, ღვთის სიყვარულის წარმოდგენისა, რომლის თანაზიარი უკვე გახდა ბავშვი და სინდისის ბუნებრივი ტანჯვისა, რომელიც მისი უმანკოების გამო განსაკუთრებით ძლიერია, წარმოქმნის ზუსტი ახსნისათვის მიუღწეველს და თავისი დადებითი მოქმედებითა და შედეგებით გამოუნატრევი სულის მდგომარეობას, რომელსაც ღვთის შიში ჰქვია. ეს გრძნობა, აღძრული ცხოვრების პირველი წლებიდან, თანდათანობით დაცული და გაღრმავებული სულის შინაგანი მცველი ხდება, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია უდარაჯოს და დაიცვას სული ყოველი მანკიერებისაგან და უღირსი საქციელისაგან. მასთან ერთად, კეთილ საქმეს სულისათვის ჭეშმარიტი სიხარული მოაქვს და ამიტომ თავისთავად სანუკვარია. ცოდვა და მანკიერება მასში ღრმა სევდასა და მჭმუნვარებას წარმოშობენ და ამიტომ თავისთავად საძულველნი ხდებიან. როცა სული გაიცნობს ამ გრძნობებს, მასში უკვე ჩაყრილია საფუძველი, რომელზეც უეჭველი სარგებლობის მოტანის იმედით შეიძლება დამყარდეს ყველა მცნება და წესი, რაც ზნეობრივ სწავლებასა და კეთილ ცხოვრებას შეეხება. ღმერთი ისადგურებს ადამიანის სულში და მის სინდისში უხილველი მოწმე ხდება ცხოვრებისა, ფიქრისა თუ საქმისა. მისით ადამიანი

ყველგან კარგია, ყველაფერში სანდოა, ეს უბრალო ადამიანებმაც იციან და ძალზე გარკვეულად გამოთქვამენ: „უღმერთო ხარო“, — ასე მიმართავენ სინდისდაკარგულ კაცს. ჩვენ გვიკვირს, რომ ამჟამად ბევრი განათლებული, ინტელექტუალურად ძალზე განვითარებული ადამიანი რატომ ღებულობს გადაწყვეტილებას უღირს საქციელზე მშობლებთან და ნათესავებთან დამოკიდებულებაში, მსხვილ ტაცებაზე, მთავრობის წინააღმდეგ შფოთის აღძვრაში, თვითმკვლელობაზე — რატომ? — უღმერთობისა გამო.

3) ცოტაა იცოდე კარგი და სურვილი გქონდეს მისი მიღწევისა. ამ მიზნის მისაღწევად ამავე დროს, საჭიროა ძალა. ყოველი კეთილი საქმე აწყდება ორ ამოცანას; პირველად, სირთულისა და წინააღმდეგობის გადალახვას, რომლითაც ის გარემოცულია, შემდეგ კი საქმის აღსრულებისათვის ძალისხმევას. ერთიც და მეორეც ადამიანისაგან მტკიცე ნებისყოფას, გამძლეობას, სულიერ მხნეობას, მოუღლელობას, და ყოველივე ამის გარდა, სისტემატურ თვითგამოსწორებას მოითხოვს, და შეუბრალებელ თვითიძულებას სიკეთისათვის, რადგან დაბრკოლებანი სათნოებისაკენ მიმავალ გზაზე უმთავრესად ჩვენშივეა, ვიდრე ჩვენს გარეთ. ამისათვის, როგორც ჩვევა გონების დაძაბვისა, რომელიც აუცილებელია მეცნიერულ შრომაში ბავშვობაშივე ყალიბდება და წლების მანძილზე წრთვითა და ვარჯიშით ვითარდება, ასევე, ნებისყოფა ადამიანისა ბავშვობაშივე მტკიცდება და ვარჯიშითვე სრულყოფილდება. სად ან რომელი ადამიანური აღზრდის სისტემაში ნახავთ ამდენ საგანს ნების ჩამოსაყალიბებლად და სავარჯიშოდ, რამდენსაც მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთაებრივ სწავლებაში, მათ ასეთ სიუხვეს და შეთავსებას ყველა ასაკთან თუ მდგომარეობასთან. და აღსანიშნავია, რომ

ველა ეს სავარჯიშო განათლებულ ადამიანთა უმრავლეს ნაწილისაგან ამჟამად ყვედრებას განიცდის; რატომ უნდა აღვიძებდეთ ბავშვს აღრიანად და აიძულებდეთ უსარგებლოდ ეკლესიაში დგომას. ეს ხომ ამაო წვალებააო — ამბობენ ისინი. არა! — ეს არ არის წვალება, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ბავშვი თანდათანობით შევაჩვიოთ სიფხიზლეს, ყურადღებას, გონების მოკრებას, მოთმინებას ღვაწლში, რის გარეშეც არცერთი კეთილი საქმე არ აღსრულდება. რისთვის უნდა ისმენდნენ ტაძარში ერთი და იგივეს? — იმისათვის, რომ მართლმადიდებელ ღვთისმსახურებაში, რომელიც ზედაპირული ზედვისათვის მხოლოდ ერთი და იგივეს გამეორებაა, ამოუწურავი სიუხვეა შთაბეჭდილებებისა და ჭეშმარიტებისა, რომელიც შთაგონებებითა და მაგალითებით სულიერი სრულყოფილებისაკენ განგვაწყობს, რომელიც არცხვენს ჩვენს დაუდევრობას და გვაძხვლს სიზარმაცეში. რატომ უნდა ვაიძულოთ ბავშვები მათი ჯანმრთელობის საზიანოდ, მიიღონ უხეში და არანოყიერი საჭმელი, ანდა დიდხანს უჭმელად რად უნდა დავტოვოთ? — იმიტომ რომ შევაჩვიოთ ისინი გაჭირვებისა და ხელმოკლეობის ვაჟკაცურად გადატანას, რის გარეშეც არცერთი საქმე არ აღსრულდება, არც ქრისტიანული და არც საზოგადო. წმ.იოანე კიბისაღმწერელი ამბობს: „უინც არ შეეჩვია თავისი სტომაქის აღვირასხმას, მას ჯერ კიდევ არავითარი კეთილი საქმე არ დაუწყიაო“. და გვერწმუნეთ, რომ ყველა ეს წინააღმდეგობა სწორედ იქედან მომდინარეობს, რომ თვით

მათშივე არ არის ჩვევა ჭეშმარიტად ქრისტიანული კეთილმსახურებისა, ხოლო ვისაც ისინი გააჩნია, მისგან მაღალი განათლებისდა მიუხედავად, არავითარი საყვედური არ გამოთქმულა.

ამ მკაცრი სკოლის სულიერ სავარჯიშოებს ჩვენ გულმოდგინედ უნდა გავდიოდეთ ქრისტიან მოღვაწეთა ხელმძღვანელობის ქვეშ და მასში უნდა ვიძინდეთ იმ მაღალ თვისებებს, რომელიც პიროვნებასაც და ერსაც დიდებულს ხდის, ჩვენ კი, ჩვენს განათლებულ საუკუნეში, სამწუხაროდ, ზნეობრივად მოშვებულები ვართ და სულიერ ინდუფერენტულობას განვიცდით. სწორედ ამ მკაცრი ეკლესიური სკოლის წყალობით არ გადაშენდა და არ დაკნინდა ძველი თავადაზნაურობა, არ მოუძღურდა და არ დაწვრილმანდა მოსახლეობა. არ დაცემულა ეროვნული სული. ქრისტიანი ერი გულისყურით გრძნობს თუ რა განძი გამოაქვს ეკლესიიდან, თუ როგორ ნათელ ცოდნას იძენს ღმერთსა და მარადიულ ცხოვრებაზე, ცოდვასა და სათნოებაზე, თუ როგორ იმხილება სისუსტეში, როგორ აღიძვრება გამოსასწორებლად, რა ნუგეშს იღებს მწუხარებაში, მასში ის სულით ცხოვრობს, მასში ის რწმენის წმიდა დღესასწაულებსა და სამამულო ისტორიის დიდებულ მოვლენებს ზეიმობს, და სწორედ ამიტომ, მზადაა ყოველთვის სიცოცხლე დადოს მართლმადიდებელი სარწმუნოებისათვის, ღვთის ეკლესიისა და მშობლიური მიწის სიწმინდისათვის.



კაბადოკიელ ზმინდა მამათა სადაურობისათვის

ქართველ ხალხს თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მსოფლიო კულტურის ისტორიაში მრავალი კუთხით შეუტანია თავისი წვლილი. უპირველეს ყოვლისა, ეს წვლილი გამოვლინდა განუმეორებელი ქართული ხელოვნების — ქართული მუსიკის, არქიტექტურის, ლიტერატურის შექმნით. ქართული ფენომენი თავისი მიმზიდველობით ყველაზე მეტად კახური მრავალფაშიერის, გურული კრიმანჭულის და „შენ ხარ ვენახის“ გალობაში აჟღერდა, მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის კონტურებში გამოინაკვთა, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ამეტყველდა. ამასთან ერთად, ქართველ ხალხს უშუალოდ ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის ფორმირებაშიც მიუღია მონაწილეობა. შუა საუკუნეებში საქართველო მსოფლიო კულტურას უპირატესად ბერძნული ენის, ბიზანტიური სასულიერო მწერლობის გზით უკავშირდებოდა. ქართულიდან ბერძნულ ენაზე თარგმნილი ზოგი ლიტერატურული ძეგლი შემდგომში ევროპული ქრისტიანული ლიტერატურის შედევრად ქცეულა. შეიძლება დავასახელოთ ქართული „ბალავარიანი“, ევროპაში „ვარლაამ და იოასაფის“ სახელით ცნობილი ქრისტიანული ნოველა. ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს ბერძნულ ენაზე შეუქმნია

ქრისტიანული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლი. მაგალითად — გრიგოლ ბაკურიანისძის „პეტრიწონის მონასტრის წესდება“. ზოგიერთი ბერძენი მწერალი კი ეროვნული წარმოშობით ქართველი ყოფილა. ამ მიმართულებით ევროპული კულტურის ისტორია ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს. დიდი ბიზანტიური სასულიერო მწერლობა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაციის ფორმირებაში, არ არის მხოლოდ ბერძენი ხალხის შექმნილი. ამ დიდ ლიტერატურას ბერძნულ ენაზე ქმნიდა სხვადასხვა ეროვნების ხალხი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იყვნენ გაერთიანებული ბიზანტიის დიდ იმპერიაში. ასე მაგალითად, ბრწყინვალე ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი რომანოს მელიოდოსი წარმოშობით სირიელი იყო, ხოლო ქრისტიანული მართლმადიდებლური დოგმატიკის ერთ-ერთი დიდი ფუძემდებელი იოანე დამასკელი არაბი იყო. სავარაუდებელია, რომ ბიზანტიის კულტურულ პროცესში გარკვეული წვლილი იყოს ეროვნული წარმოშობით ქართველი მოღვაწეებისა. საქმე ისაა, რომ ბიზანტიის იმპერიაში შემავალ პონტოსა და კაბადოკიის პროვინციებში უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველური წარმოშობის ტომები — კოლხები, მესხები, ჭანები,

ტიბერელები, ხალიბები, მაკრონები, მოსინიკები და ა.შ. გარდა ამისა, მთელი დასავლეთ საქართველო X საუკუნემდე ბიზანტიის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ ამ ქართველური რაიონების მოსახლეობა თავისი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის სარბიელს ბიზანტიის იმპერიაში ხედავდა. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს — იბერიის ანუ ქართლის ერთადერთი ერთმორწმუნე კულტურული მეზობელი სწორედ ბიზანტია იყო, რომლისკენაც, ბუნებრივია, ქართველები მიისწრაფოდნენ განათლების მისაღებად თუ პოლიტიკურ-კულტურული მოღვაწეობისათვის. ქართველი ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი ტრადიციით ზოგი ბიზანტიელი მოღვაწე ახლობელ, ნათესავ, მშობლიურ პიროვნებადაა ჩათვლილი. ამ ტრადიციამ მისცა სტიმული იმას, რომ ჩვენს ქართველოლოგიურ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულიყო რამდენიმე თეორია თუ ჰიპოთეზა ზოგი ბიზანტიელი მოღვაწის ეროვნული წარმოშობით ქართველობის თაობაზე.

ქართველი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე და ცნობილი ევროპელი მკვლევარი ერნესტ ჰონიგმანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ქრისტიანული თეოლოგიის დიდი ძეგლის ე.წ. არეოპაგიტული კორპუსის ავტორია V საუკუნის ქართველი უფლისწული, შემდგომში დიდი ბიზანტიელი განდევილი და წმინდა მამა პეტრე იბერიელი. კორნელი კეკელიძე ასაბუთებს, რომ IV საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მისტიკოსი ევაგრე პონტოელი ეროვნული წარმოშობით იბერიელი ანუ ქართველი უნდა იყოს. შალვა ნუცუბიძისა და სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, VI-VII საუკუნეების მიჯნის ცნობილი ბიზანტიელი ნოველისტი იოანე მოსხიორენოვანი ქართველი მწერალია. 1962 წელს ჩვენს მიერ წამოყენებული იყო ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ დიდი კაპადოკიელი წმინდა მამები — ხორციელი ძმები ბასილ

დიდი და გრიგოლ ნოსელი ეროვნული წარმოშობით ქართველები უნდა იყვნენ. ჩვენს არგუმენტაცია 1965 წელს გაიზიარა პროფესორმა გიორგი გოზალიშვილმა და თავის მხრივ გამოთქვა ვარაუდი, რომ ასევე ქართული წარმოშობის უნდა იყოს მესამე დიდი კაპადოკიელი წმინდა მამა, ბასილის უახლოესი მეგობარი, გრიგოლ ღვთისმეტყველი.

IV საუკუნის II ნახევრის დასაწყისიდან ქრისტიანულ ეკლესიას დიდ ბურჯად მოეწოდინა სამი დიდი კაპადოკიელი წმინდა მამა: ბასილ დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი. ქრისტოლოგიის ისტორიაში მათი მოძღვრება განეკუთვნება ე.წ. ნეო-ალექსანდრიულ თეოლოგიურ სკოლას. კერძოდ, მათ გააგრძელეს და თავის უმაღლეს განვითარებადმდე მიიყვანეს ქრისტიანული ღმრთისმეტყველების წმინდა ათანასე ალექსანდრიელის ზაზი. მათი პრაქტიკული საეკლესიო მოღვაწეობა მიმართული იყო არიანობის წინააღმდეგ და ემსახურებოდა ნიკეის საეკლესიო კრების მიერ აღიარებული რწმენის სიმბოლოების განმტკიცებას. მათი, როგორც ქრისტოლოგების, მისტიკური ჭვრეტა მიემდგვნა სამების ერთარსების დოგმატის ორთოდოქსული არსის შეცნობას. მათ წვლილად თეოლოგიის განვითარებაში მიჩნეულია ელინიზმისა და ქრისტიანობის მიმართების პრობლემის გადაწყვეტა და ისეთი სამონასტრო სისტემის დამკვიდრება, რომელსაც ჰქონდა განუწყვეტელი თანამშრომლობა მსოფლიო ეკლესიასთან. თუმცა ისინი გაერთიანებულნი იყვნენ საერთო სულიერ და გონებრივი ინტერესებით, ისევე როგორც მტკიცე მეგობრული და ნათესაური კავშირებით, თითოეული მათგანი იყო თავისთავადი პიროვნება. ბასილი მიჩნეულია დიდ მოქმედ მოღვაწედ, გრიგოლ ნაზიანზელი — დიდ ორატორად, ხოლო გრიგოლ ნოსელი — დიდ მოაზროვნედ.

ამ სამი კაპადოკიელი მამიდან ერთადერთია წმ. ბასილი, რომელმაც ბიზანტიის საეკლესიო

ტრადიციით დაიმკვიდრა სახელი „დიდი“. ამ წოდებას იმსახურებს იგი, როგორც ორგანიზატორი საეკლესიო სისტემის, განმმარტებელი ქრისტიანული დოქტრინის, დამცველი ორთოდოქსული დოგმატის, რეჟორმატორი და მამა აღმოსავლური სამონასტრო სისტემისა.

ბასილის მეგობარი წმ. გრიგოლ ნაზიანზელი ამჯობინებდა წყნარ მჭვრეტელობით მოღვაწეობას, ერთმანეთთან აკავშირებდა ასკეტურ ღვთისმოსაობას და ლიტერატურულ საქმიანობას. იგი მიჩნეულია ძველი ქრისტიანობის ერთ-ერთ უდიდეს ორატორად, რის გამოც ბიზანტიაში მას დიდხანს უწოდებდნენ „ქრისტიან დემოსთენეს“, თუმცა საბოლოოდ მაინც დაუმკვიდრდა სხვა და უფრო დიდებული ზედწოდება „ღვთისმეტყველი“.

წმ. გრიგოლ ნოსელი არ ყოფილა ისე ბრწყინვალე ადმინისტრატორი და სამონასტრო კანონმდებელი, როგორც იყო წმინდა ბასილი. იგი წმინდა გრიგოლისაგან განსხვავებით არ ყოფილა არც მიმზიდველი ორატორი და პოეტი. მაგრამ როგორც თეოლოგი და მისტიკოსი იგი ამ სამი დიდი კაპადოკიელიდან ყველაზე მეტად იყო ღვთაებრივი მადლით ცხებული.

წმ. ბასილი დიდი დაიბადა 329 თუ 330 წელს კაპადოკიის ქალაქ კესარიაში ძველ დიდგვაროვანთა დიდებულ ოჯახში, რომელიც განთქმული იყო აგრეთვე თავისი ქრისტიანული სულისკვეთებითაც. მისი დიდედა იყო ცნობილი წმინდანი მაკრინა, წმ. გრიგოლ საკვირველთმოქმედის მოწაფე. წმ. ბასილის მამა, ისიც სახელად ბასილი – წმ. მაკრინას ვაჟიშვილი რიტორიკის ცნობილი მასწავლებელი იყო პონტოს ნეოკესარიაში, სწორედ მისგან მიიღო წმ. ბასილმა პირველდაწყებითი სწავლა-განათლება. წმ. ბასილის დედა ემელია აგრეთვე ქრისტიანული ოჯახიდან იყო. მას ათი შვილი ჰყავდა. ამათგან სამი ეპისკოპოსი გახდა და წმინდანად შეირაცხა: წმ.ბასილი კესარიელი, წმ. გრიგოლ ნოსელი და წმ. პეტრე

სებასტიელი. უმცროსი ქალიშვილი მაკრინა სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო და ეკლესიამ ისიც წმინდანად შერაცხა. ნეოკესარიიდან წმ. ბასილმა სწავლა კაპადოკიის კესარიაში გააგრძელა. აქ გაიცნო მან წმ. გრიგოლ ნაზიანზელი. შემდეგ იგი კონსტანტინეპოლში სწავლობს და ბოლოს ათენში. აქ მას გრიგოლთან ერთად აღეძრა სიყვარული წმინდა წერილისადმი. 357 წლის მახლობლად დაბრუნდა ბასილი კესარიაში, სადაც ერთხანს რიტორიკას ასწავლიდა, მაგრამ მალე საბოლოოდ გადაწყვიტა ქრისტიანობის მიღება და მოინათლა. შემდეგ წმ.ბასილი სამონასტრო საქმის შესასწავლად გაემგზავრა სამოგზაუროდ ეგვიპტეში, პალესტინასა და მესოპოტამიაში.

უკანდაბრუნებულმა წამოიწყო დიდი სამონასტრო მშენებლობა პონტოში მამაპაპეულ საგვარეულო მამულში, ნეოკესარიის მახლობლად მდინარე ირისის ხეობაში. მალე წმ. ბასილი შერყეული მართლმადიდებლური რწმენის დასაცავად ქ.კესარიაში დაბრუნდა. 362 წლიდან იგი არაოფიციალური მმართველი ხდება კესარიის საეკლესიო საქმეებისა. მაგრამ დროდადრო კესარიის ნახევრადარიანულ ეპისკოპოსებთან უთანხმოების გამო იგი გარბოდა პონტოს მონასტერში. 370 წელს წმ. ბასილი გახდა კესარიის ეპისკოპოსი, კაპადოკიის მიტროპოლიტი და პონტოს ეგზარქოსი. გარდაიცვალა ბასილი 379 წლის 1 იანვარს. წმ. ბასილის პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითადი ასპექტი იყო სამონასტრო ცხოვრების გავრცელება პონტოში, კაპადოკიაში და საზოგადოდ შავი ზღვისპირეთში. მანვე თავის მონასტრებს განუწესა სამოღვაწეო ანუ ასკეტური ცხოვრების კანონები. წმინდა ბასილის სამონაზვნო ცხოვრების სისტემამ საუკუნეებს გაუძლო და უაღრესად პოპულარული გახდა მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანობაში. მეორე მხრივ, წმ. ბასილის პრაქტიკული მოღვაწეობა იყო მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენის დაცვისათვის ბრძოლა ამ მიზნით

ბასილი ცდილობდა შეერივებინა აღმოსავლეთის ეპისკოპოსები დასავლეთის ეკლესიასთან და დაერაზმა ისინი არიანობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლას წმ. ბასილი არაერთხელ დაუყენებია საშიშროების წინაშე. 337-378 წლებში არიანობა ბიზანტიაში პრაქტიკულად სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენდა, რომელსაც ბურჯად ედგა რწმენით არიანი იმპერატორი ვალენტი. იგი არაერთხელ შეეცადა წმ. ბასილის არიანობაზე გადაბირებას, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, არიანობასა და ბასილს შორის საერთო ენის გამონახვას. რა ღონეს არ მიმართა იმპერატორმა - საჩუქრები გაუგზავნა ბასილს, გაძევებითაც დაემუქრა, საკუთარი ფეხითაც კი ეახლა, მაგრამ კაპადოკიის კესარიის არქიეპისკოპოსის რწმენა ურყევი იყო. წმ. ბასილის გარდაცვალებიდან ორიოდე წლის შემდეგ 381 წელს მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც კონსტანტინეპოლში გაიმართა, წმ. ბასილის იდეებმა იზეიმა. სათანადო პატივი მიეგო ყველას, ვინც მტკიცედ იცავდა ნიკეის მართლმადიდებლურ სიმბოლოს. სწორედ წმ. ბასილის დაუღალავმა პრაქტიკულმა შოღვაწეობამ მოამზადა ეს დიადი მომენტი ქრისტიანობის ისტორიაში.

წმ. ბასილის სახელთან ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში დაკავშირებულია დიდძალი და პირველხარისხოვანი ლიტერატურა. მიღებულია მათი შემდეგი დიფერენცირება: დოგმატური ნაწერები, რომლებიც მთლიანად არიანობის წინააღმდეგაა მიმართული. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამი წიგნი „ვენომიუსის წინააღმდეგ“ და ფუნდამენტური ტრაქტატი „სული წმიდა“. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე უდიდესი, პოპულარობით სარგებლობდა ბასილი დიდის ასკეტური ნაწერები, რომელსაც ბიზანტიურ მწერლობაში „ასკეტიკა“ ეწოდებოდა, ქართულ თარგმანში კი „ასკეტიკონის“ სახელწოდება მიიღო. იგი თარგმნილია შუა საუკუნეების თითქმის ყველა კულტურულ ქრისტიანი

ხალხის ენაზე და დღემდე 150-ზე მეტი ხელნაწერთაა მოღწეული. ქრისტიანულ აღმოსავლეთში პოპულარული იყო წმ. ბასილის ლიტურგიული ნაწერები. ცალკე უნდა გამოიყოს მისი პედაგოგიური თხზულებანი, განსაკუთრებით მისი ტრაქტატი ახალგაზრდობისათვის, თუ როგორ გამოიყენონ წარმართული ლიტერატურა, და პოშილიები და სწავლანი, რომელთაგან ქართულ მწერლობაში განსაკუთრებით გავრცელდა „ექესთა დღეთა“ — „შესაქმის“ პირველი თავის (მუხლები 1-26) განმარტება და „ფსალმუნთა განმარტებანი“, რომელშიც 18 პოშილია შედის. მათგან სამეცნიერო ლიტერატურაში ბასილის კუთვნილებად თვლება 13 მათგანი: განმარტებანი 1, 7, 14, 28, 29, 32, 33, 44, 45, 48, 56, 61, და 114 ფსალმუნებისა. ამ პერიოდის საეკლესიო ცხოვრების, პონტოს და კაპადოკიისა და ბასილის ოჯახის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მისი ეპისტოლეები ანუ წერილები, რომელთა რაოდენობა დღევანდელ პუბლიკაციებში დაახლოებით სამი ასეულია.

წმ. ბასილის თეოლოგიური ნააზრვეიდან განსაკუთრებით გამოჰყოფენ სამების ფორმულის ტერმინოლოგიურ დეფინიციურებას. ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებიდან დაწყებული ალექსანდრიის 362 წლის სინოდის ჩათვლით ერთგვარი გაურკვევლობა სუფევდა ტერმინების „უსია“ და „ჰიპოსტასი“-ს გამოყენებისას. ზოგჯერ „უსია“ („არსი“) და „ჰიპოსტასი“ სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა და ზოგჯერაც ერთგვარად მისაღებად ჩანდა ორივე გამოთქმა: ღმერთის ერთი ჰიპოსტასი და სამი ჰიპოსტასი. ბასილი იყო პირველი, რომელიც მოითხოვდა ღმერთი ერთი არსის (უსია) და სამი ჰიპოსტასის ტერმინოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებას და მხარს უჭერდა იმ პოზიციას, რომ ერთადერთი მისაღები ფორმულაა ერთის არსი და სამი ჰიპოსტასი. ბასილის ამ ტერმინოლოგიას პირველები გაჰყენენ წმ. გრიგოლ ნაზიანზელი და წმ. გრიგოლ ნოსელი და იგი აღმოჩნდა ერთადერთი

მართებული გზა ქალკედონის საეკლესიო კრების (451 წ.) ორთოდოქსული დეფინიციის მისაღებად.

წმ. ბასილის უმცროსი ძმა წმ. გრიგოლი დაიბადა 335 წელს. მისი მასწავლებელი ძირითადად თვითონ წმ. ბასილი იყო. იგი თავდაპირველად საერო კარიერის გზით წავიდა: რიტორიკის მასწავლებელი გახდა და დაქორწინდა. შემდგომში მისი უფროსი მეგობრების და განსაკუთრებით გრიგოლ ნაზიანზელის შთაგონებით იგი ბერად აღიკვეცა წმ. ბასილის მიერ პონტოში დაარსებულ მონასტერში. 371 წელს იგი განწესებულ იქნა კესარიის მიტროპოლიის პატარა ქალაქის ნისის ეპისკოპოსად. ამიტომ ეწოდება მას გრიგოლ ნისელი (ქართული ტრადიციით ნოსელი). წმ. ბასილი, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, უსაყვედურებდა თავის ძმას, რადგანაც ამ უკანასკნელმა ვერ გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე და მოხერხებულობა საეკლესიო საქმეების მართვაში. 376 წელს ქალაქ ნისაში გამართულმა არიანელ ეპისკოპოსთა და სამეფო კარის მღვდელმთავართა კრებამ იგი გადააყენა ამ თანამდებობიდან. არიანელი იმპერატორის ვალენტის გარდაცვალების შემდეგ წმ. გრიგოლი აღდგენილ იქნა ეპისკოპოსად და დაბრუნდა თავის ეპარქიაში. 380 წელს იგი არჩეულ იქნა სებასტიის არქიეპისკოპოსად. 381 წელს მან წმ. გრიგოლ ნაზიანზელთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო 381 წლის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მსვლელობაში. წმ. გრიგოლ ნოსელის გარდაცვალების თარიღად მიიჩნევენ 394 წელს.

როგორც შენიშნულია, კაპადოკიელ წმიდა მამათა შორის წმ. გრიგოლ ნოსელი არის ყველაზე მეტად მრავალმხრივი და ღრმა აზროვნების ავტორი. IV საუკუნის არც ერთი წმინდა მამა არ იყენებს ისე ფართოდ ფილოსოფიას რწმენის საიდუმლოების ადამიანთათვის განსამარტავად, როგორც ამას წმ. გრიგოლ ნოსელი აკეთებს. ეს ფილოსოფიური ხაზი წმ. გრიგოლის

თეოლოგიაში თავის საფუძველში პლატონურ-ნეოპლატონური მიმართულებისაა. განსაკუთრებით მკაფიოა ამგვარი საფუძვლები მის მცდელობაში, რომ შეათავსოს ერთების და სამების ცნებები. მისი ქრისტოლოგიისათვის დამახასიათებელია ქრისტეს ორი ბუნების მკვეთრი დიფერენცირება. განსაკუთრებით იცავს წმ. გრიგოლი უფლის, იესო ქრისტეს, ადამიანური ბუნების ზისრულეს; იმას, რომ ჩვენს უფალს იესო ქრისტეს ჰქონდა რეალური ადამიანური სული, ადამიანური გონება და იგი ფლობდა თავისუფალ ნებას. წმ. გრიგოლის ინტელექტუალური წვდომის სიღრმე უმაღლეს მწვერვალზე ავიდა მის მისტიკურ თეოლოგიაში. მიჩნეულია, რომ სწორედ ის არის მაკავშირებელი რგოლი, ერთი მხრივ, პლატონს, პლოტინს და ალექსანდრიულ ნეოპლატონიზმსა და, მეორე მხრივ, ფსევდო დიონისე არეოპაგელს შორის. წმ. გრიგოლის ღმრთისმეტყველების ერთი არსებითი თემაა მოძღვრება ადამიანში ღვთაების ხატის შესახებ. სწორედ ამ ხატითაა ადამიანი დაკავშირებული ღმერთთან და მოწოდებული იმისაკენ, რომ შეიცნოს იგი. ამასვე ეფუძნება წმ. გრიგოლის მოძღვრება მისტიკურ ამაღლებაზე.

წმ. გრიგოლ ნოსელის ლიტერატურული შემკვიდრებიდან საგანგებოდ უნდა გამოიყოს დოგმატური ტრაქტატები ევნომიუსის და აპოლინარიუსის წინააღმდეგ, სული წმიდის შესახებ, დიალოგი თავის დასთან მაკრინასთან სულის თაობაზე და სხვ.; ეგზეგეტიკური ნაწერები: „კაცისა შესაქმნისათვის“, რომელიც დაიწერა მისი ძმის, წმ. ბასილის „ექვსთა ღღეთაჲს“ დასრულების მიზნით, განმარტებანი „შესაქმეზე“, ფსალმუნებზე, რვა პომილია „ეკლესიასტეზე“, თხუთმეტი პომილია „ქებათა ქებაზე“ და სხვ.; ასკეტური ნაწერები: ტრაქტატი „ქალწულობისათვის“ და „მაკრინას ცხოვრება“ და სხვ.; ცალკე უნდა გამოიყოს მისი ლიტურგიკული, მორალური, სამგლოვიარო სიტყვანი და წერილები.

წმ. ბასილის უახლოესი მეგობარი წმ. გრიგოლ ნაზიანზელი, ისევე როგორც ბასილი, დაიბადა დაახლოებით 330 წელს კაპადოკიის სამხრეთ-დასავლეთით, ქალაქ ნაზიანზის მახლობლად, სადაც მისი მამა, რომელსაც სახელად აგრეთვე გრიგოლი ერქვა, იყო ეპისკოპოსი. წმ. გრიგოლის დედას სახელად ნონა ერქვა. იგიც, თავად ქრისტიანი მშობლების შვილი, ქრისტესმოსავი იყო. ამ წმინდა ქალის გავლენით მოინათლა მისი ქმარი, ხოლო ვაჟი წმ. გრიგოლი მას თვით დაბადებამდე ღმერთისადმი ჰყავდა მიძღვნილი. გრიგოლის პირველი მასწავლებელი სწორედ დედამისი იყო. შემდეგ იგი სწავლობდა რიტორიკას ბასილთან ერთად კაპადოკიის კესარიასი. სწავლა გააგრძელა ჯერ კონსტანტინოპოლში და შემდეგ ათენში, სადაც საბოლოოდ დაუმეგობრდა ბასილს. 357 წელს იგი დაბრუნდა კაპადოკიაში, მოინათლა და შემდეგ, დაახლოებით 359 წელს, ესტუმრა წმ. ბასილს ახლადდარსებულ მონასტერში, პონტოში. იქ მეგობრები ერთად ეუფლებოდნენ თეოლოგიას და ამუშავებდნენ სამონასტრო კანონმდებლობას. შემდგომში, დაახლოებით 362 წელს წმ. გრიგოლი ნაზიანზის მრევლის დაეინებული თხოვნით მამამისის მიერ ძღველად იქნა განწესებული და აქედან მოკიდებული ნაზიანზის ეპარქიის ადმინისტრაციულ საქმიანობაში აქტიურად ეხმარებოდა მამამისს, რომელიც 374 წელს გარდაიცვალა. წმ. გრიგოლის სულიერი სწრაფვა განმარტობულ ცხოვრებისაკენ და შემეცნებით-ლიტერატურული მოღვაწეობისაკენ იყო მიმართული. ამიტომაც იყო, რომ იგი შიგადაშიგ გარბოდა პონტოში, წმ. ბასილის მონასტერში, 379 წელს წმ. გრიგოლი კონსტანტინოპოლში მიიწვიეს საეკლესიო საქმეების რეორგანიზაციისათვის, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი. ამ პერიოდში კონსტანტინოპოლის მრევლის წინაშე წარმოითქვა მისი ბრწყინვალე ქადაგებები. ბიზანტიის იმპერატორმა თეოდოსიმ იგი დანიშნა დედაქალაქის ეპისკოპოსად, რაც დაამტკიცა მეორე

მსოფლიო საეკლესიო კრებამ. მაგრამ იმავე საეკლესიო კრებაზე ეგვიპტისა და მაკედონიის მღვდელმთავრებმა არ მოიწონეს ეს გადაწყვეტილება სხვადასხვა კანონიკური მიზეზით და იმის გამოც, რომ იგი მიღებული იყო მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მათ ჩამოსვლამდე. ამ ამბავმა ისე გაუცრუა გული წმ. გრიგოლს, რომ იგი განერიდა ქრისტიანული საკრებულოს შემდგომ ხილვას რამდენიმე დღით და გადაწყვიტა კონსტანტინოპოლს განშორებოდა. დედაქალაქის დატოვებამდე მან წარმოთქვა თავისი გამოსამშვიდობებელი ქადაგება საეპისკოპოსო კრებულისა და ხალხის წინაშე. იგი დაბრუნდა ნაზიანზში და გააგრძელა ეპარქიის საეკლესიო საქმეების მართვა. 384 წლიდან იგი თავის საგვარეულო მამულში ეწევა სამოღვაწეო ცხოვრებას და ლიტერატურულ საქმიანობას. გარდაიცვალა წმ. გრიგოლი 389 თუ 390 წელს.

გრიგოლ ნაზიანზელი უაღრესად ნაყოფიერი მწერალია. მას, განსხვავებით სხვა დიდი კაპადოკიელებისაგან, არ იტაცებს დოგმატიკური და ეგზეგეტიკური თემები. იგი წერს ლექსებს, ქადაგებებს და წერილებს. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია დაახლოებით 400 ლექსი, რომელთა როგორც ფორმის ასევე მხატვრული მეტყველების სტილის დახვეწილობა მიუღწეველია ყველა მისი თანამედროვე მწერლისათვის. ამიტომ იყო, რომ იგი ერთნაირად მიმზიდველ და საინტერესო ავტორად ითვლებოდა როგორც შუასაუკუნეების ბიზანტიელი კომენტატორებისათვის, ასევე რენესანსის ეპოქის ჰუმანისტებისათვის. მისი ქადაგებებია თეოლოგიური, აპოლოგეტიკური, პანეგირიკულ-აგიოგრაფიული ხასიათის, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „სიტყუა-ეპიტაფია დიდისა ბასილისათვის“, რომელიც ქართულ ენაზე ორგზის ითარგმნა ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მიერ. წმ. გრიგოლის ლექსები სხვადასხვაგვარია თავისი თემატიკით. ბევრი მათგანი არის დოგმატური, ეხება სამებას, ღვთაებრივი

შესაქმის აქტს, ღვთაებრივ წინასწარჭვრეტას, ჯოჯოხეთს, განკაცებას, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სასწაულებსა და იგავეებს და წმინდა წერილის სხვადასხვა წიგნს. ერთი ჯგუფი მისი ლექსებისა არის მორალური ხასიათის. უმრავლესობა კი ისტორიული და ავტობიოგრაფიულია. წმ. გრიგოლის ლექსებში შეხვდებით ეპიტაფიებს, ეპიგრამებს და აფორიზმებსაც.

წმ. გრიგოლ ნაზიანზელს შთამომავლობამ შემთხვევით არ უწოდა ღვთისმეტყველი. მისი შრომების ერთ უმთავრეს თემას სწორედ ღვთისმეტყველება ანუ თეოლოგია წარმოადგენს. იგი განმარტავს თეოლოგიის არსს, მის მეთოდს, სწავლობს მის წყაროებს, ახასიათებს თეოლოგებს. მის ცნობილ ხუთ ქადაგებას წარმოთქმულს კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსობისას „თეოლოგიური ქადაგებანი“ ეწოდება. წმ. გრიგოლის თხზულებები ეძღვნება საშემოს დოქტრინის დაცვას, იგი ებრძვის. არიუსის და საბელიუსის მწვალებლობებს.

ასეთი იყო სამი დიდი კაპადოკიელი წმინდა მამის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნათქვამს შეიძლება დაემატოს ის, რომ, როგორც მათი ნაწერებიდან ჩანს, წმინდა მამებს დიდი სიყვარულით უყვარდათ თავიანთი სამშობლო, მწარე გულისტკივილით განიცდიდნენ მის მძიმე მღვდმარეობას, აწუხებდათ ის, რომ მათი მშობლიური ხალხი ბიზანტიის იმპერიის მაღალი არისტოკრატიული და საეკლესიო წრეების მიერ ჩამორჩენილ ხალხად იყო მიჩნეული. ის ქვეტექსტი, რომ წმ. ბასილი, რომლის მსოფლიო მოძღვრად აღიარებას ცდილობდნენ მისი დიდი თანამოაზრენი, თავისი სადაურობით და ეროვნული წარმომშობით ზოგიერთების თვალში არ სარგებლობდა მაინცდამაინც მაღალი რეპუტაციით, კარგად ჩანს წმ. გრიგოლ ნოსელის სახოცბო სიტყვიდან წმ. ბასილზე. იგი აფრთხილებდა მსმენელებს, ნუ იმსჯელებდნენ წმ. ბასილზე მისი ხორციელი საქმეებით და ნათესაობით და განესაჯად იგი მისი დიადი ქრისტიანული ქმედებებით;

მაგრამ თუ მაინც მისი წარმომავლობის ძიებას დაიწყებდნენ, სწორად და მართებულად გამოეძიებინათ წმ. ბასილის სანათესაოს დიდი წარსული და ღირსებანი: „დავიდუმით უკვე ქუეყანისა საქმეთა და მამულთათვის თქუმად მას ზედა, რომელთაგანი არცა ერთი არს კუთილ რამე ანუ სანატრელ; ხოლო მამული მისი იგი ვაკენოთ, რომელი მან ფრიად შეიყუარა, და ესრეთ ისწრაფა ვიდრემდის მიემთხვა მას“; ანდა კიდევ: „რომელმანცა უკვე ესევეითარისა მამულისა და ნათესაობისაგან შეასხას მას, მან ჭეშმარიტი თქუას“. თვითონ წმ. ბასილი კი არ მალავდა თავის დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი და საკუთარი სანათესაოსადმი. ვერ ურიგდებოდა რა იმ უბედურებას, რასაც თავის სამშობლოში ზედავდა, წმ. ბასილი ერთ თავის წერილში პათეტიკურად ამბობდა: „თავისკენ მიხმობს მე ჩემი ტანჯული სამშობლო“. სხვა ადგილას კი თავის ბიძას წერდა: „ღმერთო, გამოსაცდელადაც კი არ მომცე რაიმე ისეთი, რომელიც მაიძულებდა ჩემი ნათესაავების დავიწყებას“. დაუუკვირდეთ წმ. გრიგოლ ნაზიანზელის, როგორც პატარა ხალხის შვილის, გულისტკივილს, რომელიც მაღალი ორატორული ხელოვნებითაა ჩაქსოვილი მის კონსტანტინოპოლის მრევლის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში: „ამგვარად, ჩვენ არა ვართ მართალნი იმის გამო, რომ თქვენ დიდნი და სახელოვანნი ხართ, ჩვენ კი მცირენი და მცირედთაგან მოსულნი?“ ანდა კიდევ სხვა ადგილას: „იქნებ თქვას ვინმემ, ეს ჩვენი მქადაგებელი უცხოელია და მოსული მეტად შეზღუდულ და ავხორც ადამიანთაგან, — მაგრამ მოციქულნი? განა ისინი უცხოელნი არ იყვნენ მრავალ ხალხთა და ქალაქთათვის?!“

მაინც რომელია ეს მათი სამშობლო და ვინ არის ის ხალხი, რომელთა უძველეს დიდებასა და იმდროინდელ სიღუგვარესა და სიღატაკეზე ასე არაორაზროვნად წერდნენ ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი? პატრიარქის თანამედროვე

ისტორიკოსები ამ კითხვას არ პასუხობენ. ისინი სამივე წმინდა მამას თვლიან კაპადოკიელებად შემდგომი დაზუსტების გარეშე და ამაზე საკითხის კვლევას წყვეტენ. ჩვენი აზრით, დიდი კაპადოკიელი წმინდა მამები თავიანთი ეროვნული წარმომობილობით ქართველურ სამყაროს უნდა მიეკუთვნებოდნენ. ბასილი დიდის ცხოვრების ამსახველი პირველწყაროების შესწავლამ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ისინი უნდა იყვნენ შავი ზღვისპირეთში, კერძოდ პონტოსა და კაპადოკიაში, მცხოვრები ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელი. აი, ის არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც ვაყალიბებთ ჩვენ ამ თეორიას:

1. როგორც აღვნიშნეთ, პატრისტიკის ისტორია ამ მოღვაწეებს კაპადოკიელებად მიიჩნევს. პირველწყაროების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ დიდი წმინდა მამების კაპადოკიელობა არ უნდა გავივით მითითებად მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის კაპადოკიის პროვინციაზე, როგორც ამ მოღვაწეთა დაბადებისა და მოღვაწეობის ადგილზე. ეს წმინდა მამები თავიანთ თავს ეროვნებით კაპადოკიელებად თვლიდნენ.

„წმინდა ბასილის ცხოვრებაში“, რომელიც ამფილოქე იკონიელს მიეწერება, ახალგაზრდა ბასილის კესარიიდან ათენში სასწავლებლად გამგზავრებაზე ნათქვამია: „და მუნთქუესვე დაუტევა ქუეყანა თვისი, რამეთუ კაბადუკიელი იყო ნათესავით, და მივიდა დედასა სიტყუათასა ათენას“. ძველი ქართული ქუეყანა თვისი“ (მის შესატყვისად ამ თხზულების ლათინურ თარგმანში იკითხება „პატრია“) ნიშნავს სამშობლოს, ხოლო კაბადუკიელი ნათესავით“ (ლათინურად კაპადოქს გენერე“ ნიშნავს ტომით, მოდგმით, ეროვნებით კაპადოკიელს.

თხზულებაში „სული წმიდის შესახებ“ ბასილი დიდი ერთი სიტყვის თაობაზე წერს: ჩვენ კაპადოკიელები ასევე გამოვთქვამთ ჩვენს ადგილობრივ დიალექტზე“.

ამგვარად, წმინდა ბასილი, მისი ძმა გრიგოლ ნოსელი და მისი მეგობარი გრიგოლ

ნაზიანზელი კაპადოკიელები იყვნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში იმის თაობაზე, თუ რა ეროვნების ხალხი იყვნენ კაპადოკიელები, ერთი და გარკვეული აზრი არ არსებობს. საქმე ისაა, რომ „კაპადოკია“ პირველწყაროებში ხშირად გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ტერმინია, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობს. სხვა შემთხვევებში კი სხვადასხვა ანტიკური პირველწყარო კაპადოკიელებად სხვადასხვა ეროვნების ხალხებს ასახელებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვფიქრობთ, მაინც შეიძლება ამოვიცნოთ, თუ რას გულისხმობდნენ ამ ტერმინში კაპადოკიელი წმინდა მამები (და მათი ბიოგრაფები), როდესაც თავიანთ თავს ეროვნებით კაპადოკიელებად თვლიდნენ. საქმე ისაა, რომ ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობას კაპადოკიელთა ვინაობაზე ერთი და მკაცრად ჩამოყალიბებული აზრი აქვს. IV საუკუნის ბიზანტიური საისტორიო მწერლობის აზრით, კაპადოკიელი არის იგივე მესხი. ეს აზრი დაკანონებულია ამ პერიოდის ბერძნულ საეკლესიო მწერლობაში და ბუნებრივია, რომ უწოდებენ რა თავიანთ თავს კაპადოკიელს, ეკლესიის დიდი წმინდა მამები ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ნაზიანზელი თვლიან, რომ ისინი მესხური მოდგმის ხალხს მიეკუთვნებიან თავიანთი ეროვნებით.

ამ ტრადიციის ჩამოყალიბება ბიზანტიურ ეპოქამდეა საგულვებელი. ჯერ კიდევ პირველი საუკუნის მოღვაწე იოსებ ფლაბიოსი წერდა: „მოსოხენები დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ“. ეს თვალსაზრისი გაბატონებული ხდება სწორედ ბიზანტიურ მწერლობაში, სწორედ IV საუკუნიდან, კაპადოკიელ წმინდა მამათა მოღვაწეობის დროიდან. ევსტათი ანტიოქელი (IV ს.) ნოეს შთამომავლობაში ასახელებს ოსოხს, რომლის შესახებ წერს: „ოსოხი, რომლისგან არიან მესხები, დღევანდელი კაპადოკიელები“. V საუკუნის I ნახევრის ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოდორიტე კვირიელი თავის „საეკლესიო ისტორიაში“ არაერთგზის იმეორებს მესხების

კაპადოკიელებთან გაიგივების .თეზისს. იგივე აზრი მეორდება ბიზანტიის საისტორიო მწერლობაში X და XI საუკუნეებშიც კონსტანტინე პორფიროგენეტიზ და ლეონ გრამატიკოსის საისტორიო თხზულებებში.

მაშასადამე, ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობაში მიჩნეულია, რომ კაპადოკიელები არიან მესხები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, უწოდებენ რა თავიანთ თავს კაპადოკიელებს, ეკლესიის დიდი წმინდა მამები ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი და გრიგოლ ნაზიანზელი თვლიან, რომ ისინი თავიანთი ეროვნებით იმ ეთნოსის ხალხებს მიეკუთვნებიან, რომელთა წინაპრებს ეწოდებოდათ მესხები.

II. პირველწყაროები საშუალებას იძლევიან კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ ბასილი დიდის და გრიგოლ ნოსელის საგვარეულოს ეროვნული წარმოშობილობა. საქმე ის არის, რომ ეს წმინდა მამები, რომლებსაც საეკლესიო ისტორიამ კაპადოკიელები უწოდა, წარმოშობით პონტოდან იყვნენ. გრიგოლ ნაზიანზელის მოწმობით ისინი ეკუთვნოდნენ პონტოს ძველისძველ მკვიდრ და დიდგვაროვან ოჯახს, იმ გვარს, რომელსაც პონტოელები ძველთაგანვე მრავალ კეთილ და დიდებულ საქმეს მიაწერდნენ. სწორედ პონტოში მდებარეობდა წმ.ბასილის მამაპაპეული მამული, სადაც ცხოვრობდა მისი დიდი ოჯახი, სადაც დააარსა მან საკუთარი მონასტერი და სამონასტრო მოღვაწეობას ეწეოდა მისი და წმინდა მაკრინა, აგრეთვე ძმა ნავკრატოსი; სადაც თვითონ წმ.ბასილი მისდევდა ასკეტურ ცხოვრებას და წერდა თავის ლიტერატურულ ქმნილებებს. პონტოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველური წარმოშობის ტომები. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ათასწლეულის II ნახევარში შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე ჩნდება ქართველური მოდგმის ტომების მუშქებისა და ტაბალების დიდი გაერთიანება დიაოხი, ხოლო მისგან ჩრდილოეთით კოლხა. უფრო მოგვიანებით

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით წყაროები უჩვენებენ ქართველური ტომების ხალხების თუ ხალიბების გაერთიანებას ხალიტუს, შემდეგ მდ.ჭოროხის სათავეებში სასპერების დიდ გაერთიანებას. ჩვენს წელთაღრიცხვამდე I ათასწლეულის შუა საუკუნეებისათვის ეს პოლიტიკური გაერთიანებები უკვე აღარ არსებობენ (კოლხა, როგორც პოლიტიკური ერთეული, III საუკუნის დასაწყისამდე ჩანს წყაროებში), მაგრამ მათში შემავალი ხალხები ისევ ცხოვრობენ შავიზღვისპირეთის ზოლზე. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ქართველური ტომების და მათი მეზობელი სხვა ხალხების მიწა-წყალზე შეიქმნა პონტოს ელინისტური სამეფო, რომელიც გაუქმდა ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნის შუა წლებში. იგი შევიდა რომის იმპერიაში პონტოს დიოცესის სახელწოდებით და ამით ქართველი ტომებიც რომისა და შემდგომში ბიზანტიის გამგებლობაში მოექცნენ. როდესაც IV საუკუნის პონტოს მოსახლეობაზე ვმსჯელობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ დროისათვის ქართველური მოსახლეობა ძირითადად პონტოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობს, დაახლოებით მდინარე ირისის მიდამოებიდან მოკიდებული. პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ ამ ტერიტორიაზე მოსახლეობენ ქართველური ტომები: ხალიბები, ტიბერენები, მოსინიკები, მაკრონები, კოლხები, სანები, ლაზები. პონტოს აღმოსავლეთით მომიჯნავე რომის იმპერიის მცირე არმენიის პროვინციის ტერიტორიაზე კი — სხვა ქართველური ტომები: სასპერები, ტაოხები, მოსხები. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პონტოს სამეფოს დამარცხების შემდეგ უფრო აქტიურად იწყება ამ მხარის ელინიზაცია. ჩნდება ბერძნული მოსახლეობაც. განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ქალაქებში — ბერძენთა ახალშენებში. პონტოს მოსახლეობის ერთ ნაწილს სომხებიც

წარმოადგენდნენ. ეს აიხსნება ძირითადად იმით, რომ პონტოს მოსაზღვრედ იყო სომხეთის ელინიზირებული სახელმწიფო, რომლის მოსახლეობა მიისწრაფოდა ზღვისაკენ.

წმ.ბასილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველწყაროების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ: 1. ბასილი არ იყო არც ბერძენი და არც სომეხი. 2. ბასილის საგვარეულო მამული მდებარეობდა პონტოს აღმოსავლეთ ნაწილში, სწორედ მდინარე ირისის ხეობაში, რომელიც ოდითგანვე ქართველური მოდგმის ხალხებით იყო დასახლებული.

1. კაპადოკიელი წმინდა მამები რომ არ იყვნენ ბერძნები, აშკარად ჩანს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტებით, კერძოდ: ფსევდო ამფილოქე იკონიელის „წმინდა ბასილის ცხოვრებაში“ საბერძნეთში სასწავლებლად გამგზავრებული ბასილის ეროვნებით კაპადოკიელად გამოცხადებით და მის მიერ სამშობლოს დატოვებაზე მითითებით; წმ.ბასილის მიერ კაპადოკიის გამოცხადებით თავის ტანჯულ სამშობლოდ, ხოლო კაპადოკიური დიალექტის მშობლიურ ენად მიჩნევით; წმ.გრიგოლ ნაზიანზელის მიერ კონსტანტინოპოლში თავისი ხალხის, როგორც მცირე ხალხის, კონსტანტინოპოლელებთან, როგორც დიდ ხალხთან დაპირისპირებით, გარდა ამისა ყურადღება უნდა მიექცეს ერთ პასაჟს, რომელიც იკითხება წმ.გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებაში „სიტყვა-ეპიტაფიად ბასილ დიდზე“. წმ.გრიგოლი მოგვითხრობს ახალგაზრდა ბასილის სასწავლებელში ჩამოსვლაზე. ათენის სასწავლებელში დამკვიდრებული წესის თანახმად, ბასილი სხვა უცხოელ სტუდენტებთან ერთად მოუთავსებიათ. აქ მას გრიგოლ ნაზიანზელის გარდა ნაცნობი სომხებიც დახვედრია. ამ უკანასკნელებს კი ბასილის, როგორც უცხოელისა და ახალმოსულის წინაშე, თავიანთი უპირატესობის დამტკიცება მოუწოდებიათ და მასთან კამათი დაუწყიათ.

აქედან აშკარად ჩანს, რომ ბასილი კესარიელი არ იყო ბერძენი, რადგანაც საბერძნეთში ბერძენთა შორის მოსწავლე სომხები ბასილის უცხოელობის (ანუ ბერძნობის) გამო მის წინაშე უპირატესობას ვერ მონიშნებდნენ.

ამავე ეპიზოდთან ისიც ნათლად ჩანს, რომ ბასილი იყო უცხოელი არა მარტო ბერძენთათვის, არამედ სომეხთათვისაც. მაშასადამე, იგი არ იყო არც სომეხი. ამ უკანასკნელ დასკვნას მხარს უჭერს სხვა პირველწყაროებიც: ბასილი კესარიელს, როგორც კაპადოკიის მიტროპოლიტს, 372 წელს იმპერატორმა დააავალა მოეგვარებინა მცირე არმენიაში არსებული საეკლესიო უთანხმოებანი, მაგრამ მას დამხმარედ დაუნიშნეს ადგილობრივი სომეხი ეპისკოპოსი, რომელსაც უნდა შეევესო ბასილის მიერ სომხური ენის და სომხური ზნე-ჩვეულებების უცოდინარობა. ამის შესახებ ცნობები დაცულია ბასილის ერთ-ერთ წერილში კომეტ ტერენტიუსის მიმართ. წმ.ბასილის სხვა წერილში, რომელიც გაგზავნილია მცირე არმენიის ქ.სატალის მოქალაქეებისადმი, გადმოცემულია შემდეგი ამბავი: ბასილმა სატალის სომხურ მრევლს ეპისკოპოსად განუწესა თავისი ნათესავი. წმ.ბასილი უმტკიცებს სატალის მოქალაქეებს, რომ ახალი ეპისკოპოსი მან მოსტაცა თავის ხალხს, ნათესავებს, დედას და გაგზავნა სომხეთში. ამის წინააღმდეგი იყო ახალი ეპისკოპოსის მთელი სანათესაო, მშობელი ხალხი. თავიანთი მხრივ სატალის მცხოვრებლებმა, წმ. ბასილის მიმართვის თანახმად, უნდა გაამართლონ ბასილის ნდობა და მეგობრული და შინაურული მიღებით ახალ ეპისკოპოსს შეუმსუბუქონ სამშობლოსაგან განშორებით გამოწვეული სევდა.

2. ის გარემოება, რომ პონტოს ძველისძველი მკვიდრი ბასილის საგვარეულო ეროვნებით არ მიეკუთვნებოდა არც ბერძნულ სამყაროს და არც სომხურ სამყაროს, გვაფიქრებინებს, რომ ეს საგვარეულო

ქართველური მოდემის, ქართველური წარმოშობის, ანუ ეროვნების უნდა იყოს. ამ ვარაუდს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ, როგორც პირველწყაროდან ჩანს, ბასილის მამის საგვარეულო მამული იყო აღმოსავლეთ პონტოში, პონტოს იმ ნაწილში, რომელიც ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ბასილის საგვარეულო მამულის შესახებ ცნობები დაცულია გრიგოლ ნოსელის თხზულებაში „წმინდა მაკრინას ცხოვრება“. წმ. გრიგოლი გვესაუბრება წმ. ბასილის და თავისი ძმის ნაკრატის შესახებ. იგი თურმე მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდა მათი მამულის რომელიღაც კუთხეში. აი, როგორ იკითხება გრიგოლ ნოსელის სიტყვები ამ მამულის ადგილმდებარეობაზე ძველ ქართულ თარგმანში: „ესე უკვე ნაკრატის მიიწია მალნართა მათ პონტოსათა; და დაემკდრა ადგილსა უდაბნოსა ირის მდინარისა მახლობელად, რომელი-იგი მთამოვალს სომხითით, და განჰვლის შორის პონტოსა და ადგილნი რაჲ ჩუენნი წარვლნეს; ექსინოესა ზღუასა შეერთვის, რომელ არს პონტო“. მაშასადამე, ბასილის მამის მამული („ადგილნი ჩუენნი“) გამიჯნულია სომხეთისაგან და მდებარეობს პონტოში მდინარე ირისის ხეობაში. ბასილის მთელი ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ადგილთან, მან სწორედ ამ მდინარის ნაპირს, ანისში, სადაც მისი დიდება, დედა და და ცხოვრობდნენ, დააარსა მონასტერი. ამ ადგილთანაა დაკავშირებული მათი ოჯახის მთელი ისტორია. საყურადღებოა პირველწყაროებში დაცული ამ ადგილმდებარეობის გეოგრაფიული სახელები. ესენია ანისი და ირისი. ეს სახელებია „ისი“ დაბოლოებიანი ნანათესაობითარი წარმოების საკუთარი სახელები. გეოგრაფიული სახელების ასეთი წარმოება ენათმეცნიერებაში ქართველური ენების სპეციფიკადაა მიჩნეული. ამას ადასტურებს სახელები: თბილისი, კრწანისი, დმანისი, ქუთაისი, ფაზისი, ხერთვისი და სხვები. განსაკუთრებით ხშირია ასეთი წარმოების სახელები სწორედ პონტოს იმ

ნაწილში, სადაც ქართველური ტომები მოსახლეობდნენ.

მაშასადამე, წმ. ბასილის და წმ. გრიგოლ ნოსელის საგვარეულო პონტოში მცხოვრებ ადგილობრივი, ქართველური წარმოშობის ძველისძველ ხალხს მიეკუთვნებოდა.

ხომ არ არის რაიმე წინააღმდეგობა იმ გარემოებებში, რომ თავის თავს ეს მოღვაწეები კაპადოკიელებად თვლიდნენ, ხოლო მათი საგვარეულო პონტოს მკვიდრი იყო? რა თქმა უნდა, არა! პონტოსა და კაპადოკიაში რომ ერთმანეთის მონათესავე ხალხები ცხოვრობდნენ, ეს აშკარად ჩანს პირველწყაროებში. ამიტომაც იყო, რომ ეს ორი მხარე ხშირად რომისა და ბიზანტიის იმპერიების ოფიციალური დაყოფით ერთ ადმინისტრაციულ ნაწილად იყო გაერთიანებული. პონტოს ტერიტორიაზე უძველეს პერიოდში კოლხეთის ძლიერი სახელმწიფო იყო ლოკალიზებული და იქედან მოკიდებული, თვით IV საუკუნეშიც ამ ტერიტორიაზე საკუთრივ კოლხთა ტომიც ცხოვრობდა. კაპადოკიელებს კი ბიზანტიური წყაროები, როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, უძველეს მესხებთან აიგივებდნენ. მესხები რომ კოლხების მონათესავე ხალხები იყო, უფრო სწორად, რომ ისინი ერთ ეთნოსს განეკუთვნებოდნენ, ეს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ბერძენებმა იცოდნენ. ამ თვალსაზრისით საკმარისია ვავიხსენოთ ჩვ. წელთაღრიცხვამდე VI-V საუკუნეების მიჯნის ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის პეკატის ცნობილი ფრაგმენტი, რომელშიც იკითხება: „მოსხები კოლხურ ეთნოსს განეკუთვნებიან“.

III. როგორც ზემოთ მივუთითებდით, კაპადოკიელი წმინდა მამები დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდნენ და წერდნენ თავიანთი ხალხის მძიმე მდგომარეობაზე, პირველ რიგში მათ გაუნათლებლობაზე. მაგრამ ამავე დროს მათ ნაწერებში ისიც იგრძნობა, რომ ისინი მაღალი წარმოდგენისა იყვნენ საკუთარი ერის წარსულზე. მაგრამ, რამდენადაც ეს წარსული წარმართი ხალხის

უკველეს თქმულებებს შეეხება, წმ.ბასილის ცხოვრების ქრისტიანი აღმწერლები მათი ვადმოცემისაგან თავს იკავებენ. სწორედ ამიტომაც, რომ ბასილი კესარიელის აგიოგრაფები (გრიგოლ ნაზიანზელი და გრიგოლ ნოსელი) ბასილის წინაპრებში და ნათესავეებში დაჟინებით ეძიებენ ქრისტიანებს და მხოლოდ მათ ამბებს გადმოსცემენ (ბასილის დიდების, დის და ძმის ამბები). მიუხედავად ამისა, აშკარად ჩანს, რომ მათ ძალიან კარგად იციან ბასილის მშობელი ხალხის ძველი დიდების ამბავი და სწორად აფასებენ მას. ამაზე ნათლად მიუთითებს შემოთ მოყვანილი ნაწყვეტები წმ.გრიგოლ ნოსელის სახოტბო სიტყვიდან ბასილი დიდზე: კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით წმ. გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვები. ახასიათებს რა ბასილის წინაპრებს, როგორც მხედართმთავრებს, რიტორებს და სხვა, წმ. გრიგოლი უპირისპირებს ამ ხალხის ძველ დიდებას ბერძნული მითოლოგიის ამბებს და წერს: ჩვენ რომ მოვისურვოთ მათზე ლაპარაკი, შესაძლებელია მათ წინაშე გაუფასურდნენ შთამომავლობანი პელოპისისა, ეკროპისისა, ალკმეონისა, აიაკისისა, ჰერაკლისა და სხვა თვალსაზრისით მათი წარსულისა. ეს სიტყვები ეფრემ მცირის თარგმანში ამგვარად ეძღვრება: „რომელთა უკუთუშტა ჯერ იყო თქუმად ჩუენდა მნებებელთათვის არარადმტა ივენეს ჩუენდა პელოპიდნი და ეკროპიდნი და ალკმეონნი, აკიდენი და ირაკიდენი და რომელთასა არარად უმადლეს“.

სხვა ადგილას გრიგოლ ნაზიანზელი კიდევ უფრო აზუსტებს ბასილის წინაპრების შიშართ მათქვამი სიტყვების ადრესატს. და ეჭვი აღარ ჩნდება, რომ ბასილის წინაპრებს იგი თვლის მონათესავედ და მემკვიდრედ იმ ხალხისა, რომელთა სახელთანაც არის დაკავშირებული ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ძველი კოლხეთის ამბები. კერძოდ: მამის მხრიდან ბასილის წინაპრების შესახებ პონტო-კაპადოკიის იმ თქმულებებს, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან მისივე ძველ

საკვირველებებს, რომელთაგან აღსავსე არიან ნაწერები ისტორიკოსებისა და პოეტებისა. ეფრემ მცირის თარგმანით: „მრავალთა მამისა მისისათვის პონტო-წინა-დაგვ დებს თხრობათა. და არავის ძველთაგანისასა უდარეს-ჰყოფს მის თვსთა საკრველებათა, რომელთაგან აღსავსე ყოველნი აღმწერელობანი და სიტყვს-მოქმედებანი“.

ე.ი. გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვით, პონტო ბასილის წინაპრებზე შოგვიტხრობს ისეთ ამბებს, რომლებიც არაფრით არ ჩამოუვარდება მისივე ძველ საკვირველებებს. ამბები, რომლებსაც ბასილის წინაპრებზე შოგვიტხრობენ პონტოში, არის ძველი დიდების ამბები ამ გვარისა, რომლებსაც თვითონ გრიგოლ ნაზიანზელი ასე ახასიათებს: „არავისსა უდარეს ივენეს ახონებითა, და სიმდიდრითა, ერისთვობითა, და პატიოსნებითა წინაშე მეფეთასა. და სიმადლითა საყდართათა, და პატივითა ერთა მიერ და ბრწყინვალებითა სიტყუათათა“. ხოლო პონტოს ძველი საკვირველებები, რომლებსაც ადარებს გრიგოლ ნაზიანზელი ბასილის საგვარეულოს ამბებს, არის ძველი კოლხეთის მითოლოგიური ამბები, რომლებიც აღწერილია ისტორიკოსებისა და პოეტების მიერ. რომ ამ შემთხვევაში მართლაც ძველი კოლხეთის მითზე — არგონავტების თქმულებაში აღწერილ აიეტის სამეფოს ამბებზეა ლაპარაკი, ეს ჩანს იქედანაც, რომ სწორედ ამგვარად მოიხსენებენ ამ პერიოდის სხვა ბიზანტიელი მწერლებიც ამ ამბებს. კერძოდ თემისტოისი (IV საუკუნე) და აგათია სქოლასტიკოსი (VI საუკუნე) აიეტ მეფის ამბებს მსგავსად გრიგოლ ნაზიანზელისა უწოდებენ საკვირველ და დაუჯერებელ ამბებს, რომლებსაც პოეტები გაკვირვებით გვიამბობენ. ჩვენი თვალსაზრისის სისწორეში კიდევ უფრო გვარწმუნებს XI საუკუნის ქართველი მეცნიერი ეფრემ მცირე, რომელიც თარგმნის რა გრიგოლ ნაზიანზელის ამ სიტყვებს, იქვე ურთავს კომენტარს: „შეისწავე, რამეთუ მამა დიდისა, ბასილისი პონტოელი იყო. ამისთვის მისთა ჰამბავთა მთხრობელნი თანა-შეატყუნა

საკრველებითა ძუელთა ამათ აღმწერელთა, ვითარ-იგი იყუნეს ქსენოფონ და პოლოვიოს და სხუანი მრავალნი; და კუალად სიტყვ-სმოქმედთაცა, ვითარ-იგი არს აპოლონიისი არღონავსპტიკონი და სხუათა არამცირედთა, რამეთუ ამათნი აღწერანი და სიტყვ-სმოქმედებანი აღსავეს არიან პონტოესა საკრველებათაგან“.

ე.ი.ეფრემ მცირის თანახმად, გრიგოლ ნაზიანზელის მიერ დასახელებული ისტორიკოსები („აღმწერლები“) არიან ქსენოფონტე და პოლიბიოსი, ხოლო პოეტი („სიტყვსმოქმედი“) აპოლონიოს როდოსელი მისი „არგონავტიკით“. ცნობილია, რომ დასახელებული სამივე მწერალი გადმოგვცემს მითოლოგიურ და ისტორიულ ცნობებს ქართველი ტომების და, კერძოდ, სამეფოს შესახებ.

ამგვარად, უდავოა, რომ გრიგოლ ნაზიანზელი ბასილის საგვარეულოს მიაკუთვნებს ხალხს, მემკვიდრეს იმ კოლხეთისა, რომლის ძველი დიდება არგონავტთა თქმულებების ციკლითაა გადმოცემული.

ამ არგუმენტებზე დაყრდნობით ვფიქრობთ ჩვენ, რომ კაპადოკიელი წმინდა მამები ბასილი დიდი და მისი ძმა გრიგოლ ნოსელი თავიანთი ეროვნული წარმოშობილობით ქართულ სამეფოს უკავშირდებიან, კერძოდ დასავლეთ - საქართველოს ერთ-ერთი ქართველური ტომის წარმომადგენელი უნდა იყვნენ. მათი მამაპაპური ოჯახი IV საუკუნის I ნახევარში ცხოვრობდა აღმოსავლეთ პონტოში, სადაც ძირითადად ქართველური ტომები მოსახლეობდნენ; ისინი თავიანთ თავს თვლიდნენ კაპადოკიელებად, რაც ამ დროისათვის მესხების სახელად ითვლებოდა; და თავიანთ უძველეს წარსულად ძველი კოლხეთის ამბებს მიიჩნევდნენ.

ჩვენი კვლევა-ძიება წმ.ბასილის და მისი ოჯახის გარშემო არსებული პირველწყაროების შესწავლაზეა აგებული. აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ ამავე ნაციონალურ გარემოს ეკუთვნოდა

წმ.გრიგოლ ნაზიანზელი. ეს ჩანს წმ.გრიგოლის იმ პოზიციით, რომელსაც იგი იჭერს ბერძენთა მიმართ და წმ.ბასილის, მისი ოჯახის და მისი წინაპრების მიმართ. მაგრამ მეცნიერული არგუმენტების სიმკაცრე მოითხოვს ამ თეორიის სისწორის დასამტკიცებლად წმ.გრიგოლის ცხოვრების პირველწყაროების დეტალურ შესწავლას.

ისმის კითხვა: რა ადგილი უჭირავს წმინდა ბასილს ქართველი ხალხის ტრადიციებში თვლის თუ არა მას ძველი საქართველო ახლობელ, მშობლიურ მოღვაწედ? ამ თვალსაზრისით ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მომენტს მივაქციეთ ყურადღება:

1. ძველი საქართველო ტრადიციულად კაპადოკიას მშობლიურ ქვეყნად მიიჩნევდა ხოლო კაპადოკიელებს მხოლოდ ქართველებად. წმინდა გიორგი, რომლის სახელი ესოდენ მშობლიურადაა მიჩნეული საქართველოში, კაპადოკიელი იყო. ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს განმანათლებელი წმინდა ნინო ეროვნებით ქართველი ქალი უნდა ყოფილიყო ხოლო ტრადიცია ამ ახლობელ, მშობლიურ ქალს კაპადოკიელად მიიჩნევს. ზოგი მეცნიერის მოსაზრების მიხედვით კაპადოკიელებად არიან გამოცხადებული საქართველოში სამონაზვნო ცხოვრების დამამკვიდრებელი ათცამეტი ასურელი მამა და ბიზანტიიდან პირველად გამოგზავნილი სამღვდლო პირები. გასული საუკუნის მეორე ნახევარში პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა დ.ჩუბინაშვილმა რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ თავის ბროშურაში სცადა დაემტკიცებინა მთელი კაპადოკიის მოსახლეობისა და ქართველი ხალხის ნათესაობა. ეს ნაშრომი 1877 წელს გამომოქცა ილია ჭავჭავაძის ჟურნალში „ივერიაში“ სათაურით: „ეთნოგრაფიული განხილვა ძველი და ახალი კაპადოკიის ანტიკანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“. თვით ნაშრომის შექმნაც და მაშინდელ საქართველოში მისი პოპულარობაც ძირითადად განაპირობა ქართველ ხალხში

დამკვიდრებულმა აზრმა, რომლის დახედვითაც კაპადოკიელი მოღვაწეები ქართველთათვის მშობლიურად და ახლობლად არიან მიჩნეულნი. ამრიგად, ბასილი დიდიც, როგორც კაპადოკიელი, ქართველ ხალხს მშობლიურ მოღვაწედ მიაჩნია.

2. არც ერთი წმიდანის ხსენების დღე არ შესულა ისე ღრმად ქართველი ხალხის ისტორიაში, როგორც წმინდა ბასილისა. იგი ფართოდ აღინიშნებოდა გურიაში, ჯავახეთში, რაჭაში, ქართლში და საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევსურეთში. გურიაში ახალი წლის დღესასწაულზე — კალანდობაზე (დღევანდელ საბერძნეთში კალანდას საშობაო სიმღერას უწოდებენ) აკეთებდნენ ჩიჩილაკს, რომლის მთავარი ნაწილი ათლილი თხილის ტოტია, რომელსაც ნათალები ბურბუშელასავით ჰკიდა, და მას ბასილის წვერებს“ უწოდებდნენ. ქართლში, ჯავახეთში და რაჭაში ამ დღეს აცხობდნენ საგანგებო დანიშნულების პურს, რომელსაც „ბასილა“ ერქვა. ეს წეს-ჩვეულებები დღევანდელ საქართველოსაც შემორჩა, მხოლოდ დღეს ისინი აღარაა ლოკალიზებული ცალკეული კუთხეებით, უფრო ზოგადქართველურია და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეხვდებით. ძნელი სათქმელია ამ ხალხური რიტუალებიდან რომელი უკავშირდება წმინდა ბასილის და რომელი „ბასილევსის“ (მეფის) სახელს. ეს უკანასკნელი შეიძლება ჩანდეს საშობაო თუ საკალანდო „ბასილას“, ანუ როგორც მას დღეს საქართველოში უწოდებენ, „ბასილის კვერის“ სახელში, რადგანაც შობის წინა დამეს ამგვარი პურის გამოცხობის ტრადიცია ბერძენ ხალხსაც შემოუნახავს (მას ბასილოპიტა ანუ ბასილის კვერი ქვია). თანაც ამ პურში, როგორც ქართული, ასევე ბერძნული ტრადიციით მონეტას — ვერცხლის ფულს დებენ, რომელზედაც ძველ დროში ბუნებრივია მეფის ანუ ბასილევსის სახე აქნებოდა გამოხატული. ვფიქრობთ, იგივე არუნდა ითქვას ჩიჩილაკის და „ბასილის წვერების“ რიტუალზე. ჩიჩილაკით ჩვენში

ახალ წელს ეგებებოდნენ. ახალი წლის დღე, პირველი იანვარი, კი ამავე დროს წმინდა ბასილის ხსენების დღე იყო.

3. ძვ.ქართულ მწერლობაში ბასილ დიდის ნაწერებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის ძირითად ნაწარმოებთაგან ქართულ ენაზე თითქმის ყველა უნდა ყოფილიყო თარგმნილი. ზოგიერთი მათგანი, მაგ. ბასილის „ასკეტიკონი“, ქართველებს უთარგმნიათ რამოდენიმეჯერ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კულტურულ-ლიტერატურულ ცენტრში. გარდა იმ თხზულებებისა, რომელნიც ნამდვილად ბასილი კაპადოკიელს ეკუთვნის, ქართულ მწერლობაში წმ.ბასილის სახელს ატარებს უამრავი ნაწერი, რომელთაგან თავისი სიმრავლით გამოირჩევა ლოცვები. ქართველი მწერლები მეცნიერულად ამუშავებდნენ ბასილი კაპადოკიელის ნაწერებს, აჯგუფებდნენ მათ და ადგენდნენ მათგან სხვადასხვა დანიშნულების კრებულებს.

მდიდარია ძველი ქართული მწერლობა ბასილი კაპადოკიელისადმი მიძღვნილი თხზულებებითაც. ქართულად თარგმნილია არა მარტო წმინდა ბასილისადმი მიძღვნილი გრიგოლ ნაზიანზელის, გრიგოლ ნოსელის და ფსევდო ამფილოქე იკონელის შემოთდასახელებული თხზულებები, არამედ ბასილი დიდისადმი მიძღვნილი საგალობლებიც, რომელთაგანაც ძალზე ბევრი დღესაც დაცულია ქართულ ხელნაწერებში. საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ ძველ ქართველ ჰიმნოგრაფებს წმინდა ბასილისადმი მიძღვნილი საკუთარი, ორიგინალური საგალობლები შეუქმნიათ. რამდენიმე მათგანი დღემდე შემორჩენილია და იკითხება ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში.

4. წმინდა ბასილის ქართულ სამეაროსთან დაკავშირების თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ქართული ტრადიცია საგანგებო ყურადღებას აქცევს ბასილის პონტოელობას. ეს განსაკუთრებით შეინიშნება ქართულ ორიგინალურ საგალობლებში წმინდა ბასილზე, კერძოდ,

იოანე მტბევარის საგალობელში და მიქელ მოდრეკილის „იადგარში“ შესულ სხვა საგალობლებში ბასილი დიდზე. მათში წმ.ბასილი წოდებულია არა კესარიელად, არამედ ნეოკესარიელად. ნეოკესარია პონტოს დედაქალაქი იყო და ბასილის საგვარეულო მამული მასთან ახლოს მდებარეობდა. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ამ თვალსაზრისით ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის ეფრემ მცირის აზრი. მან ექვთიმე ათონელის თარგმანის შემდეგ ხელმოკრედ თარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის ცნობილი თხზულება „სიტყვა-ეპიტაფია დიდისა ბასილისათვის“ და დაურთო მას საკუთარი კომენტარები. ეფრემმა შეისწავლა ბიზანტიურ მწერლობაში არსებული გრიგოლ ნაზიანზელის ამ თხზულებისადმი მიძღვნილი ყველა კომენტარი და მათი თარგმნით შეადგინა თავისებური კრებული „ზღაპრობანი ბასილი დიდის ეპიტაფიასა შინა შემოღებულინი“. ეფრემი ერთ-ერთ თავის კომენტარში, როგორც აღვნიშნეთ, გარკვევით მიუთითებს, რომ ბასილი კესარიელის მამა პონტოელი იყო და ეს ის პონტოა, რომელზედაც მოგვითხრობს არგონავტების მითი. ეფრემი თავის ორიგინალურ კომენტარებში საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ბასილის პონტოელობაზე. იმ ადგილას, სადაც, ტექსტში საუბარია ბასილი კესარიელის პონტოელებთან უთანხმოებაზე, ეფრემ მცირეს თავის მოვალეობად მიაჩნია განმარტოს, რომ ამ უთანხმოების მიზეზი იყო „ეპარხოსი ევსევია“, რომელიც იყო დედოფლის ბიძა და რომელსაც სძულდა ბასილი.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ზოგი ქართველი ავტორის ნაშრომში ბიზანტიური ეკლესიის ბევრი არაპერძენი მოღვაწე და მათ შორის ბასილი დიდიც ეროვნებით ქართველადაა გამოცხადებული. ამგვარი აზრის გამომხატველია პ.კარბელაშვილი, რომელიც, 1898 წელს გამოცემულ წიგნში წერდა: „იოანე დამასკელის ბერძნული შთამომავლობა საეჭვოა. იოანე დამასკელის შემდეგ აღმობრწყინდნენ მრავალნი

საგალობელთა მწერალნი და მთხზველნი, რომელთაგან თითქმის ყველანი ან სირიელ-კაპადოკიელნი (ქართველნი) იყვნენ ან ეგვიპტელნი და არა ბერძენნი. სახელოვანნი ძმანი ვასილი დიდი და გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ღვთისიმეტყველი, სტეფანე საბაწმინდელი, იოანე სინელი, წმინდა გიორგი, წმ.ნინო, ათცამეტი ასურელნი ძამანი იყვნენ ბუნებით ქართველნი და ჭეშმარიტი მამულის შვილნი“. რასაკვირველია, ამგვარი მსჯელობა მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებულია. იგი მხოლოდ ტრადიციაზე დამყარებულ გაზვიადებულ აზრს წარმოადგენს.

კიდევ ერთი გაზვიადებისაგან უნდა დავიზღვიოთ თავი. რასაკვირველია, არ შეიძლება ცალმხრივად და გადაჭარბებით შევაფასოთ ამ სამი დიდი კაპადოკიელი წმინდა მამის კავშირი ქართველურ სამყაროსთან. ჩვენი დასკვნით ეს მოღვაწეები თავიანთი წარმოშობით, ეროვნებით უკავშირდებიან იმ ეთნიკურ სამყაროს, რომელსაც ისტორიის მსვლელობამ შემდგომში ქართული სამყარო უწოდა. ამ მოღვაწეებში თავიანთი ეროვნული გრძნობა გააზრებული იყო. ისინი წუხდნენ, იბრძოდნენ და მოღვაწეობდნენ თავიანთი ხალხისათვის. მაგრამ მათი მსოფლიო სახელი, როგორც ეკლესიის დიდი წმინდა მამებისა და დიდი საეკლესიო მწერლებისა უკავშირდება არა საკუთრივ ქართული ეკლესიის და საკუთრივ ქართული ლიტერატურის ისტორიას. ისინი არიან ბიზანტიელი მწერლები, რამდენადაც აღიზარდნენ ბიზანტიური კულტურის წიაღში. წერდნენ ბერძნულად და მათი ლიტერატურული შემოქმედება თავისი წყაროებითა და თავისი ადვილით ლიტერატურის პრიცესში არის ბიზანტიური ლიტერატურის კუთვნილება. ისინი არიან მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის დიდი წმინდა მამები, რამდენადაც მათი მოღვაწეობა არის ნაწილი მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ისტორიისა. მათი ლიტერატურული

შემოქმედება მაშინ გახდა ქართული ლიტერატურის კუთვნილება, როცა იგი ქართულ ენაზე შესრულებული თარგმანებით იქნა ათვისებული ქართული მწერლობის მიერ. მათი საეკლესიო მოღვაწეობა მაშინ გახდა ნაწილი ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისა, როცა ქართულმა ეკლესიამ

ქართველი ხალხი აზიარა ამ დიდ წმინდა მამათა ნამოღვაწარს. ამ მოღვაწეების ეროვნული წარმოშობილობით ქართველობა არის ქართველი ერის წვლილი მსოფლიო კულტურაში, კერძოდ ქრისტიანული რელიგიის ისტორიასა და შუასაუკუნეების ლიტერატურულ პროცესში.



29(11) სპსტამბერი

თავისკვეთა კატიოსნისა დიდგაულისა
წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და
ნათლისმცემლისა იოანესი



წინამორბედო ქადაგო ქრისტეასო, შენ მეფესა ამხილებდე ურჩულობასა არა - საქმედ. რომლისათვისცა სიმღერამან ურჩულოთა დედათამან არწმუნა ეროდეს მოკუეთად თავი შენი და შემდგომად სიკუდილისა აღმოსავალითგან მზისაითა და დასავლადმდე ქებულ არს სახელი შენი, რომელსა გაქუს კადნიერებაჲ ქრისტეას მიმართ, მას ევედრე შეწყნარებად სულთა ჩუენთა.

20 ივლისი (2 აგვისტო)

ხსენება წინასწარმეტყველისა ილია თეზაბიტელისა
წმინდისა ილია მართლისა (ჭავჭავაძისა)



წინასწარმეტყველო და
წინასწარმხილველო დიდებულთა
საქმეთა ღვთისა ჩუენისათა,
ილია დიდად სახელოვანო,
რომელმან სიტყვითა შენითა
დააყენე წყალმდინარე იგი
ღრუბელი, მეოხ გვეყავ ჩუენ
მხოლოსა მიმართ კაცთ-
მოყვარისა.

ტროპარი წმინდისა ილია მართლისა (ჭავჭავაძე)




ღვაწლითა და სახელითა
შენითა უდაბნოჲ იგი სოფლისაჲ
მოიმუშავე, და გონებითა
ღვთივეკურთხეულითა დაცემუ-
ლნი კვალად აღგვადგინენ,
ჭეშმარიტება სთესე და გვირ-
გვინი უკვდავებისა მოიპოვე,
სიმართლისათვის დაითმინე და
ზესთასოფელი დიდებისა დაიმ-
კვიდრე, ძეო ქართველთა
ერისაო, ერისთვის წამებულო
წმიდაო ილია მართალო,
ყოვლად დიდებულო, ევედრე
ქრისტესა ღმერთსა ძმათა
შენთათვის, შეწყალებად სულთა
ჩუენთათვის.

მადლმოსილი ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე

დიდ შაბათს იერუსალიმის ტაძარში მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა საკვირველი მტკიცებაა მართლმადიდებლური ეკლესიის ჭეშმარიტებისა და დიდებულებისა. უნივთო ცეცხლმა, ნათელმა, მოციქულთა და წმ.მამათა მოწმობით ჯერ კიდევ აღდგომისას განაბრწვინა მაცხოვრის საფლავი. წმ.გრიგოლ ნოსელთან კვითხულობთ: „პეტრე ხედავდა არა მარტო ხორციელი თვალით, არამედ მოციქულებრივი გონებითაც, — მაცხოვრის საფლავი აევსო ნათელს, და თუმცა ღამე იყო, ორგვარი ხედვით ჭვრეტდა შინაგანს — გრძნობიერად და სულიერად“. წმ.იოანე დამასკელი წერს: „პეტრე დადგა საფლავთან და შეძრწუნდა მხედველი ნათლისა“.

მაცხოვრის საფლავის შესასვლელი



პირველი ცნობა მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლის შესახებ IV ს. გვხვდება ევსების ისტორიაში. IV ს. ელენე დედოფალმა ააგებინა მაცხოვრის აღდგომის ტაძარი და იმავე წელს უფალმა მადლი გარდამოუვლინა პას.

უკვე რამდენიმე საუკუნეა, საფლავს მართლმადიდებელი მღვდელმთავრები მეთვალყურეობენ. აქ მუსულმანებიც კი მოდიან, რათა მიიღონ მადლმოსილი ცეცხლი — „ცეცხლი ზეციური“. მათთვისაც ეს სიწმიდეა. მხოლოდ კათოლიკებს არ სჯერათ, რომ ეს ზეციური ცეცხლია.

ამ უჩვეულო, სასწაულებრივ მოვლენას შესანიშნავად აღწერს რუსი პილიგრიმი მარია სრეშჩატიცკაია ჯორდანვილის წმ. სამების მონასტრის წინამძღვრის, მამა ნიკოლოზისადმი მიწერილ წერილში: „უამრავი ხალხი იყო, ათასობით. ამინდი

შესანიშნავი. ეროვნებები: ბერძნები, რუსები, სომხები, არაბები, ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები, თურქები, ებრაელებიც კი. უმრავლესნი ბერძნები და არაბები არიან. ტაძარში ხალხი საშინლად იქცევა, ყვირის, ხტის, და საერთოდ, ძალიან ხმაურობს. მაგრამ, მათი აზრით, თუ ასე არ მოიქცევიან, (ისინი ამგვარად ლოცულობენ), მადლმოსილი ცეცხლი არ გადმოვა. უკვე ვთქვი, რომ ხალხი უთვალავია ტაძარშიც და გარეთაც. როდესაც პატრიარქი გამოდის ეკვდერის წინ, ხალხი წყნარდება და ცეცხლის გადმოსვლამდე სრული სიჩუმეა. ჯერ იწყება ლიტანიობა, სამჯერ უკლიან ტაძარს. პატრიარქი სრულიად შემოსილი ბრძანდება. ეკვდერის წინ მას განმოსავენ და რჩება მხოლოდ კაბით. თურქი ჯარისკაცები თხემით ტერფამდე სინჯავენ, აქაოდა, აალებადი არაფერი ჰქონდესო. ეს ხდება დღის 11 საათისათვის. პატრიარქი ცეცხლს ელოდება არა უმეტეს 5-7 წუთისა. შარშან მე და ერთმა ამერიკიდან ჩამოსულმა რუსმა პილიგრიმმა, ხელსაყრელი ადგილის წყალობით, ვიხილეთ როგორ გადმოვიდა ცეცხლი, ელვის დარი ცისფერი, უწვრილესი ზიგზაგი. სხივმა ზემოდან ქვემოთ გაიბრწყინა და მეყვსეულად ცეცხლი მოედო მაცხოვრის საფლავზე დალაგებულ ბამბებს. პატრიარქი ამ ცეცხლისგან უკიდებს სანთლის კონებს, რომელშიც 33 სანთელია, მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების წელთა რაოდენობის აღსანიშნავად, და მაშინვე გადასცემს მათ საგანგებო სარკმლიდან. ეს ცეცხლი 10-15 წთ. მანძილზე სრულებით არ სწვავს, მე თვითონ ეს ანთებული კონა ჩემი სხეულის ყველა სხეულ ადგილს შევახე და არ მიგრძენია ცეცხლის მხურვალება. ელეონის მონასტრის ბერი, მამა საბა კი სახეზე ივლებდა ამ ცეცხლს და წვერ-ულვაშის ერთი ღერიც არ შეტრუსვია. ამდენ ხალხში და ამ ცეცხლის ზღვაში ჩვეულებრივი ცეცხლი უთუოდ ხანძარს გააჩენდა, აქ კი მსგავსი არაფერი ხდება. დედაკაცები აღსავლის კართით საკურთხეველში შედიან, მაგრამ ამ დროს ისეთი დიდია მადლი, რომ ყველაფერს განწმენდს. ცეცხლის გადმოსვლის შემდეგ დაძაბულობისაგან სრულიად ღონემისდილი პატრიარქი ხელით გაჰყავთ. სრულიად უეჭველია, რომ ეს ცეცხლი — არაჩვეულებრივია. თქვენ ალბათ გსმენიათ სასწაულზე,

რომელიც აქ მომხდარა 800-იან წლებში, როდესაც არამართლმადიდებლებმა, იმ პრეტენზიით, რომ თვითონ მიეღოთ ცეცხლი, ინებეს, არ დაეშვათ მართლმადიდებლები ტაძარში და პატრიარქი არ მიუშვეს ეკვდერთან. მათ მცველები დაუყენეს ტაძარს, ხოლო მართლმადიდებელი პატრიარქი მრევლითურთ გარეთ იდგა და ცრემლით ლოცულობდა. და აი, იმ დროს, როდესაც არამართლმადიდებელნი ელოდნენ ცეცხლის გადმოსვლას, გარეთ, იქ, სადაც მართლმადიდებლები იდგნენ, ქვის სვეტისაგან ძლიერად გამოიტყორცნა მადლმოსილი ცეცხლი, რომელიც ყველამ აიტაცა. ხოლო ერთმა ჩინოსანმა თურქმა, შესძახა: „ძლიერ არს ღმერთი ქრისტიანეთა! მე ქრისტიანი ვარ“ და თურქებმა იქვე მოკლეს იგი. იმ დროიდან ვერც ერთი სხვა სარწმუნოების მიმდევარი ვეღარ ბედავს მადლმოსილ ცეცხლზე გაკადნიერებას. ეს სვეტი კი ახლაც დგას, გაბზარული, აღსამართებლად ყოველთა“.

1858 წ. წმ. ათონის მთის სქემონაზონს, მამა ნიკოდიმოსს მიენიჭა წყალობა, საკურთხეველიდან ეხილა ის, რისი ხილვის ბედნიერება ცოტას თუ ეძლევა, მაცხოვრის ცხოველმყოფელ საფლავთან. „ტაძრის მესამე შემოვლის შემდეგ იერუსალიმის პატრიარქი შეჩერდა მაცხოვრის საფლავის დაბუკდელ კართან. ის განმოსეს და პოლიციამ და ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაჩხრიკეს, შემდეგ ეკვდერის კარს ახსნეს ბუჭდიანი ლენტები და შეუშვეს პატრიარქი რამდენიმე სხვა პირთან ერთად. ესენი იყვნენ სომხეთის პატრიარქი, რომელიც ლიტანიობაში არ მონაწილეობდა და თავის ხალხთან ერთად ეკვდერის კართან ელოდა, აგრეთვე რამდენიმე ღვთისმსახური, რომლებიც ცეცხლის გადმოსვლის შემდეგ ჩააქრობენ მას საფლავზე და აიღებენ. ყველაფერს, რაც ცეცხლის მისაღებად იყო მომზადებული. პატრიარქებთან ერთად შედიან არაბი პოლიციელები და კარი იხურება. როგორც ცნობილია, ეკვდერი ორნაწილიანია: ანგელოზის სვეტი და თვით საფლავი — მღვიმე. მღვიმეში შედის მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქი, სხვები მდუმარედ ელოდებიან ანგელოზის სვეტთან. კარის დახშვის შემდეგ ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ისაღვრება. უნდა

ითქვას საფლავის მომზადების შესახებაც. დიდ ხუთშაბათს, საღამოს, მთელ ტაძარში და ეკლერში ცეცხლი (შუქი, კანდელები და სხვა) ქრება პოლიციის კონტროლით. მაცხოვრის საფლავზე დგამენ ზეთით სავსე ჩამქრად კანდელს, საფლავის კიდეებზე კვლებენ ლენტს და მთელ ზედაპირზე შლიან ბამბის ფთილებს. კარს ბეჭდავენ პოლიციის თანხლებით და დიდ შაბათამდე ასევე ტოვებენ. და აი, დიდ შაბათს პატრიარქი შებრძანდება მღვიმეში. ტაძარში სრული მღუმარებაა. მღვიმეში ბნელა და პატრიარქი ევედრება მაცხოვარს. გადის ზოგჯერ ათი, ზოგჯერ მეტი წუთი და სიბნელეში იბნევიან ღია ცისფერი მარგალიტები, მრავლდებიან და იქცვიან ცისფერ ალად, რომლისაგან ინთება დაფენილი ბამბა, ლენტი და კანდელი. პატრიარქი მაშინვე ანთებს თავის სანთლებს, გამოდის და აკიდებინებს სომეხთა პატრიარქს და ორივენი ოვალური სარკმლიდან გაზასცემენ მრევლს. ზეციური ცეცხლის გამოჩენაზე მთელ ტაძარში დაიქუხება სიხარულის და აღტაცების ყიჟინა. ორ არაბ პოლიციელს მხრებით გამოჰყავთ მისი უნეტარესობა პატრიარქი და სწრაფად შეჰყავთ აღდგომის ტაძრის საკურთხეველში“.

1960 წ. მაცხოვრის საფლავის მცველი, არქიმანდრიტი კირიაკოსი წერდა: „რაც შეეხება მადლმოსილ ცეცხლს, არავისა აქვს უფლება იმ დროს იმყოფებოდეს მისი უნეტარესობის, პატრიარქის გვერდით, სომეხთა ეპისკოპოსის გარდა, და ისიც მხოლოდ ანგელოზის სვეტთან დგას. ერთხელ სომეხებმა შეძლეს გამოეტაცათ მართლმადიდებლებისაგან წმ. ცეცხლის მიღების უფლება მღვიმეში. მართლმადიდებლები საერთოდ არ დაუშვეს ტაძარში და ისინი იძულებულნი შეიქნენ ეზოში დამდგარიყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა პატრიარქი და ხალხი ეზოში ლოცულობდა, ცეცხლი გადმოვიდა ტაძრის შესასვლელ კართან აღმართული სვეტისაგან. ეს სვეტი დღემდე დგას, გაბზარული და შეტრუსული“.

მღვდელ-მონაზონი იპოლიტე თავის მოგონებებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცეცხლი გადადის მხოლოდ მართლმადიდებელთა კანდელებზე, მაშინაც კი, როდესაც გვერდით სხვა სარწმუნოების ეკლესიათა

კანდელები დგას: სომხური, ფრანგული, კობტური.

XIX ს. შუა წლებში წმ. მიწა მოილოცა ათონელმა ბერმა პართენიმ. „საზეიმო მწუხრის შემდეგ არაბებმა დაიწყეს ყვირილი და ტაძარში სირბილი. ვიკითხე, რას ყვირიან-შეთქი. ამიხსნეს, რომ ისინი აქებენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ფრანგებს საყვედურობენ, რომ მადლი არა სწამთ, ხოლო სომხებს კიცხავენ, რომ სურდათ თვითონ მიეღოთ მადლი, უწმინდურებით კი აღივსნენ. სომხები დიდხანს ელოდნენ სასწაულს, მათი სულიერი წინამძღოლი, პატრიარქი ბეჯითად ლოცულობდა წმ.საფლავის წინ, მაგრამ ვანსცრუვნა სასოება მისი, ღვთაებრივი ცეცხლი არა და არ გადმოდიოდა. და უცებ, მოწმენდილ ცაზე დაიქუხა, მარმარილოს სვეტი გაიბზარა და ამ ნაპრალიდან ცეცხლი გადმოვიდა. მართლმადიდებელმა პატრიარქმა აიტაცა ეს ცეცხლი და გადასცა ყველა იქ მყოფს. აქ მოხდა მეორე, არანაკლებ ღირსშესანიშნავი ამბავი: ერთმა თურქმა ოფიცერმა, სახელად ანვარმა, რომელიც თავის ჯარისკაცებთან ერთად სადარაჯოზე იდგა მახლობელი შენობის ზედა სართულზე, ცეცხლის გადმოსვლა რომ იხილა, გადმოეშვა მარმარილოს ფილებზე ტაძრის, შესასვლელის წინ და შესძახა: მე ქრისტიანი ვარ! ქვის იატაკზე დაცემისას ანვარს არაფერი დაშავებია, ხოლო მისი ფეხის კვალი დღემდე შემოინახეს ქვის ფილებმა. თურქებმა თავი მოკვეთეს ანვარს, ტანი კი დაწვეს. მოწამის ფერფლი, რომელმაც სისხლით მიიღო წმიდა ნათლის-ღება, დაცულია ერთ-ერთ მონასტერში. სომეხთა ლოცვის გაცუდებას კი ეკლესიის ზოგი მამა ხსნის, როგორც ღვთის მიერ ჭეშმარიტი რწმენის მითითებას. უნდა აღინიშნოს, რომ მადლმოსილი ცეცხლი ჩნდება მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს ნათელი აღდგომის წინ ძველი სტილით“.

1859 წ. ქალბატონმა ბარბარა ბრიუნ დე სენტ იპოლიტმა, რომელიც იერუსალიმში ყოფნის დროს დაესწრო ცეცხლის გადმოსვლას, ეს შთაბეჭდილება შესანიშნავად აღუწერა თავის სულიერ მამას, იღუმენ ანდონს.

„ღღის 12 სთ. კარი ღიაა და ტაძარი სავსეა ხალხით. ყველგან, სადაც კი ოდნავ მაინც

შეიძლება დადგომა, არაბები დგანან. ერთ-ერთმა მათგანმა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია: ის ჩამოსკუპდა ხატის წინ მოთავსებული დიდი კანდელის სახელურზე, მუხლზე ჩამოისვა თავისი შვიდი წლის გოგონა და მთელი ამ დროის მანძილზე ფეხი არ მოუცვლია. ტაძარში შემოცვივდნენ თავგადაპარსული ბედუნები, დედაკაცებს სახეს ქათქათა ჩადრები უფარავდათ. ხალხში იდგნენ თურქი ჯარისკაცები და იარაღით აშოშმინებდნენ აღვზნებულ არაბებს. ამ სურათს ცნობისმოყვარე თვალს არ აშორებდნენ კათოლიკე ბერები და იეზუიტები. ღია აღსავლის კარიდან მოჩანდა ყველა ქრისტიანული აღმსარებლობის უმაღლესი სასულიერო წრე. ახლოვდება საზეიმო წუთი. ყველა ერთი ფიქრითაა გამსჭვალული. არაბები იწყებენ ყვირილს, მღერიან, მკერდში მჯიღს იცემენ, ხმამაღლა ლოცულობენ საშინელი სურათითა... საყოველთაო განგაში... უცებ სარკმლიდან ჩნდება ანთებული სანთლის კონა. ყველა ყვირის, ხარობს, პირფარს ისახავს, მთელი ეს ბრბო გახვეული რაღაც მოცისფრო ნისლში. ამასობაში, ველური სიხარულით გონდაკარგული ბედუნები წრეს კრავენ შუა ტაძარში, ცეკვავენ, ერთმანეთს მხრებზე ადგებიან, მღერიან და ლოცულობენ თავისებურად. მათ არავენ აჩერებთ. მთელი დღის მანძილზე, მზისით, ცეცხლი გადადის ხელიდან ხელში. უჩვეულო სანახაობაა“.

სხვა თვითმხილველი კი ამგვარად აღწერს ამ სურათს: „პატრიარქი დგება წმ. საფლავთან. მის უკან კარი იხურება. შიგნით ღამეული წყვდიადი გამეფებულა. საშინელი, მღელვარე წუთები გადის, ზოგჯერ 15-20 წუთი. ეს მოლოდინის მთელი საუკუნეა. სამარისებური სიჩუმეა. წარმოიდგინეთ მრავალათასიანი დაუოკებელი ბრბოს სამარისებული მღუმარება. უცებ სარკმელში ჩნდება გრძელი სანთელი. ყვირილი, შეძახილები ისმის ზემოდან, ქვემოდან. ირგვლივ გამაყრუებელი გნიასია. ვერაფრით ამიხსნია, როგორ ასწრებს ცეცხლი თვალის

დახამხამებაში გადაეცეს საკურთხევლამდე და მოიცვას მთელი ტაძარი. ერთხელ, რამდენიმე სტუმართან ერთად, მისი უწმინდესობა პატრიარქი იეროქონში გავაცილეთ. გზად, ტრაპეზის დროს, ერთმა სეპტიკოსმა მას ჰკითხა მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლის შესახებ. მხცოვანმა მწვემსმთავარმა ყურადღება არ მიაქცია შეკითხვის ტონს და უპასუხა: მე, მოწყალეო უფალო, უსათვალოდ კითხვა არ შემიძლია, ხოლო როდესაც პირველად ანგელოზის სვეტთან დავექი და კარი დახურეს, ირგვლივ ისეთი სიბნელე ჩამოწვა წმ. საფლავთან, რომ მე არ შემეძლო გამერჩია, ხელში ლოცვანი ავიღე თუ სხვა რამ წიგნი. ერთადერთი, რისი გარჩევაც შევძელი, ეს გახლდათ წმ. საფლავის მარმარილოს ფილა, გადავშალე ლოცვანი და ჩემდა გასაკვირად, ნაწერი ადვილად წავიკითხე, უსათვალოდ. სამი-ოთხი სტრიქონის წაკითხვის შემდეგ, მარმარილოს ფილას შევხედე, რომელიც სულ უფრო მეტ ნათელს გამოსცემდა. ვიგრძენი, რომ ბამბა რაღაც სითბოთი გაიფლინთა. ქვეშეცნულად შევახე სანთელი, რომელიც დენთივით ააღდა“.

მცირედ მორწმუნეთათვის კი უფალმა ჩვენმა ბრძანა: „ვერვის ხელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა“ (იოან. 6-44). და აგრეთვე: „ამისთვის ვერ ჰრწმენა, რამეთუ მერმეცა თქუა ესაია: დაუბრმეს მათ თუალნი მათნი, რაჲთა ვერ იხილონ თუალითა, და დაუსულებეს გულნი მათნი, რაჲთა არა გულისხმაყონ გულითა და მოიქცენ, და მე განვკურნნე ივინი“ (იოან. 12-40).

ამ საოცარი მოვლენის აღწერის მიზანი ესეცაა: მკითხველს მიეცეს თავისუფლება, გააკეთოს ის დასკვნა, რასაც მას შთააგონებს მამა ჩვენი ზეცათაჲ.

მასალა მოამზადა
დარეჟან კიკოლიაშვილმა

30 ივლისი (2 აგვისტო)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ილია II ანგელოზის დღე



მწუხრის განმარტება

მიზანი საეკლესიო საზოგადოებრივის ღვთისმსახურებისა მდგომარეობს იმაში, რომ მლოცავი ქრისტიანის სული სხვადასხვა სადიდებელი, სამადლობელი და სავედრებელი ლოცვებისა, საგალობლებისა და საკითხვების საშუალებით აღფრთოვანდეს ღვთისადმი, წარემართოს კეთილისადმი. ქრისტეანეს ღვთისმსახურების დროს უნდა დაეხადოს აზრები, გრძნობები და სურვილები, შესაფერი ბმა თუ იმ ლოცვების შინაარსისა. როცა გალობენ ანუ კითხულობენ ღვთის სადიდებელ ლოცვებს, მაშინ ქრისტეანემ უნდა წარმოიდგინოს ღვთის უსაზღვრო სიდიადე, სისრულე-სიმშვენიერე, უნდა მოიგონოს მისი სიბრძნე, სახიერება და ყოვლისშემძლებელობა, ცხადყოფით აღბეჭდილნი ყოველს მის ქმნილებაზე, ყოველს მის მოქმედებაში და განიმსჭვალოს მისდამი უღრმესი კრძალუ-ლებითა, პატივისცემითა და აქოს-ადიდოს სახელი მისი. როცა კითხულობენ სამა-დლობელ ლოცვებს, მაშინ ქრისტეანეს ჰმართებს მოიხსენოს ყოველივე სიკეთე, რაიცა ჰყო უფალმან კაცობრიობისათვის, თუ როგორ აამაღლა მან ადამიანის ბუნება ყოველთა ქმნილებათა წინაშე, მისცა მას თავის ხატება-მზგავსება და სხვანი მაღალნი ნიჭნი, მისცა მას განსაკუთრებითი დანიშნულება, მიანიჭა მას ძალა-შემძლება მასთან შეერთებისა და მით საუკუნო, უცვლელი ბედნიერების მოპოებისა — იგრძნოს თვის სულის სიღრმეში ცხოველი სიყვარული ღვთისადმი და დაუცხრომლად მას მაღლობდეს. როცა კითხულობენ სავედრებელ ლოცვებს, მაშინ ჯერარს მან

წარმოიდგინოს თვისი უღირსობა, მრავალ-ცოდვიანობა, უძლურება და შევედროს უფალს, რომ არა დაუტეოს იგი მის ბოროტებისა გამო, არამედ შეიბრალოს, როგორც სუსტი და ცთომილი შვილი, მიანიჭოს მას ძალა. ზნეობრივად ამაღლებისა, ბიწიერებათა დათრგუნვისა, სათნოებათა მოპოებისა და ამით ნეტარებისადმი მიღწევისა. ამნაირის ლოცვით ქრისტეანეს უნდა აღეძრას მტკიცე სურვილთ ბორო-ტებისაგან განშორებისა და კეთი-ლისადმი მიდრეკისა. საეკლესიო ღვთის-მსახურებამ ადამიანის სულზე ასეთი ღრმა ზედგავლენა რომ იქონიოს, ამისათვის, რასაკვირველია, მოითხოვება, რომ კაცს ნათლად ესმოდეს ყოველივე ისა, რაც საეკლესიო მსახურთა მიერ წარმოითქმება, იკითხება და იგალობება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუ მსმენელისთვის გაუგებარი რჩება ის, რაც იკითხება და იგალობება, მაშინ მისთვის ღვთისმსახურება უმჩინებელი და უნაყოფოა, მასში წმიდა გრძობები და აზრები არ წარმოიშობა, მისი სული არ იწყებს აღმაფრენას უფლისადმი, და ღმერთიც მას არ უახლოვდება და არ აკმაყოფილებს მის სულიერ ჯა სორციელ მოთხოვნილებებს. სამწუხაროდ, ახლანდელი მლოცველების უმრავლესობისათვის ღვთის-მსახურება მომეტებულად გაუგებარია. მას არ ესმის, თუ რა აზრია ამა თუ იმ ლოცვებსა, საკითხავებსა და საგალობლებში, მან აგრეთვე არ იცის, თუ რას მოასწავებენ საეკლესიო მოქმედებანი. ეს ხდება, ერთის მხრით, იმის გამო, რომ ლოცვები და საგალობლები დაწერილია

ძველის ენით, იმ ენით, რომელზედაც ჩვენი წინაპრები ამ თხუთ-მეტიოდეს საუკუნის წინათ ლაპარაკობდნენ და რომელიც თვის მრავალის სიტყვებითა და ფორმებით გაუგებარია; და მეორედ იმიტომ, რომ ბევრ საგალობლებსა და ლოცვებში აზრი ისე მოკლედ არის გამოხატული, რომ მათგან ახლანდელ ქრისტიანეს შესაფერი გრძნობები არ აღძვრის. პირველი საუკუნეების ქრისტიანენი ისე გამტკიცებულნი იყვნენ ღვთაებრივ ცხოვრებაში, ისინი ისე იყვნენ აღნთებულნი უმაღლესის გრძნობებით, რომ ერთი სიტყვაც კი კმაროდა, რომ მათს გულში ნათელმოსილი სულიერი განწყობილება სწრაფად წარმოშობილიყო. ახლანდელი ქრისტიანები კი ისე არიან ცოდვებით დამძიმებულნი, ისე ღრმად არიან ჩაფლულნი ბიწიერებაში, რომ ორი-სამი სიტყვით მათი გონება არ აღიმართება ღვთისადმი, და მათი გული არ მიიქცევის კეთილისადმი.

რადგან ჩვენ უფლება არა გვაქვს საეკლესიო საკითხავები და საგალობლები შევსცვალოთ, ე.ი. მათი ენა ადვილ გასაგებ, თანამედროვე ლიტერატურულ ენაზე გადმოვაკეთოთ და ზოგიერთნი წარმოთქმანი გავავრცელოთ სიტყვებით, რომ უფრო ცხადს და გარკვეულ შინაარსს შეიცავდნენ, და ასე საეკლესიო ხმარებაში შემოვიღოთ, ამის გამო საჭიროა მღვდელმა თავის საუბრებში განუმარტონ ხალხს ღვთისმსახურება, რათა უკანასკნელი იქნეს მისთვის მისახვედრი და ამით ხელი შეუწყოს მისი სულის ზეადსვლას, განათლიერებას.

ჩვენ არა ერთხელ გავვიგონია, ეგრედ წოდებულ, უბრალო ხალხისაგან ჩივილი, რომ მათ ბევრი რამ არ ესმით ღვთისმსახურებაში და კარგი იქნებოდა, რომ მღვდლები აუხსნიდნენ მათ, თუ რას შეიცავენ თვის შორის საგალობლები და საკითხავები და რას ნიშნავენ საეკლესიო მოქმედებანი. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ განემარტოთ ღვთისმსახურება, სახელდობრ, მწიგნობისა.

საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ჩვენ ეს პატარა შრომა გვინდა მივაწოდოთ უსწავლელ ხალხს და არა განათლებულ საზოგადოებას. ამიტომ მას მეცნიერული ხასიათი არ ექნება. შეძლებისდაგვარად, ვეცდებით სადად, მდაბიოდ და ნათლად ავხსნათ საეკლესიო წარმოთქმანი, საგალობლები, საკითხავნი,

რომ ხალხს გაუადვილოთ გაგება ღვთისმსახურებისა.

ადამიანს თანდაყოლილი და ღრმად ჩანერგილი აქვს თვის ბუნებაში ლტოლვილება ღვთისადმი; მას სურს შეუერთდეს უფალს მთელის თვისის არსებით; მას სწადს ყოველი თვისი მოქმედება, მთელი თვისი ცხოვრება შეუთანხმოს ღვთაებრივს ნებას. ზოლო თუ რანაირი უნდა იყოს მისი ცხოვრება, თუ როგორ შეუძლია მას მოიპოვოს საბედნიერო ცხოველი კავშირი ღმერთთან, ამას იგი ტყობილობს შინაგან ბუნებრივ-ზნეობის კანონისაგან, ანუ სინდისისაგან და გარეგან წერილობით-ზნეობრივ კანონისაგან, ანუ საღმთო განცხადებისაგან, საღმთო წერილისაგან. შინაგანი ზნეობრივი კანონი არის ნიჭი ღვთისაგან კაცისადმი მოცემული და იგი ასწავლის მას, თუ რა უნდა ჰქმნას მან და რას უნდა ერიდოს, თუ რა არის კეთილი, ღვთისათვის სასიამოვნო და ადამიანის სულისათვის სასიკეთო, რა არის ბოროტი, კაცის სულის დამღუპველი და ღვთის განმარისხებელი და ნებადართული კეთილმოქმედებისათვის აჯილდოებს მას, გვრის კმაყოფილებას, სიხარულს, ზოლო აღკრძალულ ბიწიერ ქცევისათვის სჯის, ჰქეჯნის, აღავსებს მას უსიამოვნებით. გარნა, უფრო ცხადად, გარკვევით ჭეშმარიტებით კაცი გებულობს მას, თუ რა არის საჭირო ნამდვილი უტყუარი ბედნიერების შესაძენად, ღმერთთან დასა-კავშირებლად, გარეგანის წერილობითის კანონისაგან, ანუ განცხადებისაგან. უფალმა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წმ. კაცების პირით კაცობრიობას აუწყა, თუ რა არის ადამიანის დანიშნულება, თუ როგორი უნდა იყოს მისი ცხოვრება. აი, ეს ორი კანონი — სინდისი და განცხადება — გვეუბნება, რომ ადამიანმა უნდა აქოს, ადიდოს უფალი, უნდა ადიდოს როგორც საქმით, ისე სიტყვით, როგორც კეთილმოქმედებით, ისე სიტყვიერის მსახურებით, ანუ ლოცვით. სიტყვიერის ღვთისმსახურების, ანუ ლოცვის საჭიროება წარმოსდგება თვით ჩვენის ბუნების თვისებისაგან. ჩვენს სულსა და ხორცს შუა ისეთი მჭიდრო კავშირია, რომ ყოველ სულიერ მოძრაობას თავისთავად თან ჰყვება შესაფერი გარეგანი მოძრაობა; ყოველი აზრი, გრძნობა და სურვილი გამოიხატება სხვადა-

სხვა სიტყვით, სახის გამომეტყველებით და სხეულის ნაწილების მოძრაობით. ამიტომ რელიგიური (სარწმუნოებრივი) აზრებიც, გრძნობები და სურვილები ამ აუცილებელ კანონს ემორჩილება; ისინი სულში წარმოშობისთანავე ცხად იყოფიან, ხდებიან თვალსაჩინო ამა თუ იმ სიტყვებითა და მოქმედებებით. ამას გარდა, როცა რელიგიური აზრები, გრძნობები და სურვილები სიტყვებით წარმოითქმინან, მაშინ ისინი, როგორც საერთოდ ყველა სულიერი მოძრაობანი, ცხადია, უფრო ნათელი და ძლიერი ხდებიან; მაშინ ადამიანი უფრო ცხოვლად და ღრმად იმსჯელება იმათ მიერ. გარეგანი სიტყვიერი ღვთისმსახურება არის ორნაირი: კერძო, რომელიც ყოველ ადგილსა და დროს, ყოველი ადამიანის მიერ სრულდება და საზოგადოებრივი, რომელიც ერთს დაწესებულს ადგილს, ე.ი. ეკლესიაში, დადებულ დროს და დადგენილ პირთა მიერ, ესე იგი სამღვდლო მოსამსახურეთა მიერ სრულდება. ქრისტიანენი უნდა ემსახურობდნენ უფალს, ანდა ღოცულობდნენ როგორც კერძოდ, თვის სახლში, ისე ტაძარშიც, შემდეგის მიზეზებისა გამო. ქრისტიანენი, როგორც ერთის სარწმუნოების მიმდევარნი, როგორც აღნთებულნი სიყვარულითა ერთის მაცხოვრისადმი, როგორც გამსჯეალულნი ერთნაირის აზრებითა, გრძნობებით და სურვილებით, ვალდებულნი არიან იქონიონ ერთობა, კავშირი ყოველივე საქმეში, კერძოდ, ღოცვაშიც. ისინი უნდა დიდებისმეტყველებდნენ უფალსა ერთითა პირითა და ერთითა გულითა. ხოლო ესეთი ერთობა უფრო ცხადლივ გამოიხატება საეკლესიო საზოგადოებრივ ღვთისმსახურებაში. შემდეგ, გამოცდილი და შემჩნეულია, რომ თუ კაცი რომელიმე საქმეს მარტოდ ადგია და თანმოქმედნი არა ჰყავს, იგი ვერ იჩენს ჯეროვან სიხალისეს, სიცხოველეს, მუყაითობას თვის საქმეში; ხოლო თუ მასთან ერთად სხვებიც მოქმედებენ, მაშინ იგი სხვების მაგალითით წაქეზებული უფრო ბეჯითად და მხურვალედ ეკიდება საქმეს. აგრეთვე, როცა ადამიანი ეკლესიაში დგას, მლოცველებს ხედავს, მაშინ იგი უფრო გულით, კრძალებით და სასოებით ღოცულობს და მთელის თვის არსებით ისწრაფვის ღვთისადმი; და ხშირად, კიდევაც რომ არ

უნდოდეს ღოცვა, მაინც იბულებული გახდება ცოტა ხანს მაინც აღაპყროს ღვთისადმი გონება და გული. და ამით მის სულის ზრდას ხელი ეწყობა. მერე, ისიც უნდა ითქვას, რომ ქრისტიანეთა დიდი უმრავლესობა ისეთ პირობებში არის, რომ მათ არ შეუძლიათ თავისუფლად, ხელშეუშლელად ილოცონ თვის სახლში; ტაძარში კი ყველას შეუძლია ილოცოს დაუბრკოლებლად.

საეკლესიო საზოგადოებრივი ღვთისმსახურება საღამოდან იწყება; მიხედვით იმისა, რომ ქვეყნის არსებობა, როგორც საღმთო წერილი მოგვითხრობს, საღამოთი დაიწყო. საღამო ჟამს სრულდება ეგრედ წოდებული მწუხრი. ეს ღვთისმსახურება შესდგება ისეთის ღოცვებისა, საგალობლებისა, საკითხავების და მოქმედებისაგან, რომელნიც შეეფერებიან იმ დედა აზრს, რომლის გამოსახატავადაც დაწესებულია იგი. საღამოს სიბნელე მოგვაგონებს ძველის აღთქმის დროთა, რომელნიც ახალის აღთქმის დროთა შედარებით, აჩრდილად ითვლებიან. მწუხრი თვისი შინაარსით, თვალწინ გვიყენებს ძველის აღთქმის დროთა უმთავრესს შემთხვევებს: 1) ქვეყნის შექმნას, 2) პირველ კაცთა ნეტარებით მდგომარეობას სამოთხეში, 3) მათ შეცოდებას, 4) ღვთის მიერ მიცემულ აღთქმას მაცხოვარზე, 5) კაცობრიობის რწმენას მხსნელისადმი და 6) ხალხის მომზადებას მაცხოვრის მისაღებად წინასწარმეტყველებათა და მოძისწაველობათა საშუალებით. ამის გამო, ქრისტიანეს, მწუხრის მოსმენის დროს, ჰმართებს მოგონება იმისა, თუ როგორ შექმნა ქვეყანა ყოვლის შემძლებელმა და ყოვლად სახიერმა ღმერთმა, თუ როგორი უპირატესობა მისცა მან ადამიანს სხვათა ქმნილებათა წინაშე, შეამკო უმაღლესის ღირსებებით და დაასახლა ედემის ბაღში, თუ როგორ დაახლოვებულნი იყვნენ პირველი ადამიანები ღმერთთან და რა ბედნიერებაში იმყოფებოდნენ, თუ როგორ გარდავიდნენ იგინი ღვთის ნებას, დაარღვიეს მისი მცნება, მისცეს ადგილი თვის ბუნებაში ცოდვას, განდევნილ იქმნენ სამოთხიდან, თუ როგორ მისცა ყოვლად მოწყალე ღმერთმა შეცოდებულ კაცობრიობას იმედი ცხოვნებისა მაცხოვრის მოსვლით სოფლად, თუ როგორ ილტვოდა კაცობრიობა ღვთისადმი.

ელოდებოდა მაცხოვრის მოსვლას და ემზადებოდა მის მისაღებად.

განვიხილოთ ცალკე მწუხრის უმთავრესნი წარმოთქმანი, საგალობელნი, საკითხავნი და მოქმედებანი იმ რიგზე, რა წესითაც ისინი სრულდებიან, მისდევენ ერთიმეორეს. დიდ დღესასწაულებში მწუხრი სრულდება შეერთებით იმ საეკლესიო სამსახურთან, რომელსაც სახელად ქვია ცისკარი და რომელიც ჩვეულებრივ დილით, გათენებისას სრულდება. როცა მწუხრი ცისკართან ერთად სრულდება, მაშინ ამ ღვთისმსახურებას უწოდებენ ღამისთევად მისთვის, რომ ზოგიერთ მონასტრებში საეკლესიო სამსახურნი, საღამოს დაწყებულნი დილაძდის გრძელდებიან, და ასე, მლოცველები მთელს ღამეს ლოცვაში ატარებენ, ათენებენ. ღამის თევა განსხვავებულის სავსებით, განგრძნობით და ბრწყინვალეობით სრულდება. ჩვენ აქ ვილაპარაკოთ ღამისთევის ლოცვაზე, ჯერ მწუხრზე.

მწუხრის დაწყების წინ საეკლესიო მსახურნი — მღვდელი და მთავარ-დიაკონი შეიმოსებიან, პირველი შეიმოსს ოლარსა და ფელონს, მეორე სტიხარსა და გინგილასა. სიწმიდე ადგილისა და სიღიადე ღვთისმსახურებისა. მოითხოვს, რომ სამღვდლო პირთა საეკლესიო სამსახურის აღსრულების დროს ეცვათ განსაკუთრებული, ბრწყინვალე სამოსელი და არა ჩვეულებრივი, სოფლური ტანთსაცმელი. ამას გარდა, განსაკუთრებითი სამოსელი სამღვდლო პირთათვის საჭიროა სანიშნებლად იმისა, რომ მათ ღვთისა და საზოგადოებისაგან მიღებული აქვთ მონღობილება და უფლება მღვდელ-მოქმედებისა. ოლარი, კისერზე ჩამოკიდებული და წინ დაშვებული გრძელი, განიერი სამოსელი, არის ნიშანი მღვდლობის მაღლისა და გამომეტყველი იმისა, რომ მღვდელს ზედ ადგას იესო ქრისტეს უღელი, რომ იგი ემორჩილება მაცხოვარს და ავრცელებს მის სწავლა-მოძღვრებას. ფელონი, განიერი, უკანიდან გრძელი, წინიდან მოკლე, უსახელოობო სამოსი, მოსწავებს იმ სამოსელს, რომელიც მოასხეს მაცხოვარს წვალების დროს, და იგი უნდა გვაგონებდეს, რომ მღვდელი ღვთისმსახურების დროს წარმოადგენს თვით უფალსა იესო ქრისტესა, რომელმაც შესწირა თვისი თავი

კაცობრიობის გამოსახსნელად ცოდვისაგან. ასე როცა ვიხილავთ მღვდელს, ოლარითა და ფელონით შემოსილს, ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი არის მომაგივრე მაცხოვრისა, რომ იგი თვით ღვთისგან არის დაყენებული ერის დასამწყსველად, კაცთა ზეასაყვანად ღვთისადმი. სტიხარი, სწორე, გრძელი, ლენტის მსგავსი, მხარზე გადაკიდებული სამოსი მოასწავებს ანგელოსის ფრთებსა. ამგვარად, მთავარ-დიაკვნის სამოსელი მოასწავებს იმას, რომ იგი აღჭურვილია სულიერის სიწმიდით და ემზადდება ანგელოზს, რომელიც ღვთის საყდრის წინაშე სდგას და მას ემსახურება.

სანამ სამღვდლო პირნი შეიმოსებოდნენ, მანამ რომელიმე საეკლესიო მოსამსახურეთაგანი საკურთხეველში, კანკელის წინ და ყოველგან ეკლესიაში ხატების წინ სანთლებს დაანთებს. სანთლების აღნთება, ერთის მხრით, ნიშნავს მას, რომ ღმერთი არის წყარო სინათლისა, რომ იგი ყოველსა მორწმუნეს განანათლებს მაღლითა და ჭეშმარიტებით, და, მეორეს მხრით, იმას, რომ ქრისტიანე მხურვალის (ცეცხლი, ალი) და წმიდის (თაფლის სანთელი) გულით უნდა ლოცულობდეს. მლოცველები ღვთისმსახურების დაწყებამდისავე უნდა მოემზადნენ ლოცვისათვის. მათ უნდა დაუტეონ ყოველივე სოფლიური ფიქრი და ზრუნვა, აღამაღლონ თვისი გონება ღვთისადმი, გაიდვალიწინონ სიღიადე და მნიშვნელობა იმ საქმისა, რისთვისაც ეკლესიაში შეკრებულან, წარმოიდგინონ დიდებულება და სიწმიდე ღვთისა, შეიგნონ თვისი ცოდვიანობა და უღირსობა ღვთის წინაშე და ამით გაიმსჭვალონ ღრმა კრძალულებითა უფლისადმი. რომ უფრო ჯეროვნად მოამზადონ თვისი თავი, განაწყონ თვისი სული ღვთის საყდრებლად, ამისთვის მათ უნდა მიაპყრან თვისი თვალი და დააკვირდნენ წმ. ხატებს. უფლის მაცხოვრის და წმიდანების სახეების და მათი ცხოვრებიდან სხვადასხვა შემთხვევების გამოხატულებათა ხილვით გონებადაფანტული და ბიწიერ ფიქრებით დამძიმებული ადამიანი თვის ყურადღებას უფრო ადვილად მოაშორებს ქვეყნიურ საგნებს და დაამყარებს ზეციურ საგნებზე, უფრო ნათლად და ცოცხლად წარმოიდგენს მაცხოვარსა და წმიდანებს და მათ

მოქმედებებს. ზოლო ამ მოგონებით მას დაებადება ღრმა და ძლიერი სურვილი ამა სოფლიური ცხოვრების უარყოფისა, სათნოებათა შესისხლხორცებისა და ღმერთთან ცხოველის კავშირის მოპოებისა.

შემოსილი მღვდელი დადგება წმ.ტრაპეზის წინ; ამას ხელში სასაკმევლე, ანუ საცეცხლური უჭირავს. მთავარდიაკონი კანკელის შუათანა, აღსავლის ანუ სამეუფო კარებიდან კრეტსაბმელს გარდახსნის, გააღებს თვით ამ აღსავლის კარებს, ამბიონზე დადგება და იტყვის: აღსდევით. უფალო, გვაკურთხე! პირველი სიტყვით მთავარდიაკონი ეკლესიაში მყოფ ხალხს ღვთისმსახურების დაწყებას აუწყებს და ეუბნება, რომ სალოცავად მოემზადოს; და თუ ვინმე მლოცველთაგანი ამ დროს ზის, ფეხზე უნდა წამოდგეს. ზოლო სიტყვებით: უფალო, გვაკურთხე! — გამოითხოვება ღვთისაგან კურთხევა წმ. საქმის შედგომისათვის — ღვთისმსახურების აღსრულებისთვის, გონებისა და გულის აღპყრობისთვის ღვთისადმი მლოცველთა მიერ. შემდგომ მღვდელი იტყვის: დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოვლადვე აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, — და თან ტრაპეზის წინაშე საცეცხლურით ჯვარის სახეს გამოხატავს. მღვდელი ამ წარმოთქმით ჩვენს ყურადღებას წმ. სამებისადმი მიჰმართავს და მის სადიდებლად მოგვიწოდებს.

ღმერთი არის შემოქმედი ცისა და ქვეყნისა; მან მათ შინა საუცხოვო დაურღვეველი წესიერება დაამყარა; მან ადამიანი სხვადასხვა ღირსებებით შეამკო და სხვათა ქმნილებათა წინაშე უპირატესობა მისცა; იგი მსოფლიოს თვის ხელში, თვის ძალაში იპყრობს, იგი განაგებს და მზრუნველობს მასზე; მან კაცობრიობას თვისი ნათელი მოჰფინა: როცა ღვთის მფარველობას მოკლებული, ნეტარების ერთადერთ წყაროს განშორებული კაცობრიობა თვისის ძალით ამაოდ ეძიებდა ნავთ-საყუდელსა — ჭეშმარიტებასა და ბედნიერებას, როცა ამის გამო მას მწუხარება და წვალება დღითიდღე ემატებოდა და იგი ბიწიერებით უფრო და უფრო წყლულდებოდა და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა, მაშინ უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, ზეცით სოფლად მოვიდა.

მან ცდომილი კაცი ნამდვილს, ღვთისადმი მიმყვანელ გზაზე დააყენა, უჩვენა მას, თუ როგორ შეუძლია მას სასურველ ბედნიერებას მიაღწიოს. ამიერიდან ადამიანს მიეცა საშუალება იხსნას თვისი თავი ცოდვისაგან და მისგან წარმომდინარე ტანჯვისაგან, შეიმოსოს სათნოებითა და მოიპოოს შეუწყვეტელი მშვიდობა და სიხარული. ვინც მაცხოვრის სწავლას მიიღებს და იწყებს თვის მნებელობის მიდრეკას კეთილისადმი, თვის სულიერ ძალთა განმტკიცებას მის მიერ დასურათხატებულ ცხოვრებაში, მასზე გადმოვა სული წმიდა, რომელიც მას თვის ცხოველმყოფელს მაღლს მიანიჭებს, სანეტარო გრძნობებით აღავსებს და უფრო და უფრო აღამაღლებს ღვთისადმი.

ამნაირად, წმ.სამება, ე.ი. ერთი ღმერთი, სამპიროვანი ანუ სამგვამოვანი — მამა, ძე და სული წმიდა, არის მიზეზი მსოფლიოს არსებობისა. კერძოდ, ადამიანის ცხოვრებისა, ე.ი. ბიწიერებითის და სამწუხარო მდგომარეობიდან გამოყვანისა და კეთილ-მოცულსაბედნიერო მდგომარეობაში მიყვანებისა. ამის გამო, ჩვენ გვმართებს ვაქით წმიდა სამება იმ წესიერებისა და მშვენიერებისათვის, რომელიც ბუნებაში სუფევს და რომლის ჭვრეტით ჩვენ ვსიამოვნობთ, ვნეტარებთ; განსაკუთრებით, უნდა ვადიდებდეთ მას ჩვენის განწმედისა და განათლებისთვის.

წმ. ეკლესია გვიხმობს რა სადიდებლად ღვთისა, ქვეყნის შემოქმედისა და კაცობრიობისთვის საუკუნო ბედნიერებითის ცხოვრების მომმადლებელისა, — თვალწინ გვიყენებს წმ.სამებას მისთვის, რომ ქვეყნის შექმნაში და ჩვენის ცხოვრების საქმეში მონაწილეობა მიიღო სამივე პირმა: მამამ, ძემ და სულმა წმიდამ. როცა ქვეყანა სამთა პირთა შეერთებულის ძალით შეიქმნა, ეს სჩანს — საღმთო წერილის შემდგვის მოწმობებიდან; ა) მამა ღმერთმა ჰქმნა ყოველივე: ჩვენდა ერთარს ღმერთი მამა რომლისაგან არს ყოველი, და ჩვენ მის მიმართ (1 კორინთ, 7,6); ბ) ძე ღვთისამ ჰქმნა ყოველი: მის მიერ დაიბადა ყოველივე ცათ შინა და ქვეყანასა ზედა (კოლოს, 1,16); გ) სულმა წმიდამ შექმნა ადამიანი: სული წმიდა შემოქმედი ჩემი — ამბობს მართალი იობ (იობ, 33,4). აგრეთვე სამივე წმ.პირმა

კაცობრიობის ცხოვნების საქმეშიდაც მონაწილეობა მიიღეს. მამა ღმერთმა შეგვიყვარა და გვაცხოვნა ჩვენ, განგვაახლა ზემოქმედებითა სულისა წმიდისათა, რომელიც მოგვევლინა მეოხებითა იესო ქრისტესისათა, ძისა ღვთისათა; რა უამს სიტკბოება და კაცთ-მოყვარება გამოსჩნდა მაცხოვრისა ჩვენისა ღვთისა... მისხნა ჩვენ ბანვითა მით მეორედ შობისათა, განახლებითა სულისა წმიდისათა, რომელი იგი მოფინა ჩვენზედა მდიდრად იესო ქრისტეს მიერთ (ტიტ. 3,4-6). კერძოდ, პირველი პირი, მამა ღმერთი არის წყარო ჩვენის განწმედისა; მან კაცობრიობის სახსნელად გამოგზავნა თვისი ძე: ესრედ შეიყვარა ღმერთმა სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა პრწმენეს იგი, არა წარპწყმდეს, არამედ აქენდეს ცხოვრება საუკუნო (იოან. 3,16). მეორე პირი, იესო ქრისტე, ძე ღვთისა არის პირდაპირი მიზეზი ჩვენის ცხოვრებისა, იგი ჩვენის ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, განკაცნა, ჰქადაგებდა, ივნო, დაეფვლა, აღსდგა მესამესა დღესა და ამაღლდა ზეცად. ნუგეშინისმცემელი გვივის მამისა მიმართ ქრისტე იესო, მართალი, და იგი არს მომტყევებელი ცოდვათა ჩვენთა, და არა ხოლო ცოდვათა ჩვენთა, არამედ ყოვლისა სოფლის (1 იოან. 2,2). მესამე პირი, სული წმიდა არის აღმსრულებელი ჩვენის განწმედისა; იგი მუდამ იმყოფება წმ.ეკლესიაში: მე ვპკითხო მამასა ჩემსა, და სხვა ნუგეშინისმცემელი მოვევლინოს თქვენ, რათა თქვენთანა დაადგერეს უკუნისამდე (იოან. 14,16). და ასწავებს კაცთა ჭეშმარიტებასა: ოდეს მოვიდეს სული იგი შეჭმარიტებისა, გიძლოდეს თქვენ ჭეშმარიტებასა ყოველსა (იოან. 16,13); იგი სუფევს ქრისტეანეში და აცხოველს-მყოფელებს მას: არა უწყითა, რამეთუ ხორცი ევე თქვენი, ტაძარნი თქვენ შორის სულისა წმიდისანი არიან (6,19 — კორინთ.); ეხმარება სუსტ კაცს: სულიცა იგი თანა შეეწევის უძლურებათა ჩვენთა (რომაელ. 8,26); იგი წარმოშობს ჩვენს სულში წმიდათა განწყობილებათა. ნაყოფი სულისა არს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა (გადატ. 5.22).

ამგვარად, წმ.ეკლესია იხსენიებს წმ.სამების პირთა მისთვის, რომ მათ ერთობრივის

მოქმედებით შექმნეს ქვეყანა და კაცს ცხოვნება მონიჭეს. აქ საჭიროდ ვრაცხო მოკლედ გავიხსენოთ ეკლესიური სწავლა წმ.სამებაზე.

სამი პირი: მამა, ძე და სული წმიდა შეადგენს ერთს ღმერთს. ღმერთი, როგორც უსაზღვრო, უუსრულესი არსება, ერთია. ორი ანუ რამოდენიმე უსაზღვრო არსება წარმოუდგენელია. რაოდენიმე ღმერთი რომ იყოს, მაშინ ისინი ერთიმეორეს შეზღუდავდნენ, შემოსაზღვრავდნენ, და არც ერთი არ იქნებოდა ღმერთი — უსაზღვრო არსება. ღმერთი ერთია, ამას მოწმობს საღმთო წერილი: ისმინე, ისრაილ! უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს (მარკ. 12,29), არავინა არს ღმერთი სხვა, გარნა მხოლოდ იგი ერთი ღმერთი (1 კორინთ. 8,4). ამ ერთ ღვთაებაში სამი პირი ანუ გვამია: მამა, ძე და სული წმიდა. ეს სჩანს საღმთო წერილის შემდეგის ადგილებიდან: წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს ჰსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა (მათესი 28,19); სამნი არიან, რომელნი სწამებენ ცათა შინა: მამა, სიტყვა (ძე ღვთისა) და სული წმიდა, ესენი სამნი ერთნი არიან (1 იოან. 5,8). მაღლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და სიყვარული ღვთისა და მამისა, და ზიარება სულისა წმიდისა თქვენ ყოველთა თანა (2 კორინთ. 13,13); ნუგეშინისმცემელი სული წმიდა (მესამე პირი), რომელი მოავლინოს სახელითა ჩემითა (მეორე პირი) მამამა (პირველი პირი), მან გასწავოს თქვენ ყოველი და მოგახსენოს თქვენ ყოველივე, რაოდენი გარქუ თქვენ — სთქვა მაცხოვარმა (იოან. 14,26), და სხვა ადგილებიდან, სადაც თვითივე პირს ცალ-ცალკე მიეწერება ცოდნა, მნებელობა, მოქმედება. თვითიველი პირი წმ.სამებისა არის ღმერთი; მამა არის ღმერთი, ძე არის ღმერთი, სული წმიდა არის ღმერთი. საღმთო წერილში იწოდებიან ღმერთად: პირველი პირი — მამა ღმერთი და მამა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (3 კორინთ. 1,3); იესომ სთქვა: მამაო! მოიწია ჟამი ჩემი, აღიდე ძე შენი... და ესე არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიწოდენ შენ მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე ქრისტე იესო (იოან. 17,1-3); მეორე პირი, ძე: ვიცით, რამეთუ ძე ღვთისა მოვიდა

და მომცა ჩვენ ნათელი და გონება, რათა ვიცოდეთ ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩვენ ჭეშმარიტისათანა ძისა მისისა იესო ქრისტესა: ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი და ცხოვრება საუკუნო (1 იოან. 5,20); ამესამე პირი, სული წმიდა: ანანია! რაისათვის აღავსო გული შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა... არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა (საქმე მოციქ. 5,3-4). რომ ძე არის ღმერთი და სული წმიდა არის ღმერთი, ეს მტკიცდება კიდევ საღმთო წერილის იმ ადგილებით, სადაც მათ მიეწერება ღვთაებრივი თვისებები: დაუსაბამობა — დაუსრულებლობა, თვითმყოფობა — დამოუკიდებლობა, ყოველგან მყოფობა, ყოვლის შემძლებლობა და ღვთაებრივი დიდება.

ღვთაებაში სამი პირია: მამა, ძე და სული წმიდა, და მამა არის ღმერთი, ძე არის ღმერთი, სული წმიდა არის ღმერთი. მაგრამ ეს სამი გვამი სამი ცალ-ცალკე ღმერთი კი არ არის, არამედ ერთი ღმერთია; ისინი ღვთაებრივ თვისებათა — სისრულეთა განუყოფელად იყარბენ; მათ აქვთ ერთი არსება — ბუნება, ერთი ღმერთობა, ერთი მნებელობა, ერთი ძალა, უფლება, სიდიადე, დიდება, სამნი არიან, რომელნი სწამებენ ცათა შინა: მამა, სიტყვა (ძე) და სული წმიდა, ესე სამნი ერთნი არიან (1 იოან. 5,8). მათი სხვადასხვაობა წარმოსდგება არა სხვადასხვაობისაგან ღვთაებრივთ თვისებათა, არამედ პიროვნულ თვისებათა გარჩევა მდგომარეობს იმაში, რომ მამა ღმერთი არის დაუსაბამო არსება, ძე ღვთისა საუკუნოდ იშვა მამისაგან, და სული წმიდა საუკუნიდგანვე გამოვალს მამისაგან. საღმთო წერილში იწოდება პირველი პირი მამად, იგი აძლევს არსებობას მეორე პირსა: რამეთუ ვითარცა იგი მამასა აქვს ცხოვრება თვისა თვისასათანა, ეგრეცა ძესა მოსცა, რათა აქვდეს ცხოვრება თვისა თვისისათანა (იოან. 5,26). მეორე პირი, იესო ქრისტე არის მხოლოდ შობილი პირველის პირისა, მამისა: რამეთუ ესრეთ შეიფარა ღმერთმან (მამამან) სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მისცა მას (იოან. 3,16). მესამე პირი, სული წმიდა გამოვალს მამისაგან: რა უამს მოვიდეს ნუგეშისმცემელი იგი, რომელი მოვაკლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ,

სული ჭეშმარიტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან ჰსწამოს ჩემთვის (იოან. 15,26).

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ როგორ შეიცავს თვის შორის ერთი ღმერთი სამ პირსა, თუ როგორ შეადგენენ ერთ ღვთაებას მამა, ძე და სული წმიდა, თუ როგორ იშვა ძე ღმერთი მამისაგან — ღმერთისაგან, თუ როგორ გამოვალს სული წმიდა ღმერთი მამისაგან — ღმერთისაგან, და საერთოდ, თუ როგორია არსება ღვთაებისა და რაში გამოიხატება მისი ცხოვრება, — ამის საკვებით გაეება ადამიანისთვის შეუძლებელია, ეს კაცისთვის დაფარული საიდუმლოებაა, და ამის მიწოდება მას არ ძალუძს. ეს ასეც უნდა იყოს. ღვთაებას რომ სისრულით მიწვდეს კაცი, განა ის მაშინ ღვთაება იქნება? უსაზღვრო, უუღადავს არსებას სუსტი, შემოსაზღვრული არსება რომ მისწვდეს, მაშინ პირველი ხომ დაკარგავს თვისს არსებით თვისებას — უსაზღვრობას. როგორც ემაწვილს არ შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს ხნიერის კაცის ცხოვრება; მისი შინაგანი სამყარო, მისი პაზრები, გრძნობები, ლტოლვილებანი, მისის სულისკვეთება, — აგრეთვე ადამიანისთვისაც შეუძლებელია ღვთაების ზედმიწევნით მიხედომა. თუმცა წმ. სამებაზე სწავლა კაცის გონებისთვის მიუწოდებელია, გარნა მან იგი უმტკიცესის რწმენით უნდა მიიღოს, მისთვის, რომ იგი გვაუწყა ჩვენ თვით უფალმა იესო ქრისტემ, რომელიც არის უუსრულესი ჭეშმარიტება, და რომელიც, რასაკვირველია, არა ნამდვილ ცნობას ღმერთზე არ მოგვცემდა. და ესევე სწავლა წმ. სამებაზე განიმეორებს და გაავრცელებს მაცხოვრის მოციქულებმა. რომელნიც, როგორც განწმენილი, ღმერთთან სულიერად დაკავშირებულნი და სულით წმიდით ხელმძღვანებულნი, შეცდომაში თვითონაც არ შევიდოდნენ და შემცდარ, ცრუ აზრებს სხვებსაც არ გადასცემდნენ. თუ ნასწავლთა უმრავლესობა სხვადასხვაგვარ ცნობებს მსოფლიოს შესახებ რწმენით ითვისებს, ე.ი. თუ იგი თვითონ კი არ იძიებს ამა თუ იმ საგანთა და მოვლენათა, თვითონ კი არ იკვლევს, თუ რა არის და რა ხდება სამყაროში, დედამიწაზე, დედამიწის სიღრმეში, ადამიანის არსებაში, არამედ უსმენს მეცნიერებს, რომელთა რიცხვი

მცირეა, იჯერებს მათ ნათქვამს, იმეორებს მათგან გაკონილს და დარწმუნებულია მის სინამდვილეში, — რისთვის რწმენითავე არ უნდა მივიღოთ სწავლა წმ.სამებაზე, თუმცა ეს სწავლა ჩვენ ჩვენის გონების მოქმედებით არ გამოგვიკვლევია, არ მივწოდომილვართ მას? მართალია, სწავლულ კაცს, თუ მას ძალა შესწევს, გონება უჭრის, თუ იგი შრომას გასწევს, შეუძლია შეამოწმოს მეცნიერთა ნათქვამი, შეუძლია თვითონვე, თავისისავე სულიერო ძალთა მოქმედებით, გაიგოს, გამოიკვლიოს, თუ რა სუფევს და რა წარმოებს მის გარშემო. მას შეუძლია თვითონვე დაიაროს შორეული ქვეყნები, გაიცნოს უცხო ხალხნი; მას შეუძლია თვითონვე ჩაუკვირდეს ბუნებას, შეისწავლოს მისნი მოვლენანი და კანონნი და სხვა. — მაგრამ აგრეთვე შეუძლია კაცს თვითონვე გამოსცადოს და დარწმუნდეს უცდომელობაში სწავლისა წმ.სამების შესახებ, თუკი გაირჯება და იხმარს იმ საშუალებას, რომლითაც შესაძლოა ხსენებული სწავლის სინამდვილის შეტყობა, ე.ი. თუ მოიპოვებს სულის სიმაღლეს, სიწმიდეს და ცხოველს, მჭიდრო კავშირს ღმერთთან, თუ მისცემს ადვილს თვის ბუნებაში სულსა წმიდასა, რომელიც, როგორც საღმთო წერილში სწერია, გამოუცხადებს და ასწავებს მას ყოველივეს (იოანე. 14,16,26).

ამნაირად, ზემონაჩვენებ წარმოთქმით. მღვდელი ეკლესიაში მღვდომ ხალხს იმზობს სადიდებლად სამებისა, რომელიც არის წმიდა, თანაარსი, ცხოველსმყოფელი და განუყოფელი. ერთი ღმერთი, სამპიროვანი: მამა, ძე და სული წმიდა. მას არავითარი ბიწიერება, არავითარი ნაკლულევაება არა აქვს; მას ცოდვის ქმნაც არ შეუძლია; იგი ყოველს სრულპყოფს; მას თვისთ ქმნილებათა შინა უყვარს მხოლოდ სიკეთე და ღვინის ბოროტებასა. ღმერთი ნათელ არს, და ბნელი არა არს მისთანა არცა ერთი (1 იოან. 1,5); იგი წმიდა არს (1 იოან. 3,3). წმიდა იყვინთ, რამეთუ მე წმიდა ვარ (1 პეტრ. 1,15). წმ.სამება არის თანაარსი; როგორც ზემოდ ვსთქვით, მამა ღმერთი; ძე ღმერთი და სული წმიდა ღმერთი შეადგენენ ერთს ღმერთსა; მათ ერთი ბუნება და ერთი მყოფობა აქვთ. წმ. სამება არის ცხოველსმყოფელი; მას ყოველნი ქმნილებანი თვის ხელში უჭერია, მათზე

მზრუნველობს, აძლევს მათ სიცოცხლეს, განსაკუთრებით სულიერო არსებათა ეხმარება და ანიჭებს მათ ნეტარებით ცხოვრებასა. წმ.სამება არის განუყოფელი; სამნი პირნი — მამა, ძე და სული წმიდა, ერთად იმყოფებიან და ერთობრივის ძალით, თანხმობით მოქმედებენ.

მღვდელი მოიწვევს ეკლესიაში მღვდომ ხალხს ღვთის სადიდებლად შებდგის წარმოთქმითა: დიდება წმიდასა და თანაარსსა და ცხოველსმყოფელსა და განუყოფელსა სამებასა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. მას მგალობელთა გუნდი ხალხის მაგიერად ამაზე უპასუხებს: ამინ. ამინ ნიშნავს: ნამდვილად ასე. ამ სიტყვით გამოიხატება ის აზრი, რომ ადამიანი მოვალე არის აქოს-ადიდოს უფალი, მიზეზი ქვეყნიერების არსებობისა და კაცობრიობის ბედნიერებისა. მერე მღვდელი იტყვის: მოვედით თაყვანის ვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა. მოვედით თაყვანის ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ჩვენსა ღმერთსა. მოვედით თაყვანისვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა. მოვედით თაყვანისვსცეთ და შეუვრდეთ მას. ამ სიტყვებით მღვდელი გვიხმობს სადიდებლად განსაკუთრებით მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესისა და გვეუბნება, რომ თაყვანისვსცეთ მას და შეუვრდეთ — მუხლი მოვიყაროთ, დავემზოთ მის წინაშე, ე.ი. განვიმსჭვალოთ უღრმესის სიყვარულითა და კრძალულებითა მისდამი. ჩვენ გვმართებს უმთავრესად ვადილოთ მაცხოვარი იმიტომ, რომ იმის მეოხებით ვისწავეთ ჭეშმარიტი ღმერთი, იმის ღვაწლით მოვიპოვეთ ღმერთთან კავშირი, იმის წყალობით გავხდით ღირსნი ზეციერის მამის სიყვარულისა და სულის წმიდის ზიარებისა, ე.ი. ცხოველსმყოფელის და კეთილისადმი მიმდრეკელ მადლის მიღებისა. უფალი იესო ქრისტე რომ სოფლად არ მოსულიყო, ჩვენ ჭეშმარიტი ღმერთი არ გვეცოდინებოდა და მასთან ერთობას მოკლებულნი ვიქნებოდით. უიმისოდ ჩვენ არ შეგვეძლო დაახლოვება ღვთაებასთან; ის არის ერთადერთი გზა, მიმყვანელი ღვთის სასუფეველში; ღმერთს დაუახლოვდება მხოლოდ ის, ვინც უპირველესად შეუერთდება ქრისტესა. მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება (იოანე. 14,6);

თვინიერ ჩემსა არა რა გიძსთ ყოფად არცა ერთი (ნაყოფი კეთილი) (იოან. 15,5); არვის ძალუმს მისვლა მამისადმი მხოლოდ ჩემ მიერ — სთქვა მაცხოვარმა. მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ ვაქებთ რა იესო ქრისტეს, ამით ვადიდებთ მამასაც და სულსა წმიდასაც, რადგან ისინი განუყოფელნი არიან.

შემდეგ, ეკლესიაში მდგომნი ქრისტიანენი იწყებენ დიდებისმეტყველებას ღვთისასა. რადგან დიდებულება ღვთისა გამოიხატება ქვეყნის შექმნაში და მართვა-გამგეობაში, ამიტომ ქრისტიანენი ადიდებენ უფალსა, როგორც მსოფლიოს შემოქმედსა და განმგებელს. ხოლო რომ ღმერთი არის დამაარსებელი ქვეყნისა, იმის მზრუნველი და კეთილისმყოფელი, ეს კარგად არის გამოხატული 103-ე ფსალმუნში, რის გამოც იგი იგალობება. — აკურთხე-აქე, სულო ჩემო, უფალი, რადგან იგი დიდებულ არს, — ნათქვამია ამ ფსალმუნში. — მან შექმნა ნათელი, სამყარო, ანუ ხილული ცა; მან დააფუძნა დედამიწა; იმის ძალითა და მოქმედებით მიწა ირწყვება განმაცხოველებელის წყლითა და აღმოსცენდებიან სხვადასხვაგვარნი მცენარენი, რომელთა ნაყოფით საზრდოებენ სულდგმულნი, მან შექმნა მზე და მთოვარე; მან დააწესა დღე და ღამე, და დღის განმავლობაში შროშობს კაცი, ხოლო პირუტყვნი — მხეცნი დამ-ღამობით შოულობენ საზრდოს. წყალთა შინა ღმერთმა გააჩინა სხვადასხვა ცხოველი. იგი ასაზრდოებს ყოველს სულდგმულსა; მასზედ არის დამოკიდებული ჩვენი არსებობა. — ამ ფსალმუნის გალობის დროს სამეუფო კარი ღიაა და მღვდელი მთელს ეკლესიაში აკმევს; მას წინაუძღვის მთავარდიაკონი სანთელითა. გალობა 103-ე ფსალმუნისა და სამღვდლო პირთა მოქმედებანი მოგვაგონებენ ქვეყნის შექმნას და პირველთ კაცთა ყოფნას სამოთხეში, სახელდობრ, აღნიშნული ფსალმუნის შინაარსი თვალწინ გვიყენებს ქვეყნის შექმნას; ღია სამეუფო კარები მოასწავებენ იმას, რომ ადამ და ევასთვის სასუფეველი, ანუ სამოთხე ღია იყო, რომ ისინი დაახლოებულნი იყვნენ ღმერთთან და იმის დიდების ხილვით ნეტარებდნენ; საკმევლის კეთილსუნნელოვანი კვამლი მოასწავებს ახლად შექმნილი ქვეყნის და კერძოდ სამოთხის სიმშვენიერეს; აღნიშნული

სანთელი მოგვაგონებს იმ სიამოვნება-სიხარულსა, რომლითაც გარემოცულნი იყვნენ ადამ და ევა ბუნების ჭვრეტითა და ღმერთთან სიახლოვის გამო. კიდევ სანთელი მოგვაგონებს ღვთის სიტყვასა: იყავნ ნათელი; ხოლო საკმეველი — სულსა წმიდასა, რომელიც იქცეოდა ქვეყანასა ზედა (შესაქმ. 1 თავი). როგორც ზემოდ ვსთქვით, მღვდელი აკმევს მთელს ეკლესიაში, აკმევს ჯერ წმ. ტრაპეზის გარშემო და წმ. ხატების წინ და მერე ხალხს უკმევს. თვით კმევას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. კმევა ირგვლივ წმ. ტრაპეზისა, რომელიც ღვთის განსაკუთრებულ სამყოფელ ადგილს წარმოადგენს, და წინაშე მაცხოვრის ხატისა, მოასწავებს იმას, რომ ჩვენ აღვაპყრობთ გონებასა და გულს ღვთისადმი, აღვაკლენთ მისდამი ღოცვა-ვედრებას და ვსთხოვთ მას, რომ მან მოგვანიჭოს თვისი მადლი, განგვანათლოს, მოგვცეს გული, მხურვალე წმიდა და სანეტარო გრძნობებითა, შეგვმოსოს სათნოებებითა. კმევა წმიდანების ხატების წინაშე მოასწავებს ჩვენს თხოვნას წმიდათადმი, რომ ამათ ჩვენს ღოცვას შეუერთონ თვისი წმიდა ღოცვა, რათა უფალმან მოწყალებით მოგვხედოს და მოგვივლინოს თვისი ცხოველსმყოფელი მადლი და შეგვეწიოს გაჭირვებაში. ხალხის წინაშე კმევით გამოიხატება სურვილი, რომ მლოცველთა ზედა გამოვიდეს სული წმიდა, დაიმკვიდროს მათ გულში, განწმიდოს ისინი და აღავსოს ივინი მშვიდობითა და სიხარულით.

103-ე ფსალმუნის გალობის დროს ქრისტიანემ უნდა მიმართოს თვისი გონება ღვთისადმი და დაამყაროს თვისი ყურადღება მისთ ქმნილებათა ზედა, რომელნიც გვიღალადებენ მის სიბრძნესა და ყოვლის შემძლებელობას. ქრისტიანემ უნდა წარმოიდგინოს ანგელოზნი, უუმაღლესნი, სიკეთეში განმტკიცებულნი სულიერნი არსებანი, რომელნიც დაახლოვებულნი არიან უფალთან, სდგანან მის წინაშე; დაუცხრომლად ადიდებენ და უგალობენ მას, ასრულებენ მისს წმიდანებას, მოველინებიან ადამიანებს და შველიან მათ კეთილ საქმეში. მან უნდა მოიგონოს სხვადასხვანი ნივთიერება — სხეულნი, დაუსრულებლად უუმტკირესნი, მათი შედგენილება, ნაშენობა-აგებულება, მათი მოძრაობა-მოქმედება. მან თვალწინ უნდა

დაიყენოს ურიცხვნი, უზარმაზარნი ვარსკვლავნი და პლანეტნი, რომელნიც სამყაროს უსაზღვრო სივრცეში ტრიალებენ და გარს უვლიან თავისთავს და ერთიმეორეს საოცარის წესიერებითა და მუდმივობით. მან თვალწინ უნდა დაისურათხატოს დედამიწის დამამშვენებელნი და ადამიანის თვალის წარმტაცნი და გულის დამატკბობელნი, მომხიბლველნი მცენარენი, მათი აგებულება და ცხოვრება. მან უნდა წარმოიდგინოს ცხოველნი და მათი ნაშენობა და მოქმედება, მან უნდა წარმოიდგინოს ადამიანის სულის განმაცვიფრებელნი თვისებანი, მისი შემოქმედება და ძლიერება. საერთოდ, მან უნდა გაიხსენოს მრავალნი საოცარნი მოვლენანი, ძალნი და კანონნი ბუნებისანი, რომელთაც ვხედავთ დედამიწის ზურგზე, ჰაერის სივრცეში და დედამიწის სიღრმეში — და უნდა განიმსჭვალოს იგი უზომო კრძალულებითა შემოქმედისადმი და სთქვას: საოცარ არიან საქმენი შენნი, უფალო! ყოველივე სიბრძნით შექმენ!

კიდევ, ქრისტიანემ უნდა წარმოიდგინოს, თუ როგორ განარჩია და აამაღლა უფალმან ადამიანი, უჩვენა მას განსაკუთრებული დანიშნულება, მისცა მას თვისი ხატება-მსგავსება, დაიახლოვა იგი, — და მან უნდა იგრძნოს ღრმა მადლობა და სიყვარული მისდამი. ასეთი აზრებითა და გრძნობებით გარემოცულნი უნდა იყვნენ მლოცველნი მანამ, სანამ მღვდელი კმევას არ გაათავებს. როცა მღვდელი დაასრულებს კმევას, მაშინ ის დახშავს აღსავლის კარებს და დადგება ამბიონზე ამ კარების წინ და იწყებს საიდუმლო ლოცვების კითხვას. სამეუფეო კარების დახშვა მოასწავებს ადამ და ევას განდევნას სამოთხიდან, მათ მიერ დაკარგვას ცხოველის და მჭიდრო კავშირისა ღმერთთანა და ნეტარებისა. მღვდელი, მღვდომარე აღსავლის დახშულ კარების წინ, მოკვარონებს შეცოდებულს, მწუხარე და თვის ცოდვების მომნანიებელ ადამსა. ამ დროს მლოცველებმა უნდა წარმოიდგინონ, თუ როგორ გაჩნდა და გაძლიერდა ცოდვა ადამიანის ბუნებაში, თუ როგორ შეიპყრო ბიწიერებამ მთელი კაცობრიობა, თუ როგორ შთაინთქა კაცთა ნაოჯახი ვნებათა მორევში და დაჰკარგა ძალა უძნად თვისთ კეთილ სურვილთა, რომელნიც კიდევ შერჩნენ მას;

თუ როგორ განშორდა იგი უფალსა თვის ცოდვიანობისა გამო და იწყო ტანჯვა-ვაებით აღსავსე ცხოვრება. ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ მლოცველებმა და უნდა აღივსნენ ღრმა მწუხარებითა.

შესცოდეს ჩვენმა წინაპრებმა. გავრცელდა კაცთა შორის ბოროტება, შესწყდა კავშირი ღმერთსა და ადამიანს შუა და ამით კაცობრიობისათვის დაიწყო მრავალ-მწუხარებითი და ტანჯვა-წვალებითი ცხოვრება, — და აი, ჩვენ ვითხოვთ ღვთისაგან იმას, რაც ჩვენ დაკარგეთ, რაშიც ვსაჭიროებთ. ვითხოვთ მშვიდობასა ღმერთსა და მოყვარესთანა და აქედან თვისთა თანა. 103-ე ფსალმუნის შემდეგ მთავარდიაკონი იტყვის დიდს კვერექსსა. კვერექსი არის კრება სხვადასხვათა თხოვათა უფლისა მიმართ. ეს კვერექსი იწოდება დიდ კვერექსად იმიტომ, რომ ის შეიცავს თვის შორის უფრო ბევრთა თხოვათა, ვიდრე დანარჩენნი სამნი კვერექსნი. იგი იწოდება კიდევ დიდ მშვიდობიანად; — მშვიდობიანად იმისთვის, რომ იწყება სიტყვით: „მშვიდობით“ და მასში უმთავრესად ვითხოვთ მშვიდობასა. ხოლო დიდი მშვიდობიანი ჰქვიან განსარჩევად მცირე მშვიდობიანისაგან, ანუ მცირე კვერექსისაგან, რომელიც იპყრობს მცირე რიცხვს თხოვათა. დიდი მშვიდობიანი იწყება სიტყვებით: მშვიდობით უფლისა მიმართ ვილოცოთ. ამით ხალხს ეძლევა წინადადება, რათა მან ილოცოს დამშვიდებულის გულითა.

ლოცვის მიზანი იმაში მღვდომარეობს, რომ ადამიანი თვისის გონებისა და გულის ღვთისადმი მიმართვით შეუერთდეს მას და სიტკბობითა და სიხარულით აღივსოს. ამ წმიდა მიზნის მიღწევისათვის საჭიროა, რომ ლოცვის დროს ადამიანს არავითარი ქვეყნიური ფიქრი არ ამძიმებდეს, ყოველივე ზრუნვა მსწრაფლ წარმავალ, სოფლიურ სიკეთესა და სიამეზედ მისგან განშორებული იყვეს. კაცის მთელი ყურადღება, ყოველნი მისნი ძალნი მიქცეულნი უნდა იყვნენ ღვთისადმი, მის მოქმედებისადმი და საერთოდ მაღალ ღვთაებრივ საგნებისადმი. როცა ლოცვის დროს ადამიანის ყურადღებას დროებითის ცხოვრების რომელიმე მოვლენა იზიდავს, როცა იგი დაუდგრომელ სოფლიურ კეთილდღეობაზე ფიქრობს, მაშინ მისი სული ვერ ფრთოვანდება და ვერ აღწევს

უფლისადმი, მაშინ მისნი სულიერნი ძაღნი არ არიან იმრიგად მოსვენებულნი, თავისუფალნი, რომ ადვილად შეიძლონ აღმაფრენა ღვთისადმი. სამეცნიერო კითხვების გამოძიება-გამოკვლევითვის აუცილებლად მოითხოვება კაცისაგან დატოვება ქვეყნიურთ ზრუნვათა და ყურადღების დამყარება მხოლოდ ამ სამეცნიერო საგნებზე. და მით უფრო ესეთი მოქმედება, ე.ი. ლტოლვა სოფლიურთ ზრუნვათაგან საჭიროა ისეთ დიდ საქმეში, როგორც არის ლოცვა, სულიერი დაკავშირება ღმერთთან. კიდევ, ლოცვაში წარმატებისთვის საჭიროა, რომ ადამიანს არ აღელვებდეს, არ აშფოთებდეს ბოროტი მიდრეკილება, ცოდვითი გრძნობა, განსაკუთრებით, სიძულვილი და ჯავრი მოყვანისადმი. თუ კაცი ბიწიერის გრძნობებითაა შეპყრობილი, თუ მას თვისი მოძმე სძულს, თუ იგი იმის ფიქრშია, როგორ ავნოს მას, მაშინ იმის ლოცვას სასურველი შედეგი არ ექნება. ჯერ ერთი, რომ იმისი სული, როგორც გარემოცული ცოდვითის განწყობილებითა, ვერ შეიძლება თავისუფლად აღმაფრენას ღვთისადმი, რადგანაც იგი იმავე დროს მიდრეკილი იქნება ბოროტებისადმი. მეორედ ისა, რომ ღმერთი ცოდვებით დატვირთულ კაცს არ მიუახლოვდება, რადგანაც იგი არის

უსაზღვრო სიყვარული და დაისადგურებს მხოლოდ იქ, სადაც სიყვარული სუფევს. უპირველესი სათნოება, რომელიც კაცისგან მოითხოვება, არის სიყვარული. ვისაც ღრმა და ცხოველი სიყვარული მოძმეთადმი ძვალსა და რბილში არ აქვს გამჯდარი, ვინც მოწადინება სხვისი გაუბედურებისა, ის ღვთის სიყვარულს ვერასოდეს ვერ მოიპოვებს. ადამიანმა ჯერ თვისი გული მოძმისადმი სიძულვილისაგან უნდა გაიწმიდოს და მერე უნდა შეუდგეს ლოცვასა. ქრისტეანისგან მოითხოვება არა მარტო ისა, რომ იგი ყველას ძმურად ექცეოდეს, ყველასთან მშვიდობიანად იყოს, რომ მან ცუდი არავის უყოს, არავის აწყენინოს, არამედ ისიც, რომ, თუ ვინმე მასთან მწყრალად არის, შემდურებულია, თუმცა მას ამისთვის მიზეზი არ მიუცია, მაინც მივიდეს იმასთან და შერიგება სთხოვოს.

8(21) სექტემბერი

შობა ყოვლადწმიდისა დედოფლისა

ჩვენისა და

მარადის ქალწულისა მარიამისა

იშევ დღეს, უბიწო ქალწულო, ყოველი სოფელი მორწმუნეთაჲ იხარებს, ღმრთისამშობელო, მეოხ-იყავ ცხოვრებად სულთა ჩუენთათვის.

ხატი „საქართველოს ეკლესიის დიდება“

იოანე ოქროპირი წერდა, რომ ანტონი დიდის ადგილი მოციქულთა გვერდით განისაზღვრა. მართლმადიდებლური მონაზონებრივი ასკეზის ღვაწლი მოციქულებთან მისტიკური ურთიერთობის შესაძლებლობას იძლევა - წაიკითხო სახარება მათი თვალთ, მოიხილო წმიდა წერილის იდუმალებრივი სიღრმეები, შეამჩნიო ის ფერები, ჩრდილები, ნმოვანება და ვიბრი-რება სიტყვისა, ნათლის ის სიმფონია, რომლისადმი ყრუ და ბრმაა ყოფითი ამოვებით შეპყრობილი ადამიანი. როგორც მთის მწვერვალზე ასული მგზავრისთვის ცოცხლდება ვარსკვლავები მათი განსაკუთრებული მკვეთრ ნათების გამო, ასევე სული, განწმედილი მღუმარების ალითა და ლოცვით, შეიგრ-მნობს, როგორც ცოცხალია ბიბლიის ყოველი სიტყვა მის მისტიკურ სიღრმეებში, ენერგულ ტალღებში და მარადიულ მშვენიერებაში. ამიტომ ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანები მიუღწევად და რჩება, როგორც უბადლო საუნჯე და საკრალური ენა ქართული ეკლესიისა.

326 წელს მოციქულთა სწორმა იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოში გამოაგზავნა ცხოველ-მყოფელი ჯერის ნაწილი, ერთი სამსკვალთაგანი, რომლითაც იყო ჯვარზე დაჭედილი. სხეული მაცხოვრისა, წმიდანთა ნაწილები, საღვთისმსახურო ჭურჭელი, წიგნები ღა სამღვდელმსახურო შესამოსელი, იმპერატორის მაცნეებმა კი მეფე მირიანს გადასცეს იმპერატორის წერილი. მცხეთაში ჩამობრძანდა ეპისკოპოსი იოანე, სამღვდლოება და ხუროთმოძღვარნი.

არაგვის გამჭვირვალე ტალღებში, როგორც ვერცხლის ემბაზში, აღესრულა საქართველოს ნათლობა. თავდაპირველად მოინათლნენ მეფე და დიდებულები, ხოლო შემდეგ ხალხი. ამ დღეს საქართველომ არაგვის მიმსწრაფავ მდინარებაში

სახიდან ჩამორეცხა კერპებისათვის შეწირულთა სისხლი.

მეფე მირიანმა და წმიდა ნინომ ბერძენ-ხუროთმოძღვრებთან ერთად იწყეს ტაძრის მშენებლობა იქ, სადაც სიღონიას მკერდზე განისვენებდა კვართი უფლისა.

ხატის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია მირონმდინარე კედარიდან დამზადებული ძელი, რომელიც ჯვართამაღლების დარად ზევით აიტაცა უფლის ანგელოზმა. ეს ძელი უნდა გამხდარიყო მშენებარე ტაძრის გუმბათის საყრდენი. ეს გამოსახულება, მომხდარის ზუსტი ასახვის გარდა, სიმბოლური შინაარსითაც არის დატვირთული:

1. ის მიუთითებს მართლმადიდებლური ტაძრის მეტაფიზიკურ მხარეზე. ტაძარი ის წმიდა ადგილია, სადაც კონცენტრირებულია სულიერი ნათელი, სადაც რეალურად მყოფობს სულიერი სამყარო. ტაძარი მოვლენაა მარადიული წუთისოფლურ წარმავლობაში და უსასრულობა - სივრცულ დასაზღვრულობაში.

2. მისტიკური შენება ეკლესიისა - ესაა ქრისტიანობის გავრცელება ქვეყანაზე, რომელიც გაგრძელება უფლის მეორედ მოსვლამდე.

3. ზეციური ეკლესია უხილაეია, მაგრამ გამუდმებით მონაწილეა მიწიერი ეკლესიის ცხოვრებისა. ორივე ეკლესია კი ქმნის ერთიან მისტიკურ ორგანიზმს.

4. მფარველი ანგელოზი შემწეა ჩვენი გულის ტაძრის აღშენებისა. სულიერი ტაძრის საყრდენი ძელი არის მართლმადიდებლური სარწმუნოება, კედლები - სასოება, ხოლო გუმბათი-სიყვარული.

წმიდა ნინომ მიწიერი ცხოვრება კახეთში დაასრულა. სიკვდილის წინ სთხოვა მეფე მირიანს არ გადაესვენებინათ მისი გვამი მცხეთაში, არამედ იქვე დაეტოვებინათ, როგორც მაკურთხეველი მფარველი კახეთისა.



წმიდა ნინოს გარდაცვალების შემდგომ მცირე ხანს იცხოვრა მეფე მირიანმა. სიკვდილის წინ კი თავის ძეს, ბაქარს კავკასიელი ტომების ქრისტიანობაზე მოქცევა უანდერძა. მეფე მირიანი, თავის მეუღლესთან, დედოფალ ნანასთან ერთად სამთავროს მონასტრის თაღებქვეშაა დაკრძალული.

წმიდა ნინოს სახარების ქადაგებაში დაუცხრომელ შემწედ გამოუჩნდა აბიათარი, ებრაელთა რაბინი, შთამომავალი ელიოზისა, რომელიც გაქრისტიანდა და პავლე მოციქულის მსგავსად ითმენდა ტანჯვას და ეიღოდა მოთმინებით ქრისტეს გზაზე. მისი სიკვდილი და საფლავი შთამომავლობისთვის უცნობი დარჩა.

ქართლის გაქრისტიანებისთვის სპარსეთმა სწრაფად და სასტიკად იძია შური. სპარსელთა ჯარი მირიანის სიცოცხლეშივე შემოიჭრა ქართლში, მაგრამ მოიგე-

რიეს. განსაკუთრებით ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლები გადაიტანა საქართველომ ირანთან ვახტანგ გორგასლის მეფობის ხანაში. ბიზანტიის არწივი ქართლიდან შორს, თავის უსაზღვრო სამფლობელოებზე ბოინობდა, ირანის ლომი კი ყოველთვის სასიკვდილო ნახტომისთვის მზადმყოფი ზედ საქართველოს საზღვართან გაწოლილიყო, ამიტომ უნდებოდა ძლევა მოსილ მტერთან ქართლის მცირე მოსახლეობას ერთი ერთთან ბრძოლა. ვახტანგ გორგასალი რიგითი მეომარივით იბრძოდა, ამიტომ თხზავდნენ სიმღერებს მის მამაცობაზე, ხოლო მტერს მისი სახელის ხსენებაც კი თავზარს სცემდა. მაგრამ მხედრულ გმირობაზე უმეტესად მან ქალაქებისა და ტაძრების მშენებლობით გაითქვა სახელი. მის დროს

საფუძველი დაედო თბილისს, ხოლო სიდონიას საფლავზე ხის კელესის ნაცვლად ქვის ტაძარი აიგო. ის იყო უდიდესი სურთომოდგარი საქართველოსთვის, როგორც იუსტინიანე ბიზანტიისათვის. მამაცი და ბრძენი უწყინარი იყო და — მოთმინებით გამოირჩეოდა. როდესაც ეპისკოპოსმა მიქაელმა ჯარისა და ხალხის წინაშე სილის გაწვინით შეურაცყო მეფე, მან თავშეკავებით აჩვენა ქვეშევრდომებს მაგალითი სასულიერო პირის მეფეზე უმეტეს პატივებისა.

ვახტანგ გორგასლის მეფობაში მრავალ მონასტერსა და ეკლესიაში გაიხსნა სასწავლებელი, სადაც მღვდლები განსწავლდნენ ერს, ხოლო კალიგრაფები, უმეტესწილად ბერ-მონაზვნები, მუშაობდნენ ბიბლიისა და საღვდელმსახურო წიგნების გადაწერაზე. პალესტინაში, ცნობილ კაპატას მონასტერში, ქართველ წარჩინებულთა ქალიშვილები ცხოვრობდნენ, მათი უმთავრესი მორჩილება იყო ქართლში გამოსაგზავნი წიგნების გადაწერა. ვახტანგ გორგასლის დროს განაზღვრა ჯვრის მონასტერი. მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ განათლება მიიღო ანტიოქიაში, ედესში, ნიზიბიაში და მცირე აზიის სხვა ქვეყნებში.

ქართლის განათლებისა და ეკლესიის ახალი ორგანიზაციის საქმეში მეფე ვახტანგის ერთგული შემწე იყო კათოლიკოსი პეტრე.

მეომარმა მეფემ ცხოვრების უმეტესი ნაწილი უნაგირზე გაატარა და არა სამეფო ტახტზე, არა სკიპტრით, არამედ ხმლით ხელში. ერთ-ერთ ბრძოლაში მეფე ვახტანგი სასიკვდილოდ დაჭრა თავისმა მონამ, გაიცა, როგორც უფალი თავისი მოწაფისაგან.

ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს მოწამებორი ფილა დაცალა წმიდა შუშანიკმა, იგი იყო ასული სახელგანთქმული სომეხი მხედარმთავრის, ვარდან მამიკონიანისა, რომელიც გმირული სიკვდილით აღესრულა სპარსელებთან კავკასიაში ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის გამართულ ბრძოლაში.

სახელი შუშანიკი (სუსანა) ნიშნავს „შრომანს“. წმიდა შუშანიკი — თეთრი შრომანია, ტანჯვა-წამების სისხლით რომ შეუღლებავს ფურცლები. შუშანიკის ქმარმა, ვარსკენ პიტიახშმა, სპარსეთის მეფის გულის მოსაგებად თავად მიიღო მახდვანობა და ოჯახისა და ხალხის გამაზღვანების პირობაც დადო. მეუღლის ღალატისა და ვერაგობის ცნობამ მწუხარებითა და შეძრწუნებით განგმირა შუშანიკის გული. ვერც მუქარამ და ვერც თხოვნამ მოდრიკა მისი ნება და არ შეძრულა ქრისტესადმი მისი სიყვარული.

ვარსკენმა უარყო ღმერთი და შუშანიკმა უარყო ქმარი. ვარსკენი იქცა მის მტანჯველ ჯალათად. 7 წელი დედოფალი თავისი სასახლის საპყრობილეში,

როგორც ქვის აკლდამაში, ისე იყო ამოქოლილი; პიტიახში მას ახალი გვემისა და ტანჯვის მისაყენებლად თუ იხსენებდა.

წმიდა შუშანიკი, როგორც დაყოფილი ხქემოსანი, ლოცვითა და ფსალმუნებით ცხოვრობდა სატუსალოში. მან მოსაგებობის ბორკილად დაიტოვა ჯაჭვი, რომელიც დაადო ქმარმა. გამუდმებული მეტანიებისა და მუხლმოდრეკისაგან ჯაჭვმა ძვლებამდე ჩაუჭრა ხორცი. დაწყულულ და ნაჭრილობეგ სხეულზე ანტიოქის პალეკარტის ქვეშ გაუხდელად და სხვებისგან მალულად ძაძა ემოსა. სიცოცხლეშივე მიიღო კურნების ნიჭი. მის საპყრობილესთან, როგორც სამლოცველოსთან, ისე მოდიოდა ხალხი და ითხოვდა მისგან უფალთან მეოხებას.

ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მეფე ვახტანგმა შეიჭრო შუშანიკის წამების ამავე. მან დაასჯევინა ვარსკენი. შუშანიკის გვამი გადააბრძანეს თბილისში და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეტეხის ტაძარში დაკრძალეს.

შუშანიკის საფლავი არის ლამპარი დანთებული მეტეხის კლდოვან სასანთლეზე. ესაა ისანზე, თბილისის აკვანზე, მოკიაფე სულიერი აისი. 15 საუკუნე ისანი და ნარიყალა, ეს ორი სიმაგრე მოწამეთა დაღვრილი სისხლისა და ძვალთშესალავ კიდობნად იქცა. მეტეხი, თბილისის ერთ-ერთი პირველნაშენ ტაძართაგანი, სატანური შურისმგებლობით ხან ღვთის საწყობად, ხან ციხედ, ხანაც თეატრად გამოიყენებოდა. თითქოს ციხიდან და თეატრიდან იწყებოდა ქალაქის ისტორია. მაშინაც კი, აშკარად და მალულად მეტეხის კედლებთან მისული მორწმუნენი შელანძღულ სიწმიდესთან იღებდნენ ხორციელ კურნებას, ცოდვითა შენდობასა და ზეციურ შემწეობას. ახლახანს შეწყდა წმიდა შუშანიკის II ტყვეობა და პყრობილება. ტაძარი გაიხსნა, აინთო კანდელები მის საკურთხეველში. წმიდა მოწამე ისმენს ლოცვებს და როგორც დედა, თანაულმის შეილთა ტანჯვისა და ტყვიულებისთვის.

მეტეხი — თბილისის წმიდა ადგილია. როგორც მდინარე სათავეს წყაროდან იღებს, ასევე ქალაქი, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრიდან იწყება. წმიდა შუშანიკის საფლავთან ჩაიარეს მოწამეთა მწკრივებმა აქედან განჭვრეტდა ვახტანგ გორგასალი საქართველოს მომავალ დედაქალაქს, მსგავსად სატანტო საკანეზე მოფიქრალი კონსტანტინე იმპერატორისა. აქ ბრძოლათა და დევნილებათა ცეცხლში მსხვერპლად ეწირებოდნენ ადამიანები და საოცარ, ზეციურ ყვავილებად გარდაიქმნებოდნენ.

V საუკუნის II ნახევარში ირანმა თავისი არმია კავკასიაში ქრისტიანობასთან საბრძოლველად წარგ-

ზაენა. საბრძოლო არენა გახდა საქართველო (რომის კოლიზიუმის მსგავსად, რომლიდანაც სამი ასწლეული დიოდა მოწამეთა სისხლი). ცეცხლის ალი მოედო მთელს ქვეყანას. მზეს აღმოდებული ქალაქებისა და სოფლების კვალი აბნელებდა, რომელიც მიწაზეც შავი ნისლივით გაწოლილიყო. დამით კი ცა მეწამული ხანძრებით ნათდებოდა. ირანი ეომებოდა არამარტო ცოცხლებს, არამედ მკვდრებსაც. შეურაცყოფდნენ საფლავებს, ქრისტიანეთა გვამებს ნადირ-ფრინჯულს უტოვებდნენ საჯიჯგნად.

ვახტანგ გორგასლის უახლოესი თანამებრძოლი იყო რაფელი, ეროვნებით სპარსელი, სასანიდთა მოღვმისა, რომელიც საქართველოში გაქრისტიანდა და სიკვდილამდე ერთგული დარჩა ქრისტესი და თავისი ახალი სამშობლოსი. მეფემ მას დასაცავად მცხეთის მისადგომები მიანდო. რაფელმა რამდენიმე ბრძოლაში გაიმარჯვა, მაგრამ არმაზის ციხესთან ტყვედ ჩავარდა. სპარსეთის შაჰი ფერადოვანი მჭერმეტყველებით ცდილობდა მის გამაზდიანებას, მაგრამ რაფელი პასუხობდა: „შენი დაპირებანი ფერფლია და კვამლი, ხოლო ქრისტესთვის სიკვდილი უკვდავება“.

შაჰმა მისი წამება ბრძანა. რაფელს სცემდნენ პირისახეზე, აგლეჯდნენ თმას, ჩაქუჩით უმტვრევდნენ კბილებს, ათრევდნენ, მთელი სხეული ერთიანად დაჭრილობდა, მაგრამ ბაგიდან კენესა და შეწყალების თხოვნა ვერ დააცდინინეს. ის ჰკავდა კლდის ქიმს, რომელზეც ქარიშხლით აღმდგარი ტალღა ასკდება და შხეფებად, ქაფად დაშლილი უკუიქცევა. შაჰი რწმუნდებოდა, რომ მარცხდებოდა უიარაღო, სისხლმდინარე ტყვესთან. მას ურჩიეს, რაფელი მცხეთაში ახლობლებთან გამოსამშვიდობებლად დაებრუნებინა, ოღონდ დაეფიცებინა, რომ წამებისათვის დანიშნულ დღეს უკან დაბრუნდებოდა. მეფე დაჟებულდა, იმედოვნებდა, რომ ტყვე გატყვადა სიტყვას და დარჩებოდა მცხეთაში, რითაც ქართველთა და სპარსელთა თვალში ცრუდ და ლაჩრად გამოჩნდებოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა, რაფელმა მოწამის ხვედრი ირჩია, იგი ჩამოვიდა მცხეთაში, დალოცა შვილები, გამოეთხოვა მეგობრებსა და ახლობლებს, გლახაკებს დაურიგა მოწვალება და უმაღ დაბრუნდა სპარსელთა ბანაკში. სპარსელებს გაუკვირდათ რაფელის დანახვა. მან ღვთის ტარიგის დარად თავადვე დასდო თავი სამსხვერპლოზე. შაჰმა გადაწყვიტა გაეგზავნა რაფელი წრომის მმართველისათვის საწამებლად და სიკვდილით დასასჯელად. რაფელს მათრახებით სცემეს და ჯაჭვით შებორკილი საპრობილეში ჩააგდეს. მას ბრწყინვალე ნათებაში გამოეცხადა ქრისტე და აკურთხა იგი ბოლო გმირობისათვის. თავად ჯალათები მოიქანცნენ პერობილის ტანჯვით. მეომრებმა რაფელი ჯვარზე

გააკრეს და სამხრეთ-გაბიფენეს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთ სტორცნიდა ისარს. რაფელი მოიკლა მოწამული იბრებით, როგორც გველთაგან დაკრინილი. მეფე ვახტანგმა მისი გვამის მოსაპოვებლად ეპისკოპოსები გაგზავნა.

ახლობლებმა ორჯერ დაიტრეს რაფელი მცხეთაში გამოსამშვიდობებლად ჩახვლისას და დაკრძალვის წინ მისი წმიდა ნაწილები დააბრძანეს იკორთის მონასტერში. ხალხმა უმაღვე დაბწყო მისი, როგორც წმიდანის, თავიანისცემა. ამიტომ უწოდა მას კელესიამ პირველმოწამე.

კელესია განადიდებს კოლაულ ყრმებს, რომლებიც ცხოვრობდნენ მტკვრის სათავეებთან მდებარე სოფელ კოლაში. ისინი მონინათლენ, წარმართმა მშობლებმა და ახლობლებმა ჩაქოლეს ვმაცვილები. მათზე აღესრულა თქმული უფლისაგან: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგვიითართა არს სასუფეველი ღმრთისა“. მოწამე ბავშვები! ისინი ჯაგანარში ამოზრდილ მოთიბულ შრომანებს ჰკვანან, ჰკვანან ბარტყებს, რომლებიც ბუღეშივე ამოჭამა მტაცებელმა. ჭული წმიდამ განანათლა მათი გულები და მოხუც კერპთაყვანისმცემლებზე უმეტესად განაბრძნო, რადგან ყველაზე დიდი სიბრძნეა ქრისტესთან სიცოცხლე და მასთანვე სიკვდილი.

ნატზე გამოსახულია დიდმოწამე ეგსტათი მცხეთელი, რომელიც გამოვიდა ცეცხლთაყვანისმცემელ ქურუმთა მაღალი ფენიდან. მათ მობიდანები ერქვათ. ის იზრდებოდა ბომონთა შორის, უცქერდა უქრობ ცეცხლს, რომელსაც, როგორც ღვთაებას, ისე სცემდნენ თაყვანს. სწავლობდა ქურუმთა სკოლაში, მშობლებისა და წინაპრების მსგავსად გახდა მობიდანნი. ერაყი მეტოქეობდა ბიზანტიას, არამარტო ბრძოლებში, არამედ ის ძლიერ მფარველობდა მეცნიერებას, ხელოვნებას და ფილოსოფოსებს.

ფილონი სპარსელ მოგებებს ინდოელ ბრაჰმანებთან ერთად ძველი მსოფლიოს ბრძენთა რიცხვს მიაკუთვნებდა, მაგრამ ეგსტათისთვის არც საბერძნეთის და ინდოეთის ნატიფ ფილოსოფიას, არც აღმოსავლეთის დემონურ სწავლებას, არც ზოროასტრის ცეცხლთა ბრწყინვალეობას არ შეეძლო ეჩვენებინა ცხოვრების მიზანი და აზრი, გაენათებინა ყოფიერების დანისნული საიდუმლოებანი და მიეცა მოსვენება ჭეშმარიტების მაძიებელი ეგსტათის მწყურვალე სულისთვის. მან იწყო ძიება უხილავი ღმერთისა, ვისაც უძველეს დროს ათენში აღუმართეს საკურთხეველი. ეგსტათიმ დატოვა მამისეული სახლი, დასახლდა მცხეთაში, შეისწავლა მეწაღეობა და საკუთარი გარჯით მოიპოვედა სარჩოს.

ოდესღაც მოგვთა შორის რჩეულმა, მსახურებითა და ქურუმებით გარშემორტყმულმა ქურუმმა მობიდანმა, იწყო ცხოვრება ქონში და განთიადიდან მწუნრამდე თავაულებლივ შრომობდა. ის შესთხოვდა უხილავ ღმერთს ჭეშმარიტების განცხადებას, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ერთხელ მობიდანი სვეტიცხოველში შეხვდა მთავარდიაკონ სამოელს (შემდგომში ქართლის კათოლიკოსს), როგორც მის გასანათლებლად მოსულ უფლის ანგელოზს. სამოელთან საუბარმა და სვეტიცხოვლის ძაღლმა ეგვსტათის სულიერ ხედვას აპოვნინა სახარების ის მარგალიტი, რომლისთვისაც მან ყველა და ყოველივე დატოვა. მისი სული შეხვდა ქრისტეს, ისევე, როგორც თვალახილული ბრმა შეხვდა იერუსალიმის ტაძარში მის მხსნელს და აღიდებდა, ქადაგებდა ქრისტეს, ძეს ღვთისას, მხსნელს ხოფლისას. სამოელი იქა მობიდანის მოძღვრად, მამად და წინამძღოლად სულიერ ბრძოლაში, ქართლი — სამშობლოდ, მცხეთა — საკუთარ სახლად, ხოლო სვეტიცხოველი — ღვთისმეტყველების რჯულის ფიცარი და ნათლობის კმბაზი.

ეგვსტათი იცნეს თანამემამულეებმა და სპარსეთის მმართველთან დაასმინეს — ცეცხლთაყვანისმცემელმა

ქურუმმა ქრისტიანობა მიიღო. მობიდანი თბილისში მარზაპანთან გაგზავნეს გასასამართლებლად, იგი აწამეს: როგორც მხეცს, ნესტოებში რკინები გაუყარეს, ჯაჭვებით შეკრეს და საპრობილეში შეაგდეს. პირქუშ მიწისქვეშეთშიც ეგვსტათის დაეწყოებული ჰქონდა თავისი სისხლმდინარე ჭრილობები და იქ მყოფ პატიმრებს სულიერ სიმტკიცესა და ქრისტეს ერთგულებას შეაგონებდა. როცა ეგვსტათიმ თავისი სასიკვდილო განაჩენი მოისმინა, გაიხარა, რადგან ღირსიქმნა ქრისტესთვის წამებისა. სიკვდილის წინ ეგვსტათიმ ითხოვა უფლის წინაშე, რათა უფალს შეესმინა ყველა მავედრებლის ლოცვა წარმოთქმული მის ნაწილებთან, ითხოვა უფლისგან, რომ მისი გვამი გადაეჭანათ მცხეთაში, იქ, სადაც მან ბრმადმობილის მსგავსად იხილა ნათელი ჭეშმარიტი.

ზეციდან ჩმა მოისმა, რომ შესმენილია მისი სათხოვარი. კათოლიკოსმა სამოელმა ეგვსტათის სხეული მოათავსებინა სვეტიცხოვლის მთავარი საკურთხევის ქვემოთ.

მისი წმიდა ნაწილებიდან მომდინარე ძაღლი ოქროსწვეთოვან წვიმად ეღვრება ყველას, ვინც რწმენითა და მოწამისადმი მიმართული ლოცვით შედის მცხეთის ეკლესიაში.



13(26) სექტემბერი
 ხსენება წმიდისა დედოფლისა
 ქეთევანისა

მოწულულმან სურვილითა საღმრთოთა, წულულებანი მრავალნი თავს ისხენ, და ტანჯვათა ფერადოვანი აზონად დაითმინენ, ვინცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევამ ზეცისა დაიმკვიდრენ, სამგზის სანატრელო ქეთევან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

პროფ. ილ. აბულაძე თავისი ლექსიკოლოგიური ძიებისას მივიდა დასკვნამდე, რომ სულხან-საბა ორბელიანისეული განმარტება სიტყვა ქორიკოზისა არასწორია და ხელახალ გადასინჯვას საჭიროებს.¹

როგორც ვიცით, სულხან-საბა ამ სიტყვას კახეთის ქორეპისკოპოსთა ტიტულის სწორ ფორმად მიიჩნევდა. მისი სიტყვით, „უმეტარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყვნია ქორიკოზი. ქარაგმით ქორეპისკოპოზი ჰგონებია. ქორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვან“.² ამავე ლექსიკონის სხვა რედაქციებში ვკითხულობთ: „უმეტარს მწერალთ სხვებრ გაურყვნიათ, ბერძულად ხორეპისკოპოსი ეწოდების ეპისკოპოსსა უსამწყსოოსა, ხოლო ქართლის ცხოვრების მწერალთა, ქარაგმის გამო მოცთუნებულთა, ქორიკოზი ქორეპისკოპოზად აღუწერიათ“ (B).³ „ქორეპისკოპოსი არს ერთსა სამთავროსა ადგილსა მთავარი არა ჯდეს და მისდა მონაცვლედ ქორეპისკოპოსი ჯდეს, რათა თემთა მოურნეობდეს, ხოლო მთავრობისა სახელი ვერ იკადროს“ (CD).⁴

როგორც გადმოვცემს „მატიანე ქართლისაჲ“, ქორეპისკოპოსი იყო ტიტული კახეთის სამთავროს პოლიტიკური მეთაურისა, მთავრისა (VIII-X სს.).⁵ ამ ტიტულს ატარებდნენ კახეთის მთავრები: დანი, სამოელ დონაური, გაბრიელ დონაური, ფადლა I, კვირიკე I, ფადლა II, კვირიკე II და დავითი. ამავე ტიტულით მოიხსენიებენ კახეთის resp. წანარეთის მფლობელთ სომხური საისტორიო წყაროები,⁶ არაბი ისტორიკოსი მასუდი კი

გადმოვცემს, რომ სანარიის (=წანარეთი) მეფეს ეძახიან ქორისკუსს, და ეს აქაურ მეფეთა ჩვეულებრივი ტიტულიაო.

ქორეპისკოპოსის ტიტულის სულხან-საბასეული განმარტება სხვადასხვა თაობის მეცნიერთა ცილობის საგნად იქცა. ერთნი იზიარებდნენ ქორეპისკოპოსის ქორიკოზ-ად გასწორებას (ვახუშტი ბაგრატიონი, დ.ბაქრაძე, ს.კაკაბაძე, ლ.მელიქსეთ-ბეგი, ნ.ბერძენიშვილი, გ.ჩუბინაშვილი, პ.ინგოროვია...), მეორენი კი ამტკიცებდნენ ასეთი კორექტივის უსაფუძვლობას (ილ.აბულაძე, მ.ლორთქიფანიძე, შ.ბადრიძე, გ.მელიქიშვილი, თ.პაპუაშვილი...).⁸ ამჯერად ჩვენი მიზანი არაა ქორეპისკოპოსობის ინსტიტუტის შესახებ არსებული ლიტერატურის სრული მიმოხილვა, არამედ შევხებით მხოლოდ ილ.აბულაძის შრომას, რომელიც სპეციალურად ქორეპისკოპოსისა და ქორიკოზის ურთიერთმიმართების გარკვევას ეძღვნება.

ამ შრომას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მკვლევარნი, როგორც სულხან-საბასეული კორექტივის (ქორეპისკოპოსი-ქორიკოზი) უტყუარ უარყოფას. მაგალითად, თ.პაპუაშვილის მონოგრაფიაში — „რანთა და კახთა სამეფო“ — ილ. აბულაძის ზემოაღნიშნული შრომა თითქმის მთლიანადაა ციტირებული.

რა წყაროს ეყრდნობოდა სულხან-საბა ქორეპისკოპოსის განმარტებისას? ასეთი რამ არც მის ლექსიკონშია მითითებული და არც ჩვენთვისაა ცნობილი რაიმე მასალა, სულხან-საბას წყაროდ საგულისხმეო. ამიტომ, ილ. აბულაძის თქმით, შემოწმების საშუალებას მოკლებული ვართ,¹⁰ მაგრამ რადგან სულხან-საბა თავის განმარტებაში სრულიად

დაჯერებულია,¹¹ უნდა ვიფიქროთ, რომ რაღაც წყარო მას უთუოდ ჰქონდა.¹²

„ქორიკოზ-ის ხმარება ძველ ქართულში მხოლოდ „მრავალთავებიდან“ ვიცით“, — შენიშნავს ილ. აბულაძე.¹³ ესაა, სახელდობრ, „მიგებება დღესა“ თქმული ჰომილია ევსუქი (ევსუქი) იერუსალიმელი ხუცისა (V ს.). ქართული თარგმანი ამ თხზულებისა დაცულია ოთხ მრავალთავში: ათონურში, სინურში (თავნაკლული), უდაბნოსა და პარხლის მრავალთავებში. საკითხავი გამოცემული აქვს შ. გარიტს ოთხივე ხელნაწერის მიხედვით.¹⁴ მასვე შეუსწავლია ევსუქის სახელით ბერძნულ ჰომილეტიკაში ცნობილი მირქმის ორი საკითხავი (BHG 1956 და 1957) და დაასკვნის, რომ ისინი ქართული ვერსიისაგან სრულიად განსხვავებული არიან. ამ დასკვნას იზიარებს მ. ვან ესბროკი.¹⁵ ამრიგად, ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ აღნიშნულ საკითხავში დადასტურებული ქორიკოზის მნიშვნელობა კონტექსტის ანალიზით დავადგინოთ.

შევიხსენოთ, რომ ევსუქი იერუსალიმელის შრომა სულხან-საბასათვის ცნობილი ყოფილა, ოღონდ დამოწმებისას ევსუქის ნაცვლად ევსების წერს: „ქორიკოზი — მეფის მონაცვლე, მწყემსად გამოითარგმნება. მირქმის ნეტაფრ. ევსები ხუცის თქმული: „უკეთუ ქორიკოზი იყოს უმეტარი, მივედ ბეთლემად“. მწყემსი მგონია“ (D);¹⁶ „მწყემსსა ჰგავს“ (E);¹⁷ „მონაცვლე მეფისა, რომელმან ვერ იკადროს მეფედ სახელის-ღება, არამედ გამოითარგმანების მწყემსად“ (ZA).¹⁸

როგორც ჩანს, სულხან-საბა დარწმუნებული ყოფილა, რომ ქორიკოზი მეფის მონაცვლის ტიტულია. ამას იგი ყოველგვარი ეჭვის გარეშე აცხადებს. რაც შეეზება ტერმინის წარმომავლობას, მის შესახებ კი მხოლოდ ვარაუდის გამოთქმით კმაყოფილდება („მწყემსი მგონია“, „მწყემსსა ჰგავს“).

ცხადია, ქორიკოზის, როგორც სამეფო ტიტულის ისტორიულობის აღიარებამდე სულხან-საბა მარტოოდენ აღნიშნული წყაროს ანალიზით ვერ მივიდოდა. „მწყემსის“ მნიშვნელობის სიტყვის მეფის მონაცვლის ტიტულად გააზრებისათვის სხვა, დამატებითი წყაროები იყო საჭირო.

ახლა ვნახოთ ის კონტექსტი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სიტყვას ვხვდებით.

უწინარეს ყოვლისა, შევიხსენოთ, რომ ევსუქი ხუცისი კარგი მჭევრმეტყველია; იგი ოსტატურად აკავშირებს ერთმანეთთან საღმრთო წერილის გადმოცემებსა და თანამედროვეობას; მაცხოვრის შობას, მირქმას, სასწაულებს — პარალელს უძებნის მიმდინარე მღვდელმსახურების ცალკეულ მხარეებთან; ჰომილიის მსმენელი მრევლე საღმრთო ისტორიის მონაწილედ გამოჰყავს:

„საყუარელნო, კრებაჲ ესე დღისაჲ ამის ყოვლადვე სასურველ არს მორწმუნეთათჳს, უფროჲს ხოლო ამისთჳს, რამეთუ დედაჲ ყოველთა დღესასწაულთაჲ არს დღეინდელი ესე დღე, რამეთუ შემოქმედი იერუსალჳმისაჲ დღეს შემოვიდა და აკურთხა, რომლისა ზღუდენი ქელითა თჳსითა გამოწერნა და დასხნა საფუძველად მისა ქვანი საფირონნი და სუეტნი, მისნი იასპინისანი და ბჭენი მისნი ბროლისანი და ქვითა მით პატროსნითა შეზღუდა იგი და მას შინა დასხნა მოძღურად ებისკოპოსნი და სცხო ქალაქსა სიმართლჳ და ყოველი იგი ერი ზიარ ანგელოზთა ყო და უცხონი მკჳდრ-ყვნა ანგელოზთა თანა“.²⁰

თანამედროვეობასთან საღმრთო ისტორიის კავშირს ევსუქი ხედავს კეთილმსახურ ადამიანთა ცხოვრებაში: „და რომელთა იგი დაჰმარხნეს ქორცნი თჳსნი სიწმიდით, მკჳდრ-ყვნა იგინი იაკობის (var. იოსების) თანა და ბრძენთა მათ თანა ქალწულთა შეიყვანნა იგინი ქორწილსა მას ზეცისასა. ყრმანი მისნი გჳრგჳნოსან-ყვნა შვილთა თანა ბეთლემისათა; ქურიგნი მისნი იჩინნა ანაჲს თანა წინაჲ-სწარმეტყუელისა; მოხუცებულთა მისთა აწუევს ვითარცა სჳმეონს, რაჲთა საყდარ იყვნენ მკლაგნი მათნი“.

საღმრთო ისტორიის გაგრძელება ქრისტიანული ეკლესიის თანამედროვე ცხოვრების სახით ევსუქის სრულიად რეალურ ფაქტად ესახება. „სჯულმა და წინასწარმეტყველმა“ (ამ სტერეოტიპული გამოთქმით პავლე მოციქული და სხვა ავტორები აღნიშნავენ ძველ აღთქმას) ადგილი დაუთმო საღმრთო მადლს (ქრისტეს ახალ აღთქმას):

„ამიერითგან სიტყუაჲ თჳთ იზომს, და წინა მღჳს, რამეთუ ჟამი იგი მრავლისმეტყუელთა მათ ბრძენთაჲ დაცხრომილ არს და დღესასწაულნი მოწვენულ არიან, და ესე

სიხარულით წარმოიღების შესხმაჲ და შეჰკავს წინავე სიტყუად, რამეთუ ვითარცა ყუავილმან ველნი განაშუენნის, დამყნილნი ხენი ფურცლითა და ტკბილითა ნაყოფითა და ნიავეთა სულნელითა ირყევიედ და იშუებედ, ეგრეთა მორწმუნენი ქრისტესნი სიტყუათა ზედა მადლისათა იხარებენ. უკუე ჩუენიცა ესე სიტყუაჲ სასმენელ ოდენ ნუვის ჰგონიეს ვითარცა მრავლისმეტყუელთაჲ მათ და არა საქმედცა. ეგევითარი იგი ისმენდინ სიტყუასა მას მასწავლელისასა, ვითარცა თქუა პავლე და გულისხმა-ყავნ, რამეთუ საშინელი იგი ყოველი ნუგეშინის-ცემად გარდაგუეჰცა და დასცხრა წყევისა იგი ჭურჭელი“.

ევსუქი ხუცის მანერას (თანამედროვე ცხოვრებისა და საღმრთო გადმოცემის დაკავშირებით ხელი შეუწყოს მრევლის გულისა და გონების ზეცად ამაღლებას) კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩენს ჰომილიის გაგრძელება:

„აწ ფერად-ფერადნი იგი წამალნი სულნელებისანი ყოვლისავეთჳს დაგვსხენ და სცნობდინ: უკუეთუ ვინმე გლახაკი იყოს, იხილენ მან ბაგასა შინა სახუეველნი ქრისტესნი; უკუეთუ ვინმე პირუტყუ-სახე იყოს, ბაგასვე მას მიისწრაფდინ და გულისტმა-ყავნ, რამეთუ შენთჳს ესრეთ დაიმდაბლა თავი თჳსი ბეჰან ღმრთისამან; უკუეთუ ვინმე ხორიკოსი (ქორიკოზი PU) იყოს უმეცარი, მივედინ ბეთლემად და ისწავენ; უკუეთუ ბრმაჲ იყოს შობითგან, მივედინ იგი სილოამდ მის პირველისაებრ სარწმუნოებით და მანცა იგივე ხედვაჲ მიიღენ; უკუეთუ ვინმე დაჭსნილი იყოს, მივედინ იგიცა პირველსავე მას საბანელსა პროვატიკისასა და ეყოს მას, რაჲცა-იგი ენებოს, გარნა პრწმენინ და ესევედინ მას ხოლო, რომელმან ათრვამეტისა წლისა დაჭსნილი აღადგინა; უკუეთუ ვინმე ქურივი იყოს, ჰბაძევედინ იგი წმიდასა ანას წინაღსწარმეტყუელსა მარხვითა, მღჳძარებითა და ლოცვითა; უკუეთუ ვინმე ამის ცხოვრებისაგან განმამდარ იყოს, ემსგავსენინ წმიდასა სჳმეონს და ჰბაძევედინ იგი მისსა მას ღირსებით ცხოვრებასა, და იქმენინ იგი ტაძარ და სადგურ სულისა წმიდისა; და მიისწრაფენ მანცა ტაძარსა მას. მუნ ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი შეიწირვოდეს, ხოლო აქა გურიტისა წილ თჳთ წმიდაჲ იგი წმიდათაჲ შეიწირვის, რამეთუ სულისა იყო

.შესაწირავი და ქორცთაჲ; მუნ მხოლოდ-შობილი ფრმაღ ნწულად აჩუენებდა, ხოლო იორდანეს ხედველ მას განშიშულეებულსა და დაგიკვრდებოდა გარდამოსლვაჲ იგი სულისა წმიდისაჲ სახედ ტრედისა მის ზედა და გესმოდა ზეციით-გარდამოჲ იგი წამებაჲ მამისაჲ და აღიარებდ მას ღმრთად, ხედველ მას ვუარსა ზედა დამოკიდებულსა და მიეგებვოდე კითხვად მკუდრეთით აღდგომილსა“...

ამრიგად, ევსუქი მორწმუნეებს სთავაზობს ფერად-ფერად „სულნელების წამალთ“: გლახაკმა არ უნდა იღარღოს თავისი სიგლახაკე, რადგან სწორედ ამით მიემსგავსება განკაცებულ უფალს (ლუკა 2,7);²¹ „პირუტყვეული სახის“ მქონე კაცსაც თავისი ნუგეში აქვს: მისი ცხოვრების საწინდარია ბეთლემის ბაგაში (პირუტყვთა სადგომში) ყრმა იესუს მიწვევა (იხ. იქვე).²² უმეცარი ქორიკოზი (ხორიკოსი) ბეთლემში უნდა მივიდეს და „ისწავოს“; განკურნება მოელის შობითგან ბრმას, და ჭსნილს და სხვა ყოველგვარი სნეულებით შეპყრობილს, ისევე, როგორც სახარებაშია მოთხრობილი (იოვანე 9, 1-7; 5, 2-9 და სხვ.). ამისათვის საჭიროა, რათა „პრწმენინ და ესევედინ ხოლო“ უფალს; ქურივი უნდა ჰბაძევედეს ანა წინასწარმეტყველს (ლუკა 2, 36-38), „ცხოვრებისაგან განმამდარი“ ღრმა მოხუცი – წმ. სვიმეონს (ლუკა 2, 25-35) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, შემთხვევით არაა დასახელებული არც გლახაკი, არც „პირუტყვეული სახის“ მქონე კაცი, არც შობითგან ბრმაა შემთხვევით მოწოდებული სილოამში, ხოლო დაჭსნილი (განრღვეული) „საბანელსა პროვატიკისასა“ (Προβιατι-Κοῖς – ცხვრისა; ასე ეწოდებოდა იერუსალიმის ერთ-ერთ კარიბჭეს. იხ. იოვანე 5,2). თითოეული ფრაზა მიგვანიშნებს საღმრთო წერილისა და მორწმუნეთა ცხოვრების იდეალურ შესაბამისობას.

ვინ იგულისხმება ქორიკოზად? ერთადერთი, რასაც მის შესახებ ვიგებთ ტექსტიდან, ესაა მისი უმეცრება; ამიტომაც იგი უნდა მივიდეს ბეთლემში და ისწავოსო. ახლა ვნახოთ, ვინ შეიძლება იყოს ამ ქორიკოზის ანალოგი საღმრთო წერილში. ლუკა მახარებლის თანახმად, ბეთლემში ქრისტეს შობის დღეს ~~ქვეშანი~~ იყვნეს მასვე სოფელსა, ველა ~~ფაბოლს~~ და ჭუმილვიდეს

საქუმილავსა ღამისასა სამწყსოსა მათსა. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ დაადგრა მათ ზედა, და დიდებაჲ უფლისაჲ გამოუბრწყინდა მათ, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქვენ სინხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა. და ესე იყოს თქვენდა **სასწაულად**: ჰპოოთ ყრმაჲ იგი შეხუებული და მწოლარე ბაგასა; და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშუღობაჲ და კაცთა შორის სათნობაჲ. და იყო ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყემსთა მათ თქუეს ურთიერთას: **განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე** და ვიხილოთ სიტყუაჲ ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი იგი უფალმან მაუწყა ჩუენ, და მოვიდეს მსწრაფლ და პოვეს მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი, მწოლარე ბაგასა. და ვითარცა იხილეს, გულისწყმაცევეს სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთჳს, და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უკვრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათდა მიმართ“ (ლუკა 2,8-18).

მწყემსების გარდა ბეთლემში მივიდნენ მოკვებიც (მათე 2,1-12), მაგრამ ისინი უპეტრები კი არა, დიდად განსწავლულები იყვნენ. რჩება ერთადერთი გამოსავალი — **ქორიკოზი მწყემსის შესატყვისად** უნდა მივიჩნიოთ.

ქორიკოზი | ქურეკოზი რომ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, ამას ილ. აბულაძე ასკვნის ვარიანტულ ხორიკოს-თან მისი მიმართების საფუძველზე,²³ მაგრამ რამდენადმე განსხვავებულ ახსნას აძლევს მას: „**ხორიკოს-ი** ზედმიწევნითი ტრანსლიტერაციაა ბერძნული **Χωρικός**-ისა, — წერს იგი, — რაც ნიშნავს de paysan, campanard, rustique; деревенский, крестьянин, мужик, ე.ი. მდაბიოს, სოფელს, გლეხს“.²⁴

შემდეგ ილ. აბულაძე წერს: „მოყვანილ კონტექსტში „ქორიკოზ | ქურეკოზ-ისა“ თუ „ხორიკოს-ის“ ბერძნულ-ლიხეულ **Χωρικός**-ად გაგება, როგორც

„მდაბიოსი“, „სოფელისა“ ან „გლეხისა“, თავის ადგილს უნდა იყოს: „უკუეთუ ვინმე **ქურეკოზი** (resp. ქორიკოზი) იყოს უმეტარი, მივედინ ბეთლემდ და ისწავენ“ ნიშნავს: „თუ ვინმე მდაბიო (სოფლელი ან გლეხი) იყოს უცოდინარი, მივიდეს ბეთლემს და ისწავლოს“. „ქორიკოზ-ის“ საბასეული განმარტება მოყვანილ კონტექსტს არ ეგუება. „ქორიკოზ-ზე“, თუ ის, საბას სიტყვით, „მეფის მონაცვლეა“, შეუფერებელია თქმა „უმეტარი-ო“, რაც უფრო „მდაბიოს“, „სოფელს“ თუ „გლეხს“ შეშვენის“.²⁵

ჩვენი აზრით, ქორიკოზ — **Χωρικός** ტრანსლიტერაცია და მისი „სოფელად“ გაგება მართებული არ არის.

ჯერ ერთი, სოფელის, деревенский-ის, rustique-ს (ამათი ზუსტი შესატყვისისა ახალბერძნული **Χωρικός < Χώρα** — სოფელი) „მდაბიო“-დ გააზრება ახალი დროის, საყოველთაო ურბანიზაციის ამბავია.²⁶ იმ დროს, როდესაც მირქმის საკითხავი იწერებოდა (V ს.) და ქართულად ითარგმნებოდა (არაუგვიანეს VI-VII სს.), სოფლისა და ქალაქის ასეთი დაპირისპირება არ შეიძლებოდა არსებულყოფილ სწორედ ამის გამო **Χωρικός**-ი ძველი ბერძნული ენის არც ერთ ლექსიკონში არ გვხვდება, და მკვლევარსაც ახალი ბერძნული ლექსიკონის მოშველიება დასჭირვებია.²⁷ გარდა ამისა, ძველ ბერძნულში **Χώρα**-ს უპირველესი მნიშვნელობები იყო: 1) სივრცე, 2) შუალედი, მანძილი, 3) ადგილი, ადგილმდებარეობა, 4) სამხ. პოზიცია, 5) საზოგადოებრივი თანამდებობა, პოსტი, 6) ოლქი, მხარე, ქვეყანა... **სოფელი** კი ბოლო მნიშვნელობად შეაქვთ ლექსიკონში.²⁸ ქორეპისკოპოსი (**Χώρα** — ქვეყანა, ოლქი, ადგილი + **ἑπισκοπος** — ზედამხედველი) იყო ამა თუ იმ ოლქის ან ადგილის ეპისკოპოსი²⁹ და არა მაინცდამაინც **სოფლის** სამრევლო ეკლესიების ხელმძღვანელი, როგორც ამას ხანდახან მიიჩნევენ.³⁰

მეორეც ხორიკოს-ის **Χωρικός**-ად გაგება, როგორც **მდაბიოსი**, **სოფელისა** ან **გლეხისა**, ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში თავის ადგილას არ არის; საერთოდ, ზემოთ მოყვანილ ციტატაში კარგად ჩანს, რომ

ვესუქი შემთხვევით პერსონაჟებს არ ასახელებს. ამიტომ არც ბეთლემში ვინმე მდაბიოს მიწვევა იქნებოდა მისი სტილისათვის მოსალოდნელი.

Χαριστός - ი, Χάρια -ს ძველ-ბერძნული მნიშვნელობებიდან გამომდინარე, შეიძლება იქნებოდეს **ქვეყნის მმართველად** მიგვეჩინა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში ვერც ეს სიტყვა იქნება „თავის ადგილას“.

მესამეც, ქორიკოზის საბასეული განმარტება მოყვანილ კონტექსტს კარგად უვება: უვიცი ქორიკოზი („მწვემის“ გაგებით) სახარებისეული მწვემების მსგავსად ბეთლემთანაა დაკავშირებული. მწვემები, ბუნებრივია, მდაბიოდ ითვლებოდნენ და უმეცრებიც იყვნენ. ანგელოზმა **ასწავლა** მათ იესუ ქრისტეს თაყვანისცემა. ისინი **მივიდნენ** ბეთლემში და „**ისწავეს**“ (მდრ. ანგელოზის თქმული: „და ესე იყოს თქუენდა **სასწავლად**“...).

მეოთხეც: ქორიკოზის განმარტებისას სულხან-საბა ერთმანეთისაგან განასხვავებს ამ სიტყვის წარმომავლობასა (<მწვემს; ამ დასკვნას იგი დიდი სიფრთხილით აკეთებს: „მწვემსი მგონია“, „მწვემსა ჰგავს“) და იმ მნიშვნელობას, რაც ამ სიტყვამ მოგვიანებით შეიძინა („მეფის მონაცვლე“, კახეთის მთავრის ტიტული). წყაროზე მითითებისას ლექსიკოგრაფი აღნიშნავს, რომ **ქორიკოზი** იქ „მწვემს“ უნდა ნიშნავდეს („მწვემსი მგონია“) და არა „მეფის მონაცვლეს“. „მწვემის“ აღმნიშვნელი ეს სიტყვა, ბოლოს, როგორც ჩანს, მთავრის (მეფის მონაცვლის) ტიტულად გაფორმდა. სულხან-საბას სიტყვით: „**ქორიკოზი** — მონაცვლე მეფისა... არამედ **გამოითარგმანების** მწვემსად“. აშკარაა, სულხან-საბა კი არ აიგივებს მეფესა და მწვემს, ერთმანეთში კი არ ურევს „ქორიკოზის“ პირველად მნიშვნელობასა და მისგან მომდინარე იერარქიულ ტერმინს, არამედ გვთავაზობს სამეფო ტიტულის ეტიმოლოგიას.

მეხუთეც, ხორიკოს-ის „ზედმიწვევითი ტრანსლიტერაცია“ ცალსახა არ არის. ქართული „ო“ შეიძლება ბერძნული **ὦ** **μειξα** -თიც გადმოიციეს და **ὦ** **μικρόν** -ითაც. ასევე, „ი“ — ბერად ისმის როგორც **ι**, ისევე **η** (ბიზანტიურ ბერძნულში). სიტყვის შინაარსის

დაზუსტების გარეშე დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, როგორ იწერებოდა ბერძნულად „ხორიკოსი“; „ო-მიკრონითა“ თუ „ო-მეგათი“, „იოტა“-თი თუ „ეტა“-თი. ამ ასოების ცვლილება კი, როგორც ვიცით, ხშირად სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას იწვევს. ამის გამო **ხორიკოს — ΧΑΡΙΣΤΟΣ**

ტრანსლიტერაცია „ზედმიწვევითი“ და ერთადერთი ვერ იქნება. იგი მხოლოდ ერთ-ერთი სავარაუდო ვარიანტია.

მას შემდეგ, რაც ილ. აბულაძის მიერ შემოთავაზებული ტრანსლიტერაციით მიღებული **ΧΑΡΙΣΤΟΣ** -ი („სოფელი“) ვერ მოერგო ვესუქის ტექსტის სათანადო ადგილს, ისმის კითხვა: ხომ არაა ქორიკოზი **ΧΟΡΥΧΟΣ** (კლასიკური წარმოთქმით — **ქორეგოს**, ბიზანტიურით — **ხორიგოს**)-ის სახეცვლილი ფორმა?

ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა „გუნდის ხელმძღვანელი“, „წინამძღოლი“; მომდინარეობს **Χορυχία** -დან, რომელსაც „სადღესასწაულო გუნდის ორგანიზების ვალდებულების“ გარდა აქვს სხვა მნიშვნელობებიც: „ხარჯების გაწევა გუნდის მოსამარაგებლად“; „მოწყობა“, „უზრუნველყოფა“; „მიცემა, გაცემა“; „**მინიჭება**“ (მადლისა, სიცოცხლისა...); „სალარო“, „განძობსაცავი“ და სხვ. შევნიშნოთ, რომ **Χορυχός** -ი არის ერთ-ერთი ეპითეტი იესუ ქრისტესი (**Ζῷς Χορυχός**). სიტყვა **ხორიგოსი**, „წინამძღვრისა“ და „მიმნიჭებლის“ მნიშვნელობით, **მთავრის ტიტულად** შეიძლება გამოდგარიყო და „**მწვემის**“ **სემანტიკითაც დატვირთულიყო**.

როგორ მივიღეთ ხორიგოს | ქორეგოს-იდან ხორიკოს | ქორიკოზი?

ქართულ ენაში შემოსული ბერძნული სიტყვების -**ოს** დაბოლოებას საერთოდ ჰქონდა ტენდენცია -**ოზ**-ად გადაქცევისა (ანგელოზი, ებისკოპოზი...), ამიტომ უნდა მიგველო **ქორიგოზ**-ი. გ და ზ მჟღერ თანხმოვანთაგან ერთ-ერთმა, სახელდობრ პირველმა, როგორც ჩანს, დისიმილაცია განიცადა და დაყრუვდა. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს **დისიმილაციური**

გამჭლელების³² შებრუნებულ მოვლენასთან — დისიმილაციურ დაყრუებასთან.

„საბას დაბეჯითებითი ტონი (როდესაც იგი ქორეისკოზის საერო ტიტულს ქორიკოზის დამახინჯებულ წაკითხვად მიიჩნევს; ე.კ.) იქიდან უნდა მომდინარეობდეს, რომ მას „ქორეისკოზის“ ესმის მხოლოდ როგორც საეკლესიო სარბიელის მოღვაწე, — წერს ილ. აბულაძე, — „ქორეისკოზის უსამწყსო ეპისკოპოსს ეწოდების ბერძულადო“, განგვიმარტავს ლექსიკოგრაფი და ხაზს უსვამს იმას, რომ ეს სიტყვა ბერძნულია და ასეთი შინაარსით შემოსულად უნდა ვიგულოთ იგი ქართულშიცაო. ქორეისკოზისი რომ ბერძნული სიტყვაა, ეს საცილობელი არაა, მაგრამ მას... შინაარსი ჩვენს ენაში რამდენადმე განსხვავებული ჰქონია“...³³

შემდეგ ილ. აბულაძეს მოჰყავს თავისი მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტები სომეხ ისტორიკოსთა თხზულებებიდან.³⁴ ამათ ემატება ეპიგრაფიკული და სხვა მასალები, რომელთაც „ქორეისკოზობის“ დასამტკიცებლად იყენებენ სხვა ავტორები (შ.ბადრიძე, თ.პაპუაშვილი...), მაგრამ მათი განხილვა, როგორც ზემოთ ვთქვით, ცალკე წერილის თემაა. ამიტომ ისევ სულხან-საბას განმარტებას დავუბრუნდეთ.

„სულხან-საბა ორბელიანს, — წერს ილ. აბულაძე, — როგორც ჩანს, ეჩოთირება ქვეყნის საერო მმართველის აღნიშვნა ძირითადად სასულიერო წარმომავლობის ტერმინით და მიტომ უნდა ფიქრობდეს, რომ „ქორიკოზ-ი“, რომელიც ქარაგმით შეიძლება „ქორეისკოპოს-ად“ მიიჩნიო კაცმა, საერო ხელისუფლების აღმნიშვნელი იყოს. მსგავსად „ქორეისკოპოსისა“, რომელიც არასრულ ეპისკოპოსს აღნიშნავს, ქორიკოზ-იც თურმე, ლექსიკოგრაფის სიტყვით, „მეფის მონაცვლეს ჰქვან“, და არა, ვთქვათ, სრულ მეფეს“.³⁵

„დასკვნა“-ში ვკითხულობთ: „ქორიკოზისათვის“ საბას მიერ მიცემული განმარტება („მეფის მონაცვლე“) „ქორეისკოპოსის“ შინაარსის („უსამწყსო ეპისკოპოსი“, ე.ი. არასრული ეპისკოპოსი) ანალოგიით უნდა იყოს დაძებნილი (არასრული მეფე, ანუ „მეფის მონაცვლე“).³⁶

მოსალოდნელია თუ არა სულხან-საბასაგან ასეთი, მეტი რომ არ ვთქვათ, გულუბრყვილო

დასკვნა ქორეისკოპოს-ქორიკოზის მიმართების შესახებ? ვფიქრობთ, რომ არა. თუ ასეთი საეჭვო არგუმენტი ედო საფუძვლად მიხეულ კორექტივს, ის დაბეჯითებითი ტონი მაინც აღარ ექნებოდა მის განცხადებას. ზემოთ ვნახეთ ერთი მაგალითი იმისა, როგორ ფრთხილობს საბა თავისი ვარაუდების გამოთქმისას („მწყემსსა ჰგავს“...). ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქორიკოზის, როგორც სამეფო ტიტულის, ისტორიულობის აღიარებამდე სულხან-საბა მარტოოდენ აღნიშნული წყაროს ანალიზითა და ქორეისკოპოს-ქორიკოზ სიტყვათა მსგავსების საფუძველზე არ მისულა.

გარდა ამისა, „უსამწყსო ეპისკოპოსი“ არ ნიშნავს „არასრულ ეპისკოპოსს“. არც კახეთის ქორეისკოპოსი (თუ ქორიკოზი?) იყო „არასრული მეფე“. იგი სრული ბატონ-პატრონი იყო თავისი სამფლობელოსი, და რადგანაც კახეთის სამთავროს განმგებელს მეფის ტიტული არ ჰქონდა, ამიტომ ქორიკოზის ტიტული მეფის ტიტულის „მონაცვლე“ იყო. ჩვენი აზრით, სწორედ ასე უნდა გავიგოთ „მეფის მონაცვლე“.

რატომ არ იწოდა კახეთის მფლობელი მეფედ? სულხან-საბას აზრით, მან „ვერ იკადრა (=ვერ გაბედა) მეფედ სახელის-დება“, რაც შეეხება ქორიკოზის საბასეულ განმარტებას და „უსამწყსო ეპისკოპოსს“, მათ შორის არავითარი ანალოგია არ არსებობს.

ქორიკოზის ჩვენებურ ტრანსლიტერაციას (XOPYXOS) მხარს უჭერს კონსტანტინე პორფიროგენეტის (912-959) მიერ კახეთის (წანარეთის) მთავრის არქონტად მოხსენიება.³⁷ როგორც ვიცით, ἄρχων, ἀρχοντος ითარგმნება, როგორც წინამძღოლი, მეთაური, ბელადი, მმართველი. XOPYXOS -ის თავდაპირველი მნიშვნელობაც „გუნდის წინამძღოლია“.

თუკი მართლაც ქორიკოზი XOPYXOS -ისაგან წარმოსდგა გამოდის, მთავარი აზრი ასეთი წოდებისაა იყო, რომ ქორიკოზს ერის წინამძღოლად თვლიდნენ. სხვათა შორის, ამავე წოდებით (αρχων) (არქონი) — ქართველთა წინამძღოლი) მოიხსენიებს პირველ ქართველ ქრისტიან მეფეს

მიპრანს (მირიანს) სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი.³⁸ არაღჳირქ (არაღჳიჩ+ირქ) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „წინამძღოლს“.

დარწმუნებული, შენიშნავს: [ასე] „მგონია“, [ასე] „ჰგავს“. იხ. ქორიკოზი. დასახ. ნაშრ., 83.

¹⁴ Le muséeon, 1971, vol. 84,3-4, p. 353-372.

¹⁵ Michel van Esbroeck, Les plus anciens homeliaries Géorgiens, Louvain, 1975.

¹⁶ ს. ს. ორბელიანი, თხზ. ტ. IV₂, 232.

¹⁷ იქვე.

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

ვესუქი ხუცესის თხზულების ასეთ ხასიათს ემყარება მ. ვან ესბროკის ვარაუდი, რომ ეს ჰომილია მაინცდამაინც იერუსალიმში წარმოითქვა. ეს ნამდვილად საფიქრებელია, რადგან ვესუქი – იერუსალიმელი მოღვაწეა, მაგრამ საკუთრივ ტექსტი არ გვაძლევს ასეთი ვარაუდის საშუალებას. იერუსალიმის სიწმიდეებზე მითითება ვესუქის მჭევრმეტყველური ხერხია მხოლოდ.

ვესუქის თხზულების ტექსტი, მრავალთავის სხვა „თავებთან“ ერთად, გამოსაცემად მზადდება ხელნაწერთა ინსტიტუტში. გამომცემელთ, რომელთაც საშუალება მომცეს მესარგებლა მათ მიერ გადმოწერილი ტექსტებით, უდრმეს მადლობას მოვახსენებ.

ქრისტეს შობის იპაკოში ნათქვამია: „რას არს უმდაბლეს, ვითარ ქუაბისა, და უუნდოეს, ვითარ მჩურისა, რომელსა შინა ბრწყინვიდა ღმრთეება შენი მდიდრად“ (სადღესასწაულო, მოსკოვი, 1865, გვ. 585).

²² ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ნოსელი წერს: „პირუტყუთა ბაგასა სიტყუამან ღმრთისამან განისუენა, რაღთა ნანდჳლვე რომელნი ნეფსით თჳსით პირუტყუ-ქმნულ იყვნეს კაცნი, პირმეტყუელთაჲ იგი მისცეს მეცნიერებაჲ. ტაბლასა პირუტყუთასა დაეგო ზეციური იგი პური, რაღთა პირუტყუ-სახეთა კაცთა საიდუმლოჲსა მის საზრდელისაჲ მისცეს მისაგებელი“ (მრავალთავი, „თუესა მარტსა კ“ე, საკითხავი თქუმული წმიდისა გრიგოლი ნოსელისაჲ პონტოჲსა [ეპისკოპოსისაჲ] ხარებისათჳს წმიდისა ღ“ის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა“).

²³ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., 84.

²⁴ იქვე.

²⁵ იქვე, 84-85.

²⁶ „სოფელს“ ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონია. ეს მნიშვნელობები

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

¹ ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, „ქორიკოზი“ და „ქორეპისკოპოსი“, კრებ. „ორიონი“, თბ., 1967, 83-86; მისივე: შრომები, II, თბ., 1976, 56-59.

² ს. ს. ორბელიანი, თხზ. ტ. IV₂, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბ., 1966, 231.

³ იქვე.

⁴ იქვე.

⁵ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. I, 1955, 254-278.

⁶ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, 234; უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, 21; ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1953, 216-218 და სხვ.

⁷ В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X-XI веков, М., 1963, 210-211.

⁸ საკითხის ბიბლიოგრაფია იხ.: შ. ბადრიძე, მმართველი ქორეპისკოპოსის ინსტიტუტის საკითხისათვის კახეთის სამთავროში, მაცნე, № 5(20), 1964, 87-99; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, 151-152; თ. პაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982, 255-285.

⁹ თ. პაპუაშვილი, დასახ. ნაშრ., 262-265.

¹⁰ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ. 83.

¹¹ იქვე.

¹² როდესაც ამა თუ იმ სიტყვის განმარტებაში სულხან-საბა არაა ბოლომდე

ჩამოთვლილი აქვს ილ. აბულაძეს (იხ. მისი „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, 1973, 401). მის მიერ შეკრებილი დოკუმენტებიდან აშკარად ჩანს, რომ „სოფლის“ მნიშვნელობათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს „ქვეყანას“, სხვა მნიშვნელობები კი ძირითადად მის სემანტიკურ განშტოებებს წარმოადგენენ. „მრავალთავში“ ჩვენ ვნახეთ კიდევ ერთი კარგი მაგალითი იმისა, რომ ძველად „სოფლით“ ქვეყანას, სახელმწიფოს, ოლქს აღნიშნავდნენ: „გალილეაჲ სოფელი არს პალესტინეს და ნაზარეთი — ქალაქი არს გალილეაჲსასა და კუალად: ჰურიასტანი სოფელი არს და ბეთლემი ქალაქი არს ჰურიასტანისაჲ“ (იოვანე ოქროპირი, საკითხავი ქრისტეს შობისა, P 30v). აქ ერთმანეთს უპირისპირდება „სოფელი“ და „ქალაქი“, როგორც ქვეყანა (სახელმწიფო) და მისი ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი: გალილეა „სოფელია“ (თანამედროვე ქართულით — „ქვეყანა“ ან „ოლქი“) პალესტინისა, ნაზარეთი კი — ამ „სოფლის“ (ქვეყნის, ოლქის) ქალაქი; ასევე ჰურიასტანი ქვეყანაა, და ბეთლემი — ამ ქვეყნის ქალაქი. „სოფლის“ ძველ მნიშვნელობათა შორის რამდენადმე მნიშვნელოვანი წილი რომ ჰქონოდა „დაბას“, „სოფელს“ (თანამედროვე

გაგებით), მაშინ ზემოთმოყვანილი ციტატა უაზრო გახდებოდა.

²⁷ Dictionnaire grec-français... par C.Alexandre, Paris, 1848, p. 1598/1599; A. A. Иоаннидис, Новогреческо - русский словарь. М., 1950,725.

²⁸ И. X. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958, Т. II, 1792.

²⁹ ქორეპისკოპოსები უსამწყსოო (უეპარქიო) მღვდელმთავრები იყვნენ და ამას ხაზს უსვამს მათი წოდებაც: ისინი ერთ ადგილზე მოღვაწეობდნენ (ჩვეულებრივ, ეპისკოპოსის თანაშემწედ).

³⁰ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, 549.

³¹ პ. ინგოროყვა, თხზ. კრებული, ტ. IV, თბ. 1976,544.

³² აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, 1980,24.

³³ ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ. 85.

³⁴ იქვე.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე, 86.

³⁷ ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, 1952,292.

³⁸ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. I, 252.

ლოცვა ღვთისმშობლის მიმართ

შენ გვედრებით, ღვთისმშობელო ქალწულო, შეუორგულებელსა მაგას ზღუდესა ცხოვრებისა ჩვენისასა. წინააღმდგომთა ზრახვანი განაქარვენ, ერისა შენისა მწუხარებაჲ სიხარულად გარდაპსცვლენ და სოფელსა შენსა აღმოუწოდე, მშვიდობისათვის სოფლისა ევედრე ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა, ღვთისმშობელო, რამეთუ შენ ხარ სასო ჩვენი.

XIX საუკუნის ათონელი მამები

მამა იოანე (გერმანი)

მამა იოანე, ერისკაცობაში მანოლი, კუნძულ კრეტაზე დაიბადა, სფატიას ეპარქიაში, სოფელ კალიკრატოსში. აქაურები ოდითგანვე ცნობილი იყვნენ მძარცველობით და ავაზაკის სახელი საამაყოდ მიაჩნდათ.

მანოლისთვის წერა-კითხვა და ლოცვა არავის უსწავლებია; თანატოლებისგან მათი ჩვევები შეითვისა, ოცი წლისამ უკვე ბანდიტობას მიჰყო ხელი და ფაჩაღთა ბუღაღობაც კი მოინდომა. მანოლი სხვა ბანდების საქმეებში არ ერეოდა და არც თვითონ იკარებდა ენმებს, რამდენჯერმე ჩაუვარდა ხელში ჯარისკაცებს და ციხეშიც იჯდა, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა თავის დახსნას. 15 წელი ფაჩაღობდა მანოლი, მთავრობა ძლიერ შეაწუხა მისმა თარეშმა, დევნა დაუწყო და ძვირად შეაფასა მისი თავი. მაგრამ ყოველად სახიერმა უფალმა, რომელსაც არავის წარწყმედა არ სურს, იცოდა, რომ მანოლის კეთილი გული ჰქონდა, ავაზაკობას მხოლოდ თანასოფელთა წაბამებით მოჰკიდა ხელი, და იზრუნა მის მოქცევაზე. მიზეზთა გამო მანოლის უფროსი ძმა ციხეში მოხვდა, ეს ამბავი მანოლიმ რომ შეიტყო, შეებრაღა ძმა და, განსაკუთრებით, ძმის ოჯახი; ამიტომ, გადაწყვიტა, მთავრობას ძმის მაგიერ თვითონ ჩაბარებოდა. სოფლის მამასახლისი ქრისტოიანი იყო, მანოლი ღამით მასთან მივიდა და რჩევა ჰკითხა, ჩაბარებოდა ფაშას თუ იქაურობას გაცლოდა. მამასახლისი შეპირდა, კაიმაკამს (თურქი მოხელე) მოველაპარაკებო და მართლაც, მოხელე დათანხმდა, - თუ მანოლი ჩაგვბარდება, მის თავს გარეუქვითო. მამასახლისმა ეს ამბავი მანოლის გადასცა და ფაშასთან მიუძღვა. ფაშა თვალებს არ უჯერებდა, ნუთუ ეს ის კაცია, ვისი თავიც ასე ძვირადაა შეფასებულიო. იგი განსაკუთრებით განაცვიფრა მანოლის საქციელმა. გული აუჩუყდა, მაშინვე გაათავისუფლა მანოლის ძმა, თვითონ მანოლის კი თავისთან სამსახური და გასამრჯელო შესთავაზა, რაზეც იგი დათანხმდა კიდევ. მანოლი ხან ფაშას ემსახურებოდა, ხან კაიმაკამს და თვეში სამოც ლევს ღებულობდა.

ოთხი წლის შემდეგ ფაშა თესალონიკში გადაიყვანეს და მანოლიმ სთხოვა, თან წამიყვანო. მეორე წელიწადს ფაშა ათონზე წავიდა და მანოლიც იახლა.

წმიდა მთაზე მანოლის თავისი კეთილიხყოფელი კაიმაკამი შეხვდა, რომელმაც სთხოვა; ჩემთან დარჩი და სარდლის მოვალეობა შეასრულო. მანოლიმ უარი უთხრა - ფაშას შუა გზაში ვერ მოგატოვებო და უკან გაბრუნდა. ერთ კვირაში კაიმაკამი თესალონიკში ჩავიდა და ფაშას მისი თავი გამოსთხოვა. მანოლიმ ეს ღმრთის ნებად მიიღო, საცოლე მიატოვა და კაიმაკამს გაჰყვა.

მანოლი ერთი წელიწადი მსახურობდა ათონზე, მას მონასტრების შემოვლა ევალებოდა. შემდეგ კაიმაკამი სხვა ადგილზე გაამწესეს სამუშაოდ და მანოლისაც შესთავაზა გაყოლა, მაგრამ მან სთხოვა, აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და ნება მომეცი, ერთი წელიწადი დავრჩეო. კაიმაკამი დათანხმდა. ამ დროიდან იწყება დიდი გარდატეხა მანოლის ცხოვრებაში. მის გულს ღმრთის მოწოდება მისწვდა - მიეტოვებინა ეს სოფელი და დარჩენილი დრო სინანულში გაეტარებინა.

ათონზე ცხოვრების პირველ წელიწადს მანოლიმ მოწყვნიის, ძველებური თავისუფალი ცხოვრების ჩვევების თუ ეპიტიმოური კანონის სიძნელის გამო რამდენჯერმე გადაწყვიტა გაქცევა, მაგრამ როგორც კი წასვლას დააპირებდა, მაშინვე გრძნობდა, რომ რაღაც ძალა აკავებდა. მანოლი კიდევ სამი წელი ემსახურა კაიმაკამს, მაგრამ გასამრჯელოს აღარ იღებდა, მეოთხე წელს კი წმიდა ანას სკიტე მოინახულა. მთელი წელი იქ დარჩა და კირიაკონზე ცხოვრობდა. ხუთი წელი გავიდა. ეპიტიმის დრო ამოიწურა. მანოლის გულს ათონზე დარჩენა ეწადა, მაგრამ გონება ჯერ კიდევ ეურჩებოდა. უკვე გადაწყვიტა კიდევ ათონიდან წასვლა, მაგრამ ეს იყო უკანასკნელი გაბრძოლება საკუთარ თავთან. ქილენდარის მონასტრამდე ისე იარა, დარწმუნებული იყო, უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდა, მაგრამ აქ ისეთმა სულიერმა შფოთვამ შეიპყრო, რომ ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შეძლო და მობრუნდა, გზადაგზა მთელი დანახოგი დაარიგა. წმ.ანას სკიტეს რომ მიაღწია, მანოლი შეჩერდა. ბერი ბესარიონი, რომელიც ადრეც კარგად იცნობდა, თანაგრძნობით მოეპყრო და ყველანაირად შეუწყო ხელი. მალე მანოლის ღმერთმა სასურველი თავშესაფარიც უბოძა.

წმ.ანას სკიტეს უკან, ჩრდილო-დასავლეთით, ერთ-ერთ კლდეში არის მღვიმე, რომელიც მანოლის ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა, თუ სადმე დარჩებოდა, მხოლოდ აქ. მამების ლოცვა-კურთხევით, მართლაც, ამ მღვიმეში დასახლდა და ყოველდღე დადიოდა ადრიან ლიტურგიაზე. ამ დროს მანოლი ჯერაც ერისკაცი იყო.

ერთხელ იგი ეკლესიაში წირვის დაწყებამდე მივიდა, და ეკლესიის წინ მდგარ სულიერ ძმებს შეუერთდა. მათ უთხრეს - როდემდე უნდა იცხოვრო ასე ჩვენთან, დროა, საერო სამოსელი გაიხადო და მონაზვნური ჩაიცვაო. მანოლიმ პასუხს თავი აარიდა და ეკლესიაში შევიდა. როდესაც თავის ადგილას დადგა, უცხრად წყნარი შინაგანი ხმა ჩაესმა: „მართლაც, რაღას უცდო, მონოლი? მიჰყევი ბერების რჩევას. უკვე დაბერდა, წვერი გაეჭაღარავდა, სადა ხარ წამსვლელი? ვერ ხედავ, როგორ ზრუნავენ შენზე წმიდა იოაკიმე, წმ.ანა და ღვთისმშობელი? ვერ ხედავ, როგორ არ გიშვებენ აქედან, არ უნდათ, რომ ამ ადვილს მოშორდე!“. ტამრიდან გასვლისთანავე მანოლიმ ძმებს უთხრა: - აქ ვრჩები, თქვენს რჩევას მივდეგ, ოღონდ, შესამოსელი მიყიდეთ და ანა დამარქვით, რათა ჩემი სახელითაც კი ყოველთვის ამ სკიტეს ვეკუთვნოდეო.

ბერებს არ გაკვირვებიათ მანოლის ასეთი უბრალოება, რადგან იცოდნენ მისი წარსული. აუხსნეს, რომ ანას დარქმევა არ შეიძლება და იოაკიმეს დაარქმევდნენ. შესამოსელისთვის ფული შეკრიბეს; ბერმა ბესარიონმა ათი ლევი დადო, სხვებმა - ვისაც რამდენა შეეძლო, მაგრამ ეს თანხა საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ მანოლი სხვა მონასტრებში გაემგზავრა დახმარების სათხოვნელად და ასე შეიძინა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. შემდეგ ის ბერად აღკვეცეს და რაკი მისი ეპიტიმის დროც ამოიწურა, უკვე შეეძლო წმიდა საიდუმლოს ზიარება.

კლდეში გამოკვეთილი გამოქვაბული, რომელშიც მამა იოაკიმე ცხოვრობდა, ფართო, მაღალი და ნათელიც კი იყო, მაგრამ ყოველთვის ცივი და ნესტიანი, რადგან ქარისა და აედრისაგან არაფერი იცავდა - არც კარი ჰქონდა, არც ფანჯარა, წვიმა ჩამორდიოდა, ყინვის დროს ლოლუები ეკიდა, ხოლო თოვლი გამოქვაბულშიც აღწევდა და დიდხანს არ დნებოდა. მამა იოაკიმე ცეცხლს არასოდეს ანთებდა და არც თბილ ტანსაცმელს იცვამდა, ზამთარ-ზაფხულ თხელი კაბა და ანაფორა ეცვა.

ხუთი წლის მერე უფალმა სიმტკიცისა და ჭირთათმენისათვის სიმდაბლისა და ღმობიერების ნიჭი მიჰმადლა.

აღკვეცის შემდეგ მამა იოაკიმეს სულ უფრო და უფრო მეტად ეუფლებოდა ღმრთის შიში, და სკიტეს მამებმა ეკლესიარქად (საეკლესიო ნივთების განმგებლად) დაადგინეს სასაფლაოს ეკლესიაში, სადაც იგი გათენებამდე მიდიოდა და ყველაფერს ამზადებდა ლიტურგიისათვის. წირვის მერე ეკლესიას ალაგებდა, კეტავდა, ერთ დოქ წყალს აიღებდა და თავის გამოქვაბულში მიდიოდა. წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მაგრამ ყველა დღესასწაულის ტროპარ-კონდაკი ზეპირად იცოდა. ყველაზე საოცარი კი მასში ღმობიერებისა და ცრემლის ნიჭი განვლდა. ეკლესიარქად არჩევის შემდეგ სკიტეს ბერებმა გადაწყვიტეს,

მისთვის დღეში თითო პური მიეცათ. წირვის დამთავრების შემდეგ იგი რომელიმე სენაკში მიდიოდა, სადაც პურს აძლევდნენ, მეორე დღეს სხვა სენაკს მიაკითხავდა და ახლა იქ მისცემდნენ პურს და ა.შ. ამ პურებისგან გაკეთებული ორცხობილით მამა იოაკიმე ყველა მომსვლელს უმასპინძლებოდა. იგი წყალში ალბობდა ორცხობილას, ჯამში კოვზს დებდა, და ისე ევედრებოდა სტუმარს, მიირთვიო, რომ კაცი მაძლარიც რომ ყოფილიყო, ასეთ გულითად თხოვნაზე უარს ვერაფრით ეტყოდა.

მამა იოაკიმეს ჰქონდა ვიდაცის ნაჩუქარი მოჩუქურთმებული ჯვარი, რომლის ორივე მხარეს თორმეტი საუფლო დღესასწაული იყო ამოკვეთილი. მათ შორის დარჩენილ არეებში იგი ადობდა ბამბის ფთილებს, რომლებსაც სხვადასხვა მონასტრში შენახული წმ.ნაწილებიდან იღებდა. მისი ცხოველი სარწმუნოების გამო ამ ბამბას ისეთივე სურნელი ასდიოდა, როგორც თვით წმიდა ნაწილებს. ეს ჯვარი მამა იოაკიმეს ერთადერთი განძი იყო და მას ხის ბუდეში ინახავდა. როდესაც ვინმე ეწვეოდა, ჯერ ჯვარს ამოიღებდა და მოსულს შესთავაზებდა, ვილოცოთო, მერე კი ღვთისმშობლის ხატს მიაართმევდა სამთხვევად. ამის შემდეგ სტუმარს დასვამდა, თვითონ კი მასპინძლობას იწყებდა. გამომშვიდობებისას აუცილებლად მოუგლეჯდა ქვეშ შორის ამოსულ ბალახს და აჭანდა, როგორც წმ.იოაკიმეს, ანასა და ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევას.

გარეგნულად მამა იოაკიმე ძალიან დაუძლურებული იყო, რასაც მისი ცხოვრების წესი განაპირობებდა. თვითონ იტყოდა ხოლმე: “უწინ ხორცს და ნაირ-ნაირ საჭმელს შევკვეცივოდი, ღვინოსაც ბევრს ესვამდი, რძეს კოვზით კი არა, ქოთნით გვახლებოდით წყლის ნაცვლად, ახლა კი ღმერთმა პური და წყალი მიბოძა და ვხედავ, რომ ეს ყველაფერზე ტკბილია, რაც იქ მქონდა! საოცარია, როგორ ატკბობს უდაბნო პურს, რაღაც განსაკუთრებულ გემოს აძლევს! რა მოწყალეა უფალი! დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა, უფალო, დიდება შენდა, უფალო!“.

მამაო, ყაჩაღი მანოლი შენ იყავიო, რომ კეითხებოდნენ, პასუხისა არ რცხვენოდა. მე, მე ვიყავი! უფლის სასწაულია ჩემი აქ მოსვლა! მონაზვნობა გულში არასოდეს გამივლია, მაგრამ ნახეთ, რა ქნა უფალმა! თურქის მოყვანილი ვარ აქ, თურქისა! ნამდვილად ღმრთის სასწაულიაო, - ამბობდა.

არაფერი ებადა. ტინის იატაკზე, კუთხეში დაგებულ ფიცრებზე ტომრის ნაჭერი ჰქონდა გადაფარებული, ეს იყო მისი საწოლი. წერა-კითხვის და ხელსაქმის უცოდინარი გრძელ ღამეებს ლოცვით ათენებდა. იპონგა ორი ცარიელი გოგრა, ერთში კენჭები ჩაყარა, მეორე გვერდით მიუდო, ერთიდან მეთრემი გადააწყოდა კენჭებს, თან ყოველ მათგანს იესოს ლოცვასა და სრულ მეტანიას აყოლებდა. ეს კენჭები მამა იოაკიმეს სკენილის მაგიერობას უწევდა.

თავიდან იგი ებრალებოდათ და ხან პერანგს ჩუქნიდნენ, ხან რაიმე სხვა სამოსელს, ხანაც ფულს, მაგრამ მამა იოაკიმე მას ძალე სხვა მეუდაბნოეს გადაულოცავდა ხოლმე, ანდა გზაზე დებდა. როცა კეითხებოდნენ, ჩვენი ნაჩუქარი ტანსაცმელი რა უყავიო,

უპასუხებდა, - რა ვიცი, გამოქვაბულში დავედ და ვეჭობა, ვილაცამ წაიღო. ამ თვისებას რომ მიუხედავად, არავინ აღარაფერს აძლევდა. თუმცა, უნდა ითქვას, მერე ძალიან გაუჭირდა: გამოქვაბულის სიცივემ და სინესტემ ჯანმრთელობა შეურყია, სიბერეც მოერია და უკვე თვითონ თხოულობდა თბილ კაბას, ანაფორასა და ფეხსაცმელს.

მამა იოაკიმეს ხორციელი მოღვაწეობა მეტანების გარდა იმაშიც მდგომარეობდა, რომ ღამ-ღამობით გზებს ქვა-ღორღისაგან წმენდდა და ამით ადამიანებს საჯალს უმსუბუქებდა. ეს გზები ხშირად დამრეცი და მიხვეულ-მონხვეული იყო, ამიტომ მათი გაწმენდა საკმაოდ ძნელი, ხანდახან შეუძლებელი საქმეც გახლდათ. მამა იოაკიმეს მთავარი მიზანი იყო, რომ საკუთარი თავისთვის მოსვენების ნება არ მიეცა, და, გარდა ამისა, ნამდვილი სიყვარულის გრძნობა ჰქონდა იმ ძმებისადმი, რომლებიც ამ ბილიკებზე მიმოდინდნენ.

წმიდა მთაზე არსებობს ძველი ჩვეულება: გზაჯვარედინებსა და გადასახვევებზე ჯვრებს დგამდნენ, რათა მოგზაურს გზა არ დახნოდა. წმ.ანას სკიტეში მიმავალი ბილიკები ძალიან დახლართულია, ყოველ ადგილს, თითქმის ყოველ სენაკსაც კი თავისი მისასვლელი აქვს. იქაურებმა კარგად იცოდნენ ეს გზები, მაგრამ სტუმრებს უჭირდათ მიგნება. მამა იოაკიმემ ყოველ გზაჯვარედინსა და მოსახვევში თითო ჯვარი დადგა, რითაც ძალიან შეუმსუბუქა საქმე მოგზაურებს.

მღვიმეში შესასვლელი მან ქვებისაგან გაწმინდა და მიწა დაყარა, სადაც სალბი, ღიღილო და სხვა ბალახი დათესა და მათ სტუმრებს ურიგებდა. მღვიმის გზაზე ქვებს შორის ან ვაზს ჩარგავდა ან ნუშს, მას ღიღ ნუშებს სცემდა აყვავებული ხეების ხილვა.

ერთხელ მამა იოაკიმეს ჰკითხეს, - ასეთ ნესტიან მღვიმეში ცხოვრება მანეა ჯანმრთელობისათვის, გაციებისა არ გეშინია? ბერმა უპასუხა: - რისა უნდა მეშინოდეს? რამხელა ნუგეში, სიმტკიცე და სასოებაა წმ.ანა, ყოველდღე წმიდა ღვთისმშობლის დედა. შიში ეშმაკისაგანა, სიმხნევე და სიხარული - უფლისაგან.

ომში მიმავალ მებრძოლებს თავიდან თითქოს ეშინიათ მტრისა, მაგრამ სიამაყეს იკრებენ, ომში შედიან და იმარჯვებენ. მაშინ კი ჯიღლსაც იხვეჭენ და პატივსაც. ასევე უნდა იყოს მონაზონიც. მადლობა ღმერთს, რამდენი რამ მომცა ღმერთმა მე ცოდვილს. ავაზაკი და მემრუშე ვიყავი, უფლის ყველა მცნებას ვარღვევდი, მან კი თავისი ყველა ნიჭი მომმადლა. განა შეიძლება ამაზე უკეთესი ადგილი ვინატრო საცხოვრებლად? არც ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება უფლისა და მისი ყოველდღე წმიდა დედის წინაშე. რამდენჯერ მიფიქრია, წავალ, სხვა მონასტრებს მოვინახულებ, წმ. ნაწილებსა და სასწაულმოქმედ ხატებს ვემოხვევი-მეთქი, მაგრამ ჩემს მღვიმესთან განშორება მიჭირს. რაღაც შინაგანი ხმა მეუბნება: სად მიდინარ, რა გინდა, რა გაკლია? ტანისამოსი გაქვს, პურს გაძლევენ, იჯექი შენს ადგილას და იყავი. მეც ვზივარ შემოჭრილივით, ვერსად მივდივარ ლიტურგიის გარდა. ამ მღვიმეში ღმერთმა ისეთი სიტყბო მაგემა, რომ მთელი ათონი რომ მომცენ, აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი. ნუთუ არ გცივა-თქო, რომ გკითხეთ, გვიპასუხა, - ხანდახან ხელ-ფეხი მეყინება, მაგრამ ეს

რომ გამივლის, ადრინდელზე ბევრად ჯანსაღად ვგრძნობ ხოლმე თავს; ათონზე ამბობენ, აქ ცუდი ჰავაა, მარმარილოშიც კი წყალი ატანსო და ამისი ეშინიათ. მაგრამ ეს ღვთისმშობლის სახლია და თუკი ღვთისმშობელი მთელ ქვეყანაზე ზრუნავს, მით უმეტეს, იზრუნებს თავის სახლზე. მონაზონმა მეომრის სიმტკიცე უნდა იხმაროს, პირველ ყოვლისა, ერთ ადგილას დამკვიდრდეს და სიფრთხილე დაიძაროს.

ერთხელ, თებერვალში, ათონის მთის წვერზე ასვლა მომიხდა და ერთ ბერს ვთხოვე, გზა მასწავლე-მეთქი. იმან კი ძალიან შემაშინა: იქ ისე ცივა, ზაფხულშიც საშიშია ასვლა, ზამთარში ხომ სულ არავინ დადისო. ვიფიქრე, ეს ადგილი წმიდათა წმიდაა, განა შეიძლება რაიმე გვენოს - მეთქი, ჰაჯი-გიორგის კვითხე გზა და წავედი. მზის ჩასვლისას მწვერვალს მივაღწიე და ეკლესიაში შევედი. ღამე იქ გავათითე, ყინავდა, ხელ-ფეხი მთლად გამიშეშდა, მაგრამ დილით ბევრად უფრო ჯანსაღად ვიგრძენი თავი, ვიდრე ოდესმე. ამის შემდეგ უკვე აღარაფრის მეშინოდა, რადგან მიგზვდი, რომ შიში ეშმაკისაგან და მცირედმორწმუნეობისაგან იშვება.

თუ ორი ერთნაირი ნივთი მაქვს, ერთს სხვას ვაძლევ, რადგან მე ავაზაკი, მემრუშე და უდიდესი ცოდვილი ვარ და არ უნდა მქონდეს ორი წვეილი ფეხსაცმელი, ორი პერანგი ან რამე სხვა ტანსაცმელი. მოწყალეების მიღების შესახებ მამა იოაკიმე ამბობდა: წესად გავიხადე, რომ არავის არაფერი ვთხოვო, მაგრამ თუ მაძლევენ რაიმეს, უარს არ ვამბობ და საერთო გზის შეკეთებას ვახმარ, უფრო ხშირად, ზეთს ვვიღებო ეკლესიის ჩაუქრობელი კანდელისათვის, ხან მღვდელმონაზონს ვთხოვ წირვის გადახდას. თუ ძალიან დიდ თანხას შემოსწირავენ, ეკლესიის მთელ ხარჯს, - სუთსკვერების, ღვინის, ზეთის, ცვილის, საკმეგლისა და სხვა ყველაფრის ფულს მე ვიღებ. მერე მამა იოაკიმე ორი პური გვიჩვენა და გვითხრა, - აი, ეს პურიც ვილაცამ მომცა. სხვა რაღაა საჭირო? ყველაფერს მიგზავნის ღვთისმშობელი, და დაატანა, - არ გეკოროთ, რაიმე დიდი მონაზონური ღვაწლი მქონდეს ალბული. ვზივარ და მხოლოდ განკითხვაში, ნაყროვანებასა და ძილში ვატარებ დღეებს. თევზს არ ვეკარები, მებარს პურს კი ძალიან ბევრს ვჭამ. და მაინც, მე უღირსს ღვთის მოწყალეების, ღვთისმშობლის, წმ. იოაკიმესა და ანას იმედი მაქვს.

ღვთის ნებით, მამა იოაკიმეს ისეთივე განსაცდელი შემთხვა, როგორც ანტონი დიდს. ერთ-ერთი დღესასწაულის წინ, როდესაც გზებზე ჩამოშლილი ქვები აკრიფა და ღამისთევის ლოცვაზე მიიჩქაროდა, უცებ უამრავი ეშმაკი დაესხა თავს, ხელი სტაცეს და ზღვისკენ, ფერდობზე დააგორეს. როგორც კი ცოტათი შეჩერდებოდა, ეშმაკები ისევ ხელს ჰკრავდნენ ხოლმე, ვიდრე ზღვის ნაპირას არ აღმოჩნდა. ბედად, არაფერი დაშავებია. ბერები ღამისთევის ლოცვაზე შეიკრიბნენ, მამა იოაკიმე რომ არ გამოჩნდა, გაუკვირდათ, მღვიმეში მიაკითხეს, ძებნა დაუწყეს და ბოლოს ზღვის ნაპირას იპოვნეს. მერე ერთხმად გადაწყვიტეს, მღვიმეში აღარ გაემართა და თავმესაფარი სასაფლავს ეკლესიის მახლობლად მისცეს.

1888 წელს, ქრისტეშობის წინ, მამა იოაკიმემ თავი შეუძლოდ იგრძნო, ლოკინში ჩაწვა და აღარაფერს

ჭამდა. ხმა დაუსუსტდა, მაგრამ ლაპარაკი ჯერ კიდევ შეეძლო. დადგა ბრწყინვალე შვიდგულის სუთმობათი, ტაძრის დღესასწაულის წინაღვე. მზე ჩადიოდა, წუთიც, და იგი ჰორიზონტს იქით ჩაესვენებოდა. უცებ მამა იოაკიმემ ზამამალა წამოიძახა: "დედოფალო, დედოფალო ჩემო!" და ამ სიტყვებით შეკვედრა სული უფლს, რომელიც ასე ძლიერ შეიყვარა.

მამა იოაკიმე დაახლოებით 80 წლისა მიიცვალა, ათონზე დაჰყო 25 წელი.

მამა არსენი (რუსი)

მამა არსენი წარმოშობით რუსი იყო. იგი ნიჟეგოროდის გუბერნიის ქაბალახანში, მემჩანის ოჯახში დაიბადა. მშობლები მართლმადიდებელი ქრისტიანები ჰყავდა. ნათლობისას მას ალექსი უწოდეს. წერა-კითხვა ადრევე შეისწავლა. ახალგაზრდობა ცხოვრებისეულ და საერო საქმეებში ჩაფლულმა გაატარა, მაგრამ უფალმა არ დაუშვა ალექსის გნებებში ჩაძირვა, რადგანაც რჩეულ ჭურჭელს ხედავდა მასში. მალევე გაეხსნა გონება საღვთო წერილისა და მამათა სწავლებების საკითხავად, რის შედეგადაც დაინახა მთელი ამაოება და უსარგებლობა ამა ქვეყნისა. 20 წლისამ დატოვა მშობლები, სახლი და რუსეთის მონასტრების მოსალოცად გაემგზავრა. ამ მოგზაურობისას ალექსიმ გადაწყვიტა მოსკოვის გუბერნიის მდებარე პესნოშის ზოგადცხოვრებულთა მონასტერში (მონასტერი, სადაც ძმები ერთად ცხოვრობენ, ერთად ტრაპეზობენ, ერთად ლოცულობენ და ა.შ.) დარჩენილიყო. სწორედ აქ დაიწყო მისი მონაზვნური ცხოვრება. სამი წლის მორჩილების შემდეგ ალექსიმ საზღვარგარეთ არსებული მოღვაწე მონასტრების მოხილვა მოიწადინა. ეს მონასტრები ცნობილი იყო დიდი მამებითა და მოსაგრებით. თავისი სურვილი მან სულიერ მოძღვარს გაუხილა და კურთხევაც მიიღო. და თუმცა იღუმენს არ უნდოდა მისი გაშვება, ალექსი მაინც გაემგზავრა. გზად კიევში შეიარა, რათა თავიანთ ეტა სასწაულთმოქმედი მამების წმინდა ნაწილებისათვის. აქ მან ისეთი თანამგზავრი იპოვა, რომელიც სიკვდილამდე, 40 წელზე მეტი ხნის მანძილზე განსაცდელში, ღვაწლსა თუ მოსაგრეობაში თან ახლდა - წარმოშობით იყო ტულის გუბერნიიდან, სახელად ნიკიტა ერქვა. მათ ილოცეს სასწაულთმოქმედი მამების წმინდა ნაწილებთან და გზა ერთად გააგრძელეს.

მოღვაწეობის ყველა მონასტერი და სკიტე რომ მოიარეს, ბოლოს, ბალაშოვის სკიტეში სულიერი მოძღვარი იპოვეს, რომელთანაც სრულ მორჩილებაში იყვნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მოძღვარმა ისინი ბერებად აღკვეცა. ალექსის აბელი უწოდა, მის თანამოსაგრეს - ნიკანდრე. დიდი ხანი არ გასულა და ხუცესმა აბელის (როგორც ღირსისა და საღვთო წერილში განსწავლულის) მღვდლად კურთხევა გადაწყვიტა, რადგანაც ხედავდა ახალგაზრდა ბერების თავგანწირულ მოსაგრეობასა და სიმდაბლეს. აბელს კარგად ჰქონდა გააზრებული, თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ, ამიტომაც თვალცრემლიანი ვეგდებოდა მოძღვარს, აცვილებინა მისთვის ეს

მძიმე ტვირთი, რომელიც მის ძალებს აღემატებოდა და ნება მიეცა, უბრალო ბერად დარჩენილიყო. მაგრამ ხუცესმა უპასუხა, რომ მორჩილი თვითონ კი არ უნდა მსჯელობდეს, არამედ უსიტყვოდ უნდა ასრულებდეს მორჩილებას; მოძღვარს კი არ უნდა ასწავლიდეს, არამედ მისი ბრძანება უნდა შეასრულოს, თუნდაც ამისთვის სიკვდილი მოუხდესო. მამა აბელმა მუხლი მოუყარა ხუცესს, - შემინდე, წმიდაო მამაო, ჰქმენ, როგორც გსურსო. მალე იგი მღვდლად აკურთხეს და სკიტის მმთა თანხმობით, სულიერ მოძღვრად აირჩიეს. მღვდლობამ სრულებით არ შეცვალა მისი ცხოვრების წესი. ისე ემორჩილებოდა ხუცესს, როგორც უბრალო ბერი და არაფერს იწყებდა მისი კურთხევის გარეშე. ასე, სრულ მორჩილებაში გაატარეს ბერებმა თვრამეტი წელი, მოძღვრის გარდაცვალებამდე. მარტო დარჩენის შემდეგაც არ უნდოდათ თავიანთ ნებაზე ცხოვრება, ამიტომ გადაწყვიტეს, დარჩენილი წლები ერთმანეთის მორჩილებაში გაეტარებინათ. მამა ნიკანდრეს უნდოდა აბელი ყოფილიყო მისი მოძღვარი, როგორც მღვდელი და სულიერი მამა, რაზედაც მამა აბელი არაფრით დათანხმდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ორივეს ჰქონდა გამოცხადება უფლისაგან, ათონის მთაზე წასულიყვნენ და დარჩენილი წლები იქ გაეტარებინათ. ბერებმა თავიანთი გამოცხადებები ერთმანეთს გაუხილეს და მგზავრობისათვის მზადება დაიწყეს. ძმები ვეგდებოდნენ, გადაეფიქრებინათ, რადგანაც იმ პერიოდში არათუ ათონის მთაზე, თურქეთშიც არ შეიძლებოდა წასვლა, იქაურებიც გამობობდნენ. წმიდა მთა ყაჩაღებითა და თურქებით იყო სავსე; მონასტრები დაიკეტა, სენაკებში ყაჩაღებმა დაისადგურეს. მთელ თურქეთში ქრისტიანთა სისხლი იღვრებოდა. 1821 წელს კონსტანტინოპოლში მოკლეს თვით პატრიარქი გრიგოლი. მამა აბელმაც კარგად იცოდა ეს ყველაფერი, მაგრამ გრძნობდა, რომ უფალი მოუწოდებდა და მისი წმინდა ნება იყო ძმების ათონზე გამგზავრება, ამიტომაც ასე პასუხობდა ბერებს: „მამანო და მმანო, ჭეშმარიტად ასეა, როგორც ბრძანებთ, ეს ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ იყავნ ნება ღვთისა“. მას მტკიცედ სწამდა, რომ უფალი არ მიატოვებდა. მამები სამგზავროდ მოემზადნენ. რაც კი გააჩნდათ, ძმებს დაურიგეს, გზაზე კი მხოლოდ ფული და წიგნები წაიღეს.

ჩავიდნენ გალაცში, საიდანაც გემით კონსტანტინოპოლში გაემგზავრნენ. იქ მათ მართლაც სამინიელი მდგომარეობა დახვდათ. ბერძენთა სისხლი ღვარად მიედინებოდა ქუჩებში.

„რატომ ჩამოხვედით, — უბნებოდნენ ბერძენები, — გინდათ ჩვენი ჭირი გაიზიაროთ? თქვენთან, მოღვაწეობით, ყოველდღიურად იმდენ ცხვარს არ კლავენ, რამდენსაც აქ ადამიანებს, ქუჩებში და მოედნებზე, ყველას თვალწინ ას, ორას კაცს ასალმებენ სიცოცხლეს. სასწრაფოდ დაბრუნდით უკან. ათონის მთაზე ფიქრიც კი ამოიგდეთ თავიდან. გემები არ დაცურავენ, ხმელეთის გზა კი ყაჩაღებითაა სავსე. ისინი ათონის მთაზეც არიან, მონასტრებში, ბერებთან ერთად თურქები ცხოვრობენ“.

მაგრამ მამებს მტკიცედ სწამდათ, რომ ათონის მთას მიაღწევდნენ.

იმ ხანებში კონსტანტინოპოლში პური ძალიან ძვირი იყო. მათ კი ნაწილი ფულისა გზაზე დახარჯეს, ნაწილი - საკვებში. უგროშოდ დარჩნენ. წიგნებსაც არავინ ყიდულობდა. მთელი ზამთარი მათხოვრობით ირჩენდნენ თავს და გაჭირვებულ ბერძნებსაც ეხმარებოდნენ. მხოლოდ ღმერთმა იცის, რამდენი ჭირი და განსაცდელი გამოიარეს. ზამთრის მიწურულს მამებმა წიგნები დაავიარავეს და ფეხით გაუდგნენ ათონის გზას, რომელიც მეტად მძიმე და ფათურაკიანი აღმოჩნდა. თითქმის ყოველ საათს ყაჩაღები ესხმოდნენ თავს და რომ ვერაფერს უპოვნიდნენ (არც ფული, არც ტანსაცმელი, ბერებს არ გააჩნდათ), ხან სცემდნენ, ხან ლანძღავდნენ და ამცირებდნენ, ხან კი უკანასკნელ ორცხობილასაც ართმევდნენ. გზას თვეზე მეტი მონადლომის და როგორც იქნა, ათონის მთას მიაღწიეს. მაგრამ იქ უარესი დახვედით: სენაკები დაცარიელებული იყო, ბაღები - გავერანებული, მონასტრები - დახურული. ბერები განიზნულიყვნენ. ზოგს უსიერი ტყისთვის შეეფარებინა თავი, ზოგი - მონასტრებში ჩაკეტულიყო.

მამა აბელი და მამა ნიკანდრე, პირველ ყოვლისა, ათონის ილუმენის, კარის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს ეახლნენ. ივერონის მონასტრის კარიბჭესთან მათ მამები დახვედნენ და თავად მიაციკლეს ცის დედოფალთან. ბერები დაემხენენ ხატის წინაშე და ცრემლით ევედრებოდნენ ღვთისმშობელს, მიეღო თავის წილხვედრ მიწაზე - ათონის მთაზე. საოცარი იყო, რომ ასეთ დროს, როცა მონასტერი დარბეული იყო, მისი სამწყსო-მომოფანტული, დიდებული ცის დედოფალი ისევ თავის ადგილზე ბრძანდებოდა, უწინდებურად გაბრწყინებული და გასხივოსნებული, ოქროვერცხლითა და ძვირფასი თვლებით მორთული. თურქებით საესე მონასტერში ხატი - სრულიად უვნებლად ესვენა. მამების კითხვაზე, რატომ არ დამალეს ხატი, ან თურქებმა რატომ არ გაპარცვესო, ივერონელებმა უპასუხეს:

- სად უნდა დავმალეთ და რატომ? იგი ჩვენი მფარველი და მცველია, ათონის მთის ზეღამდგომელი და თუმცა კი დაგვსაჯა ცოდვებისათვის, მაგრამ პირი არ იბრუნა ჩვენგან, საბოლოოდ არ განგვირისხდა, კვლავაც ჩვენთან არის და მანამ ის გვიმზურს, ჩვენც იმედს არ გკარგავთ, რომ ეს განსაცდელიც გაივლის. ახლა ჩვენი ერთადერთი ნუგეში და სიხარული მისი აქ ყოფნაა. როდესაც ჩვენზე განსაცდელი მოაწევს, მასთან მივდივართ და ვპოულობთ ნუგეშსა და განსვენებას. გვეკითხებით, თურქებმა ხატი რატომ არ გაპარცვესო. მათ არათუ გაპარცვა, არამედ ტაძარში შესვლაც კი არ შეუძლიათ. უკვე მესამე წელია, მონასტერში ცხოვრობენ და ფეხიც ვერ შემოუდგამთ. როდესაც, ჩვენზე გაბოროტებულები, ოქროვერცხლს გვთხოვენ, ვპასუხობთ, რომ არა გვაქვს, სინამდვილეში კი სიმდიდრე დამალულია. მათ მუქარაზე წმინდა ხატზე მივეუთითებთ ხოლმე: „აი, ამ ხატზე ბევრი ოქროვერცხლია, თუ გნებავთ, წაიღეთ!“ ისინი კი ზღურბლიდან გვეუბნებიან, მასთან ვერ მივდივართ, ისე მრისხნად გვიყურებსო, და შერცხვნილი უკან ბრუნდებიან. ჩვენ კი მადლობას ვწირავთ ღვთისმშობელს, რომ თავსაც იცავს და ჩვენც, ცოვდილებს, გვიფარავს. და კიდევ, მადლობას ვწირავთ ამ

განსაცდელისათვის, რომელიც დასამდაბლებლად მოგვივლინა.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით: შარშან წმინდა მთაზე დიდი არეულობა და შფოთი იყო, რის შედეგადაც მამების რიცხვმა რამდენიმე ათასიდან ათასამდე იკლო, და ისინიც მონასტრის დატოვებას აპირებდნენ, რადგანაც მიიჩნიეს, რომ ღვთისმშობელმა საბოლოოდ იბრუნა პირი ათონის მთისაგანო. ამგვარ განსაცდელში მყოფ რამდენიმე მამასა და მეუღლისათვის თვით ყოველწმინდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა, - რამ შეგამინათ, რატომ უშვებთ გულში ასეთ ზრახვებს? განსაცდელი გაივლის, ათონის მთა კვლავაც გაივსება ბერებით. გამცნებთ, ნურაფრის შეგეშინდებთ, ვიდრე ჩემი ხატი ივერთა მონასტერშია. ხოლო როდესაც ამ მონასტერს დაეტოვებ, მაშინ კი თქვენც უნდა წახვიდეთო.

ამის შემდეგ მეუღლისობები მოდიან ხოლმე ჩვენს მონასტერში და როდესაც ღვთისმშობელს ნახავენ, თავთავიანთ სენაკებს უბრუნდებიან.

ამრიგად, ბერებმა ორი სასიხარულო ამბავი გაიგეს, - ერთი, რომ ღვთისმშობელი კვლავაც მფარველობდა ათონის მთას, და მეორეც, რომ კიდევ არსებობდნენ მეუღლისობე ბერები.

ივერონელებმა სასტუმროში ისტუმრეს მამები და ერთი კვირა მასპინძლობდნენ, შემდეგ უთხრეს:

- წმიდანო მამანო, ჩვენ რამდენიმე დღე მოგასვენეთ, ახლა კი ნულარ დაგვამძიმებთ, ისედაც ძალიან გვიჭირს, თვითონაც არა გვაქვს საარსებო წყარო. ჩვენთან ორმოცი თურქი ცხოვრობს და არ ვიცით, რა ვაჭამოთ. გარშემო ყველგან ყაჩაღებია, შემოსავალი კი არა გვაქვს. თქვენ შეგიძლიათ ჩვენი სკიტის ერთ სენაკში დასახლდეთ. ამ სენაკს თავისი პატარა ეკლესიაც აქვს. ბოსტანს დაამუშავებთ, ხელსაქმეს გაყიდით და რამენაირად ირჩენთ თავს. თუკი რაიმე გაგიჭირდებთ, ჩვენ ყოველთვის დაგეხმარებით!

ბერებმა მადლობა გადაუხადეს ივერონელებს და სკიტეში დასახლდნენ. დაიწყეს ბოსტნის დამუშავება, ხელსაქმედ კოვზების გამოთლა აირჩიეს. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რითი იკვებებოდნენ, ან როგორ ირჩენდნენ თავს: ხელსაქმეს არავინ ყიდულობდა, პურს კი მწელად თუ იშოვნიდა კაცი. თვითონ ამის შესახებ არასოდეს არაფერი უთქვამთ. თავს რით ირჩენდით იმ არეულ დროშიო, რომ ეკითხებოდნენ, მამა აბელი პასუხობდა, - რა თქვა უფალმა სახარებაში? „ეძიებდით პირველად სასუფიველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგემინოთ თქვენ“. უფალს არც ჩვენ მივეუტოვებიაართო.

ასე გადარჩნენ ჩვენი მამები. და არა მარტო ისინი - უფალმა ყველაზე იბრუნა, ათონზე მყოფ ათასამდე ბერს გაუჩინა საზრდო.

იმ წლებმა სულიერად გაამდიდრა ბერები. ამდენი გაჭირვებისა და განსაცდელის დათმენამ თავისი ნაყოფი გამოიღო. უფალმა სული წმიდის მადლით დააჯილდოვა ისინი - მიანიჭა ძალა ეშმაკთა ძლევისა; მშვენიერ და ხორციელ ვნებათა დათრგუნვისა. მათი გონება ღმერთს შეუერთდა და სულიერი სიმშვიდისა და მღუმარების ნავსაყუდელს მიაღწია. მამა აბელს ღმერთმა განსჯისა და წინასწარხედვის ნიჭი მიჰმალდა,

მამა ნიკანდრეს - ცრემლი, რამეთუ დღისით თუ ღამით, გამუდმებით ტაროდა.

როდესაც განსაცდელის ჟამმა გადაიარა და უფალმა ქვეყანას მშვიდობა მოუვლინა, ათონის მთაზეც აღდგა მონასტრული ცხოვრება. ბერები დაბრუნდნენ. მლოცველიც უხვად მოდიოდნენ წმინდა ადგილის თაყვანისსაცემელად, ხელსაქმესაც მყიდველი გამოუჩნდა. ერთმა ვაჭარმა ყველაფერი შეისყიდა, ვისაც კი რამე გაეკეთებინა იმ წლებში. ჩვენმა ბერებმა კოვზებში 2000 ლევი აიღეს. - ახლა კი, მამაო, ცოტა სულს მოეთქვამთ, ფეხზე დაედგებით! - თქვა მამა ნიკანდრემ და მამა აბელიც გახარებული დაუთანხმა.

არ გახულა დიდი ხანი და მათთან ერთი ვრისკაცი მოვიდა მოწყალების სათხოვნელად. მამა აბელმა გამოაკითხა გაჭირვების მიზეზი. კაცმა ტირილით მიუგო, ჩემი ცოლ-შვილი თურქებმა ტყვედ წაიყვანეს და 5000 ლევს თხოულობდენ გამოსასყიდადო. მეორე წელია, კაგროვებ ფულს, 3000 ლევს, ღვთის წყალობით, თავი მოუყვარე, 2000 დამრჩა, ღვთის წყალობით, ამ თანხასაც ნელ-ნელა შევაგროვებო.

- შემოდი ხენაკში, რაიმეთი დაგეხმარები! - უთხრა მამა აბელმა. კაცი შევიდა. ბერმა ამოიღო ფული და გაუწოდა, - აილე და ცოლ-შვილი გამოისყიდო.

- რატომ დამცინი, წმიდაო მამაო, მე ისედაც მიჭირს; მომეცი ერთი ლევი და წავალ ჩემს გზაზე!

- არა, შვილო, სულაც არ დაგცინი. მე მოძღვარი ვარ და ამას როგორ ვიკადრებ, აილე ეს ფული და წადი მშვიდობით, - უპასუხა ბერმა და გაოგნებული კაცი კარებამდე მიაცილა. ამის შემყურე მამა ნიკანდრე მწარედ ატირდა: - მამაო, ეს რა ჩაიღინე? მთელი ფული რატომ მიეცი? ოთხი წელი ვშრომობდი, ძლივს გვეშველა, ახლა კი ისევ იგივე დაიწყებაო.

- მამაო ნიკანდრე, როდისღა გავხდებით ჭეშმარიტი ბერები? რამდენ განსაცდელში გამოგვატარა უფალმა, შენ კი ისევ უძღურებაში ხარ. განა ის, ვინც ყველაზე რთულ დროს გამოგვაკვება, ახლა აღარ მოგვხედავს? ისევ ვიმუშავებთ, ხელსაქმის გაყიდვაც აღარ გავგიჭირდება, ზედმეტ ფულს კი ზეციურ საუნჯეში დავაგროვებთ. აბა, რას გვარგებს სხვისი ფულის გაფრთხილება? მარტო გონებას გავვიფანტავს, კარგს არაფერს მოგვიტანს. ლოცვაზე ღვთის დროსაც ფიქრით მასთან ვიქნებით. უფალმაც ბრძანა: „სადაც არს საუნჯე თქვენი, მუნცა იყოს გული თქუენი“ (მთ. 6.21). ხოლო თუ ეს საუნჯე ღმერთთან იქნება, ჩვენი გულიც იქ დაიმკვიდრებს!

ამ სიტყვებმა გული მოუღობო მამა ნიკანდრეს, მუხლებში ჩაუვარდა ბერს და ცრემლით ევედრებოდა შენდობას. ამ დღის შემდეგ მამა ნიკანდრე აღარაფერში დაეჭვებულა და უკანასკნელ წუთამდე არ შეშრობია სინანულის ცრემლი.

მალე ორივე ბერმა დიდი სქემა შეიმოსა. მამა აბელს არსენი უწოდეს (სქემა მიიღო სქემა-მონოზან არსენისაგან), მამა ნიკანდრეს კი - ნიკოლოზი. იგი თვითონ მამა არსენიმ შეიმოსა და მისი სულიერი მოძღვარიც გახდა.

სკიტეში ძმების რაოდენობის გაზრდასთან ერთად საზრუნავიც იზრდებოდა. ამან ორივე ბერი დაამძიმა. ამიტომაც იოანე წინასწარმეტყველის სკიტეში ათი

წლის ცხოვრების შემდეგ მათ გადაწყვიტეს უდაბნოში უფრო შორს წასულიყვნენ და სრულ მდუმარებას მისცემოდნენ. ისინი იოანე ოქროპირის სენაკში დამკვიდრდნენ. ეს ხენაკი თანაბრად, ერთი საათის ხაველი მანძილით იყო დაშორებული სკიტეიდან და ივერთა მონასტრიდან. იქაურობა თითქმის მთლიანად გაემარცხათ თურქებსა და ყაჩაღებს. ბერებმა ეკლესია აკურთხეს და იქვე ორი სენაკი აიშენეს. მათ მკაცრი, მუუდაბნოეთა წესით ცხოვრება დაიწყეს: უბუღებულყვეს ყოველივე ამქვეყნიური საზრუნავი, უარი თქვეს ბალზეც და ბოსტანზეც, თუმცა კი იყო ზეთისხილის ხეები, მაგრამ მათ არ უვლიდნენ. ნაყოფის დამწიფებისას გაჭირვებულებს უხმობდნენ და მათ აკრფინებდნენ. მე (ბერი პართენი), თვითონ ვიყავი მოწმე მათი მკაცრი ცხოვრებისა. რამდენჯერმე დამეც გამითევია ამ წმინდა ბერებთან. ვაკვირდებოდი, მათთან დარჩენაც კი მოვიწადინე, მაგრამ არ დამტოვეს.

ჩვენთან ვერავინ შეძლებს ცხოვრებას, 30 წელიწადში ძლივს მივაღწიეთ ამ საზომს და ახლაც ხშირად განვიცდით უძღურებას, თუმცა სული სიმხნევს არ კარგავს, ხორცი ვერ მიყვება. მხოლოდ ღვთის მაღლი გვაძლებინებსო, - მითხრეს.

მამა ნიკოლოზმა 19 წელი იცხოვრა წმიდა მთაზე, მამა არსენმა - 24. ამ ხნის განძავლობაში არც ერთხელ არ უჭამიათ თევზი, ყველი, ღვინო, კარაქი. ამ მამების საკვები წყალში დამბალი ორცხობილა იყო, რომელსაც საკუთარი ზურგით ეზიდებოდნენ ივერთა მონასტრიდან. მათ ყოველდღიურ ტრაპეზს შეადგენდა ორცხობილა, წიწკა, ბადრიჯანი, ხანდახან ხახვი (თუკი ვინმე მოუტანდათ). ზეთისხილსა და ლელვს მხოლოდ სტუმრებს სთავაზობდნენ: დღეში ერთხელ, სამ საათზე ჭამდნენ. ოთხშაბათს და პარასკევს საერთოდ არ ტრაპეზობდნენ.

ბერების ტიპიკონი ასეთი იყო: ტრაპეზის შემდეგ, მწუხრამდე, თავთავიანთ სენაკებში კითხულობდნენ, შემდეგ მწუხრი იწყებოდა. ლოცულობდნენ ყურადღებით, ცრემლით, მშვიდად და ხმადაბლა. შემდეგ კითხულობდნენ სერობას, ღვთისმშობლის კანონსა და ძილად მისვლის ლოცვებთან ერთად, დამეს მღვიმარებით, ლოცვითა და მეტანიებით ატარებდნენ. თუ ძილი სძლედათ, სკამზე სხდებოდნენ და ერთ საათს დაიძინებდნენ, უფრო ხშირად კი ბოლთის ცემით აიძულებდნენ თავს, ეფხიზლათ. საათს ივერთა მონასტრიდან მოსული ზარის ხმით იგებდნენ. შუალამეს კვლავ ეკლესიაში იკრიბებოდნენ სალოცავად, ასრულებდნენ შუალამიანს, შემდეგ ცისკარს, ცისკრის შემდეგ, გათენებამდე, მდუმარებაში ატარებდნენ დროს. დილით ხელსაქმით იყვნენ დაკავებულნი: დღეში 10-10 კოვზს აკეთებდნენ. მუშაობისას ცალ-ცალკე იხსნდნენ და თუ რაიმე აუცილებლობა არ მოითხოვდა, ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ. მუდამ მდუმარებასა და ლოცვაში იყვნენ. ხელსაქმის შემდეგ ჟამნებსა და ღვთისმშობლის პარაკლისის ასრულებდნენ, მერე ტრაპეზობდნენ.

მამა არსენის ძალიან უყვარდა წირვის ხშირად ჩატარება. თუ ღვინო და სეფისკვერი ჰქონდათ (რაც ძალიან უჭირდათ), ყოველდღე წირავდა. რამდენჯერმე მეც დავესწარი ლიტურგიას. ვხედავდი მარხვით სავსებით დაუძღურებულ ორ ბერს, ერთი

საკურთხეველში, ტრაპეზის წინ იდგა და ტიროდა; ხმის ამოღებაც კი უჭირდა და ძლივს გასაგონად ამბობდა ლოცვებს, მეორე კლიროსზე იდგა, ისიც ცრემლს ღვრიდა, ხორციელად დაუძლურებულს ძლივს ესმოდა. მე კი, ცოდვილი, ერთთავად შემძრული და შემძრუნებული, ვიდექი ამ ორ ცეცხლოვან სვეტს შორის და არ ვიცოდი, საითკენ მიმემართა სმენა: საკურთხევლისაკენ, თუ უკან - კლიროსისაკენ. და თუმცა ცოტა რამ მესმოდა, მაგრამ გული გრძნობდა, რომ მათ ლიტურგიაზე თვით უფალი იყო აღთქმისაგებ: „და ვის ზედა მოვიხილო, არამედ ანუ მდაბალსა ზედა და მყუდროსა და მძრწოლარესა სიტყუათაგან ჩემთა?“ (ესაია 66,2). აქ, ამ ლიტურგიაზე, „რომელნი ქერებიმთა“-ს გალობდნენ ისინი, ვინც „ყოველივე მსოფლიო დაუტყვეა ზრუნვა“, აქ, ამ ორს შორის თვით უფალი სუფევდა: „რამეთუ, სადაცა იყვნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“. (მთ. 18,20). ამ ორმა ბერმა ისე შეიყვარა უფალი, რომ არცერთი წამით არ სურდათ მასთან განშორება და გონებით, გულითა თუ ბაგით, სულ მუდამ მასთან საუბრით ტკბებოდნენ. თუკი რამეს იტყოდნენ, ან ლოცვაზე, ან ღვთისა თუ მოყვასის სიყვარულზე. როგორც კი ვინმე ძმას აუკად მოიხსენებდა, მაშინვე წვეტდნენ ხოლმე საუბარს. ისინი საქმით ამტკიცებდნენ, რომ მოყვასი თავზე მეტად უყვარდათ. მათი სენაკიდან დამწუნრებული არავინ გამოხულა: ვისაც ხორციელი ნუგეში სჭირდებოდა, მატერიალურად უჭირდა, რომც არაფერი ჰქონოდათ, უკანასკნელ წიგნს დააგირაუებდნენ და ფულს მისცემდნენ ხოლმე, სულიერ განსაცდელში მყოფთ კი თავიანთი მადლიანი საუბრით ამშვიდებდნენ. ღარიბებს ეხმარებოდნენ, განსაცდელში მყოფთ ანუ გუგუშებდნენ, ენებებითა და ცოდვებით დაუძლურებულებს შეეწოდნენ. ჩემს თავზე კი ამის მოყოლა შემიძლია:

წმიდა ათონის მთაზე სრულიად უფულოდ აღმოვჩნდი. მამა არსენიმ მაკურთხა, კოვზების თლა მესწავლა, მე კიდევ იარაღის საყიდელი ფულიც არ გამაჩნდა. ეს რომ გავუმხილე, მითხრა, ამაზე ნუ იღარდებო, ფანჯრის რაფიდან ჩანთა აიღო, ფული გადმოყარა და მომცა - აილე, აქ სულ 30 ლევიაო. ძალიან შევწუხდი, წმიდა მამაო, თქვენთვის რომ არაფერი დაიტოვეთ-მეთქი. -ნუ ღარდობ, ჩვენ არ მოგვივდება, ღმერთი გამოგვიგზავნისო, - წმიდაო მამაო, თქვენთვის რომ არაფერი დაიტოვეთ მეთქი. - ნუ ღარდობ, ჩვენ არ მოგვივდება, ღმერთი გამოგვიგზავნისო, მომივო და მკითხა, - რა ღირს ჩარხი - 250 ლევი მეთქი, მივეუცე. მაშინ მამა არსენიმ ეკლესიიდან წიგნი მოიტანა და მითხრა: - წადი, კორენეებთან დააგირავე და რამდენიც დაგჭირდეს, აილე, მერე მე გამოვისყიდი. ეს ამბავი ისე განვიცადე, რომ მთელი გზა ვტიროდი.

ვინმე რომ ეწვეოდა, მამა არსენი ჯერ იმას ჰკითხავდა, კმაყოფილი იყო თუ არა ცხოვრებით და რამე ხომ არ უჭირდა. ერთ შემხტევვას კიდევ მოვყვები. ერთმა ჩემმა სულიერმა ძმამ, თეოკლიტემ, მთელი დანაზოვით, ანუ 150 ლევით დღესასწაულისათვის ახალი შესამოსლის ყიდვა გადაწყვიტა. გზაში ეს ფული დაკარგა და ძალიან შეწუხდა. მამა არსენიმ ძმის

მტყუნვარების მიზეზი რომ შეიტყო, ჩანთა გახსნა, ამოიღო, რაც კი გააჩნდა და მისცა. მამა თეოკლიტემ გამოართვა, მაგრამ გზაში დაფიქრდა:

- მე ახალგაზრდა ვარ, მუშაობაც შემიძლია. მათ კი, მოხუცებულებმა და უძლურებმა, უკანასკნელი მომცეს და სწამთ, რომ უფალი გამოკვებავს. მაშ, მე რატომ დამტოვებს უფალი? წავალ და დაუბრუნებ ფულს!

მანამ ფეხებში არ ჩაუვარდა და ცრემლით არ სთხოვა, მამა არსენი ფულს არ ართმევდა. ბოლოს ჰკითხა - აღარ დამწუნრდებიო? არა, წმიდა მამაო, ახლა მიხარია, რომ ფული გამომართეთო - უპასუხა ახალგაზრდა ბერმა.

უდაბნოში დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ ბერებმა იერუსალიმში წასვლა მოიწადინეს მაცნოვრის საფლავის თაყვანისსაცემელად. უფალმაც მალე გამოუჩინა გზა. 1836 წ. წმიდა მთაზე რუსეთიდან მღვდელ-მონაზონი ანიკიტა (თავადი შირინსკი-შანმატოვი) ჩამოვიდა. ეს ბერი ცნობილი იყო მოსაგერობითა და მკაცრი მარხვით. მამა ანიკიტამ სხვა ბერებთან ერთად ჩვენი მამებიც ინახულა. ესაუბრა სულიერ საკითხებზე, და იმდენად შეიყვარა და დაუახლოვდა მათ, რომ მამა არსენი სულიერ მოძღვრად აირჩია. საუბარში შესთავაზა მასთან ერთად წასულაივნენ იერუსალიმში. ბერები დათანხმდნენ. მამა ანიკიტამ მეტად გაიხარა ასეთი თანამგზავრების შემქნით. იერუსალიმში მთელი ზამთარი გაატარეს, აღდგომის შემდეგ ათონს დაუბრუნდნენ. მე თვითონ გამიგია მამა არსენისაგან, თუ რამდენი განსაცდელი გამოიარეს იერუსალიმში მგზავრობისას.

რა განსაცდელი, მამაო? - კკითხე მე, - ნუთუ გზაში საჭმელი შემოგაკლდათ, ან ხიცოვემ შეგაწუნათ? არა, - მიპასუხა მამა არსენიმ, - ყველაფრით უზრუნველყოფილი ვიყავით, უკეთეს ვერც ვინატრებდით: იერუსალიმში თაყვანისსცემლები სულ თუმნიანებს გჭრქნინდნენ. ჩვენ, ღვთის წყალობით, ფული ღარიბ არაბებს დაუერივეთ. არა, სხვა განსაცდელი გქონდა. ამდენი ხანი უდაბნოში ყოფნამ თითქმის მთლად დაგვაიწყო აქ ქვეყანა, იქ კი შუაგულ ამაოებაში აღმოვჩნდით. ყველაზე უფრო მარხვა გვიჭირდა. ყველა რაღაც საჭმლით ინუგეშებდა თავს, ჩვენც გეთავაზობდნენ, პატევს გეცემდნენ. ჩვენ კი ამდენის დატევა არ შეგეებლო, ვწუნდით და ერთი სული გქონდა, ჩვენ-ჩვენს სენაკებში დაებრუნებულიყავით.

წმიდა მთაზე ჩამოსვლის შემდეგ მამა ნიკოლოზი სრულიად განმარტოვდა და არავის იღებდა. გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მასაც და მამა არსენისაც გამოცხადება ჰქონდათ. მამა ნიკოლოზს ესმა ზმა, რომელმაც უთხრა, რომ თითქმის უკვე გადაცურა აბობქრებული ზღვა და სადაცაა მშვიდ ნეთსაყუდელს მიაღწევდა. მამა არსენის კი ეუწყო, რომ იგი უკვე უახლოვდებოდა დიდსა და მშვენიერ ქალაქს და ამქვეყნიური ცხოვრების გზას ასრულებდა. ორივე მიხვდა, რომ გამოცხადება ღვთისაგან იყო და რომ მათი ამსოფლით მიცვალება ახლოვდებოდა. ბერებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მარხვა და ლოცვა და სიკვდილისათვის იწყეს მზადება.

სიკვდილამდე ნახევარი წლით ადრე მამა ნიკოლოზმა მზედველობა დაკარგა, თუმცა სულიერი

თვალთ ყველაფერს ხედავდა. ერთხელ ღმერთმა დაანახა თავისი სათნოყოფიანი, რომელიც ჯერ კიდევ მოღვაწეობდნენ ათონის მთაზე. ამის შესახებ ბერმა თავის მოძღვარს უამბო. მამა არსენის ეპინოდა, მამა ნიკოლოზი ხილვების შედეგად ხიბლში არ ჩავარდნილიყო, ამიტომაც ურჩევდა მათთვის ყურადღება არ მიექცია და მთელი გულით მისცემოდა გლოვას და სინანულს, რათა ღვთისაპოვის ცოდვების მიტევება გამოეთხოვა. მამა ნიკოლოზს, სიბრძნევითან ერთად, სხვა დაავადებებიც დაემატა. ეკლესიაში ვეღარ დადიოდა, ძირითადად სასთუმალზე იჯდა და ისიც დიდი გაჭირვებით; არ უნდოდა დაწოლილიყო. მაგრამ როდესაც მასთან მამა არსენი მივიდოდა ხოლმე და ეტყობოდა: - მამაო ნიკოლოზ, კარგი იქნებოდა წირვა დაგვეყენებინაო, - მხიარულად პასუხობდა ხოლმე: - დააყენე, მამაო!

- კი, მაგრამ, როგორ? შენ ავადა ხარ, მარტო კი ვერ შეძლებ!

- მოვალ და დაგეხმარები, - მტკიცედ უპასუხებდა მამა ნიკოლოზი და მართლაც, დგებოდა და მიდიოდა, კანონსაც კითხულობდნენ, წირვასაც ასრულებდნენ. მამა ნიკოლოზი ყოველთვის ეზიარებოდა, აიღებდა სეფისკვერს და მთელი კვირა ყოფნიდა საზრდელად, სხვას არაფერს იღებდა. ასე გავიდა ნახევარი წელი.

წირვა ყოველ კვირას ტარდებოდა, ზოგჯერ კვირაში ორჯერაც. მკითხველი და მგალობელი კი ბრმა და ავადმყოფი იყო. წირვა ხორციელის შაბათსაც დააყენეს და, ჩვეულებისამებრ, თავ-თავიანთ სენაკებს დაუბრუნდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ მამა ნიკოლოზი მივიდა თავის მოძღვართან, ფეხებში ჩაუვარდა და უთხრა: - მამატიე, წმიდაო მამაო, უდროო დროს მოვედი, მაგრამ რაღაც მაქვს სათქმელი.

- ღმერთმა შეგინდოს, მითხარი, რა გინდა.

- წმიდა მამაო, როდესაც წირვიდან სენაკში დავბრუნდი და საწოლზე დავეკეცი, უცტრად თვალები ამეხილა, ყველაფერი კარგად დავინახე, კარი გაიღო და სენაკი საოცარი სინათლით აიესო. ოთახში სამი კაცი შემოვიდა: ორ ჭაბუკს სანთლები ეჭირა, მათ შორის კი გამოუთქმელი დიდებით გაბრწყინებული მღვდელი იდგა, რომელმაც მომმართა: „მიტანი, მამაო?“

- ეს შენა ხარ, მამაო ანიკიტა, იერუსალიმში რომ გვახლდი მე და მამა არსენის? შენ ხომ უკვე მესამე წელია, რაც მიიცვალე?

- ჭეშმარიტად, მე ვარ, მამაო ნიკოლოზ, ხედავ, რა დიდება მომანიჭა ჩემმა მეუფემ, იესო ქრისტემ? შენც ასეთივე დიდება გელის, ოთხ ღღეში ყველა გაჭირვებისა და ავადმყოფობისაგან გათავისუფლდები, მე უფალმა შენს სანუგეშებლად გამოგზავნა. ამ სიტყვებით ისინი სენაკიდან გავიდნენ, მე მარტო დავრჩი და ისევ დავბრძვდი, გულში კი რაღაც გამოუთქმელი სიხარული შემოვიდა.

- გაფრთხილდი, მამაო ნიკოლოზ, ვაითუ ეს ეშმაკის საცდურია, ხილვებს არ ენდო, ღმერთს მიენდუ და შეწყალება სთხოვე!

მამა ნიკოლოზმა გაუმეორა:

- შემიწოდე, წმიდა მამაო, იყავნ ნება ღვთისა ჩემზედა, მაგრამ გული გამოუთქმელი სიხარულით

მაქვს საყვე. გვედრები, მამაო, ყოველდღე სწირე, მე კი საზიარებლად მოვემზადები.

- შენ თუ შეძლებ, მე ვწირავ, - დაეთანხმა მამა არსენი.

წირვა ჩატარდა კვირასაც, ორშაბათსაც და სამშაბათსაც. მამა ნიკოლოზი ყოველდღე ეზიარებოდა. მან უკეთესობა იგრძნო. ყველიერის ოთხშაბათს ეამნობა ჩატარდა, ხუთშაბათს - კვლავ წირვა. მამა ნიკოლოზი გალობდა და მედავითნებოდა. ზიარების შემდეგ მოძღვარმა, ჩვეულებისამებრ, სეფისკვერი გაუწოდა, მაგრამ მამა ნიკოლოზმა უარი უთხრა და სთხოვა, გაჰყოლოდა. სენაკში მამა ნიკოლოზი საწოლზე დაჯდა. სახე თანდათან ეცვლებოდა, ლოყები უხურდა, თვალები ზეცისკენ ჰქონდა აპყრობილი. მერე გონს მოვიდა და ლაპარაკი დაიწყო: - გმადლობ, წმიდაო მამაო, რომ ბოლომდე იტვირთე ჩემი უძლურება და მიმიყვანე ცათა სასუფეველამდე!

- რას ხედავ, მამაო? - შეეკითხა მამა არსენი.

- ვხედავ, რომ ჩემს წასაყვანად მოვიდნენ, აი, ჩემი ცოდვების ხელწერილი დახიეს... უკვე, მამაო... მაკურთხე!

- ღმერთმა გაკურთხოს! - უთხრა მოძღვარმა.

- ხელით მაკურთხე! - სთხოვა მამა ნიკოლოზმა.

მამა არსენიმ ხელით აკურთხა. მამა ნიკოლოზი ამ ხელს ემთხვია, თვალები ზეცას აღაპყრო, ჩუმად თქვა: - „უფალო, ხელთა შენთა შევედრებ სულსა ჩემსა!“ - და მაშინვე აღესრულა.

ჭეშმარიტად, „პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვილი წმიდათა მისთა“ (ფს. 115.6). მამა ნიკოლოზი 1841 წლის 6 თებერვალს, ყველიერის ხუთშაბათს გარდაიცვალა. ჩვენ მაშინ რუსიკში ეცნობოდით. ეს ამბავი მხოლოდ შაბათ საღამოს გავიგეთ, კვირას ყველანი იქ ვიყავით. მამა ნიკოლოზი ცოცხალივით იწვა, ოდნავადაც არ იყო შეცვლილი. ხელ-ფეხიც არ ჰქონდა გახეუბული, ბაგიდან კი გუნდრუკის მსგავსი სურნელი ამოსდიოდა. მთელი ძმობა ხარობდა და ღმერთს ადიდებდა.

მამა ნიკოლოზის გარდაცვალების შემდეგ მამა არსენი მარტო ცნობდოდა. მოწაფეებს არ იღებდა და თავადაც ემზადებოდა აღსასრულისათვის. ერთი წლის შემდეგ ღვთისაგან ეუწყა, რომ რამდენიმე ხანი კიდევ დარჩებოდა ამქვეყნად სხვათა სასარგებლოდ. მაშინ მამა არსენიმ ყველას მიღება დაიწყო, ვისაც კი მასთან ცნობებდა უნდოდა. მოკლე ხანში რვა კაცი შეგროვდა. სივიწროვის გამო ისინი სხვა სკიტეში, ყველაზე შორეულ უდაბნოში გადავიდნენ და ერთ დიდ სენაკში დაშკვიდრდნენ.

სკიტეს მამებმა დიდად გაიხარეს ასეთი დიდმნათობის მათთან გადმოსვლით. სამაგიეროდ, მასთან განშორებას მწარედ განიცდიდნენ კარეისა და კასპალის მახლობლად მცხოვრები ძმები, თუმცა კი, მიუხედავად იმისა, რომ გზა გრძელი და რთული იყო, ისინი მაინც განაგრძობდნენ თავიანთ მოძღვართან სიარულს. მამა არსენი ურჩევდა, ვინმე ახლოს მცხოვრები ბერი აერჩიათ მოძღვრად, მაგრამ ძმები პასუხობდნენ: - წმიდა მამაო, მოძღვარი ბუკრია, მაგრამ მამასა და მანუგეშებელს სხვას ვერავის ვაოკებთო.

მამა არსენისთან მცხოვრები მოწაფეების უმრავლესობამ ვერ დაიტოვა მისი შაკერი ცხოვრების წესი და სრული უპოვარება, ამიტომაც კურთხევა სთხოვეს სხვაგან წასვლისა. მამა არსენი არიგებდა და ეუბნებოდა: - საყვარელო შვილებო, რითი ხართ უკმაყოფილონი? ნუთუ რაიმეთი დაგამძიმეთ? თუ შრომა გაგიჭირდათ, დაჯექით სენაკებში, მღუპარება დაიძარბეთ, ოღონდ თქვენს კანონსა და წირვა-ლოცვას ნუ მიატოვებთ. იესოს ლოცვაში ივარჯიშეთ, ღმერთზე იფიქრეთ, ყოველნაირად ეცადეთ შინაგანი კაცის განწმენდასა და ეშმაკისაგან შემოთავაზებულ აზრებზე უარისთქმას. იქნებ საკვებითა ხართ უკმაყოფილონი? ნურც ამაზე ინაღვლებთ. უფალი ჩვენს სანუგეშებლად ყველაფერს გამოგვიზავნის. განა მან არა თქვა: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიძარტელსა მისსა, და ესე ყოველი შეგემინოს თქვენ“ (მთ.6,33). მაგრამ მორჩილები დრტივინგას განაგრძობდნენ: „ვის შეუძლია დაიტოვოს ასეთი უპოვარება? რასაც უფალი გვიზავნის, იმასაც სხვას ურიგებ!“ ამაზე ხუცესმა უპასუხა: „ვისაც ჩემთან ცხოვრება გსურთ, მე მომბამეთ, ვისაც არა და - კურთხევას გაძლევთ, სადაც გინდათ, იქ იცხოვრეთ. მხოლოდ ათონის მთას ნუ მიატოვებთ, თუ ღმერთის განსაკუთრებული განგება არ იქნება!“

ბევრმა მართლაც დატოვა მამა არსენი, თუმცა მხოლოდ ზორციელად, სულით კი ისევ მასთან იყვნენ მიჯაჭვულნი. ჭეშმარიტად ასეა, როგორც თქვა მოციქულმა: „ყოველთავე რომელთა ჰნებაგს ღმრთის მსახურებით ცხოვრება ქრისტე იესოს მიერ, იღვენენ“.

მამა არსენი ბევრ რამეს ცვლიდა ათონის მთაზე და ვერაინ ეწინააღმდეგებოდა. მისი კურთხევით რუსიკში რუსები შევიდნენ, ზოგს ძალითაც ტოვებდა ხოლმე ათონის მთაზე, ზოგს კი, პირიქით, სხვაგან უშვებდა.

მასზე ბევრ საოცარ ამბავს ყვებოდნენ. ერთხელ, 1839 წელს, კორენეების სენაკში მძიმე ავადმყოფი ბერი იწვა, სახელად იოასაფი. ერთ ღამეს ძალიან ცუდად გახდა და მოძღვრის მოყვანა ითხოვა. მაშინ კორენეებთან სტუმრები იყვნენ. ორი მათგანი ფარნებით წავიდა მამა არსენთან. მანძილი 5 ვერსზე მეტი იყო, ღამე - ბნელი და წვიმიანი; მამა არსენთან მივიდნენ და მდგომარეობა აღუწერეს, ძალიან სთხოვეს, ეჩქარა და მათთან ერთად წამოსულიყო, - მართლაც, უნდა ვიჩქარო, კვდება. თქვენ წადით, მე უცებ მოვემზადები, ჩემი ფარნით წამოვალ და დაგვევით, - უპასუხა ბერმა და არაფრით დათანხმდა მათ ხელმეორე თხოვნას, ერთად წასულიყვნენ. მგზავრები დამორჩილდნენ, თან ნერვიულობდნენ, როგორ წამოვიდოდა მართო მამა არსენი ამ წვიმაში და სიბნელებაში. იმისიც ეშინოდათ, ვაითუ ცოცხალს ვეღარ მიუსწროსო. როდესაც კორენეებთან მივიდნენ, მამა იოასაფი უკვე გარდაცვლილი დახვდათ. მათ დაგვიანების მიზეზი რომ ჰკითხეს, მიუგეს, ჩვენ, პირიქით, ვჩქარობდით, რომ ცოცხლისთვის მიგვესწრო. ბერებმა არ დაუჯერეს - თავს რად იმართლებთ? ალბათ, სადმე შეიარეთ, მოძღვარი ნახევარ საათზე მეტია, რაც მოვიდა, აღსარებაც მიიღო, აზიარა კიდეც და განტეგების ლოცვაც წაუკეთხა. მამა იოასაფი ეს წუთია, რაც გარდაიცვალაო. გაკვირებულმა

მგზავრებმა თვით მამა არსენს ჰკითხეს, ასე სწრაფად როგორ მოხვედით. მან უპასუხა - დაყოვნება არ შეიძლებოდა, ძლივს მიეუსწარი ცოცხალს. მე მოკლე გზით წამოვედი, თქვენ ის გზა არ იცითო. ბერებმა აღარაფერი უთხრეს მამა არსენის, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ სხვა გზა არ არსებობდა, გარდა იმ გზისა, რომლითაც წინასწარმეტყველ ამბაკომს პალესტინიდან ბაბილონში, ორმოში მჯდომ წინასწარმეტყველ დანიელთან დაჰქონდა საჭმელი. ასევე მივიდა მამა არსენი სხვა ორ ავადმყოფთანაც.

კიდევ ერთი საოცარი ამბავი მოხდა. 1845 წლის 4 ივლისს მამა არსენიმ გადაწყვიტა ღირსი ათანასე ათონელის ლავრაში წასულიყო დღესასწაულზე. გზას დიდას, წირვის მერე დაადგა. ღამისთვის ლოცვისათვის უკვე იქ იყო. ლოცვასა და წირვას ლავრაში დაესწრო (16 სთ. გრძელდებოდა). მთელი ეს დრო ბერი არ დამჯდარა. ტრაპეზზე აღარ დარჩა, პური აიღო და მწუხრისათვის უკვე თავის სენაკში იყო. ამ ამბავმა ყველა გააოცა: ამ სიგრძე გზის გასაეღვლად ახალგაზრდასაც კი სამი დღე დასჭირდებოდა. მან კი, 70 წლის უძღურმა მოხუცმა, სწული ფეხებით დღენახევარი მოანდომა, თანაც 16 საათი წირვა-ლოცვაზე იდგა. შეკითხვაზე, თუ როგორ შეძლო ასე ჩქარა სიარული ამ ქვიან და მწილადსავალ გზაზე, ბერმა უპასუხა: „განახლდა, ვითარცა ორბისა, სიჭბუბუკე ჩემი“ (ფს. 102,5), არა ბუნებით, არამედ ღვთის შეწვევითო

სიცოცხლის ბოლო წლებში, როდესაც მის მიერ დამუშავებული ბოსტანი ნახეს, ჰკითხეს, ამდენს რატომ მუშაობ, ან დარატომ არ იხმარ მოწაფეებსო, მიუგო: „მე ბევრი აღარ დამრჩენია, ხოლო მოწაფეები კიდევ მოესწრებიან.“ ბოლოს, უკვე ისე დაუავადდა ფეხები, რომ ვეღარც მუშაობდა და ვეღარც დადიოდა, მაგრამ კვირაში ოთხჯერ წირვას მაინც აყენებდა: კვირას, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს, თუმცა კი, ძალიან უჭირდა. ბარძიმის გამოსვენებისას მოწაფეებს ეყრდნობოდა. დიდმარხვის მეხუთე კვირის შაბათს ძლივსდა შეძლო მსახურება. იმავე დღეს, 23 მარტს, მთელ ათონის მთაზე აცნობეს მის მოწაფეებს, რომ სასწრაფოდ მისულიყვნენ მოძღვართან, რათა მას უკანასკნელად დაელოცა. 24 მარტს, დილიდანვე ყველამ მასთან მოიყარა თავი. ერთ-ერთმა მოწაფემ ჰკითხა: - ნუთუ გეტოვებ, წმიდაო მამაო? ნუთუ მიდინხარ?

- დიან, დრო მოვიდა, - უპასუხა ბერმა.
- მამაო, სიკვდილისა არ გეშინია? არ ძრწინხარ უფლის წინაშე წარდგომისა და პასუხისკების შიშით? შენ რომ უკვე 30 წელზე მეტია, რაც სულიერი მოძღვარი ხარ!

- შიშსა და ძრწოლას არ განვიცდი, - უპასუხა მამა არსენიმ, - პირიქით, ჩემი გული საოცარი სინარულით იესება და იმედი მაქვს, რომ უფალი მაინც არ დამტოვებს, რამეთუ მოწყალე არს და კაცთმოყვარე. თუმცა კეთილი საქმეები არ გამაჩნია, მხოლოდ საკუთარი უძღურებით თუ დავიკვებნი და, თუკი რამ გამიკეთებია, ღვთის ნებითა და შეწვევით.

შემდეგ ბრძანა, რიგრიგობით მისულიყვნენ მასთან. ყველა სათითაოდ დამოძღვრა, შენდობა მისცა, უკანასკნელად აკურთხა და ურჩია, სად და როგორ

გაგერძელებინა მოღვაწეობა. და მხოლოდ უკანასკნელ წუთებში ითხოვა მარტო დარჩენა. მოწაფეები ხედავდნენ, თუ როგორ ლოცულობდა, სამჯერ აღაპყრო ხელები, შემდეგ დაუსვა და მიჩუმდა. როდესაც მიუახლოვდნენ, ნახეს, რომ უკვე მიეზარებინა სული უფლისათვის, რომელიც სიყრმიდანვე შეიყვარა და რომელსაც ბოლომდე ემსახურა.

დაიწყო მზადება დაკრძალვისათვის. როდესაც ფეხზე გახადეს, შემზარავი სურათი იხილეს: ორივე წვივიდან მარტო ძვლებიდა ჰქონდა დარჩენილი, ხორცი კი ჭრილობებისა და ხანგრძლივი დგომისაგან მთლიანად დაჩირქებულიყო. ასეთი ავადმყოფის არათუ სიარული, ფეხზე დგომაც წარმოუდგენელი იყო. მამა არსენის კი არასოდეს უთქვამს, რომ ფეხები სტკიოდა, დამჯდარს იშვიათად თუ ნახავდით, ათონის მთაზე ჩიტივით დაფრინავდა, მისგან ოდნავი სუნიც არ იგრძნობოდა.


მამა არსენი წმიდა სამების სენაკში დაკრძალეს, 1846 წლის 25 მარტს. 24 წელი მოძღვრავდა მთელ რუს მშობას, და არა მარტო რუსებს - ბერძნებს, ბულგარელებს და მოღვაწეებსაც.

მამა არსენი საშუალო სიმაღლისა იყო, ქერა, ჭადარაშერეული წვერით. თავი ოდნავ მარჯვნივ გადახრილი ეჭირა ხოლმე. გამომეტყველება მუდამ მშვიდი და მხიარული ჰქონდა, თვალები - ცრემლიანი. ტანად ხმელი იყო, სახეზე ყოველთვის სიწითლე

გადაჰკრავდა, განსაკუთრებით მღვდელმსახურებისას. ლიტურგიის დროს მისი სახე თითქოს ცეცხლოვანი ხდებოდა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. მეტყველება მშვიდი, უბრალო და მტკიცე ჰქონდა, ზედმეტი მოფერება და გამეორება არ ახასიათებდა. საკმაოდ კარგად იცოდა წმიდა წერილი და მამათა სწავლანი. მასთან მცხოვრებ მოწაფეებს არასოდეს ენახათ მძინარე ან წამოწოლილი, მუდამ ლოცვით, კითხვითა და ხელსაქმით იყო დაკავებული.

მამა არსენის სწავლებანი ყველაფერში ძველ მამებს ეთანხმება. როგორც თვითონ ცდილობდა, ისევე სხვასაც მკაცრად შთააგონებდა, ყველაფერი ღვთის ნებითა და გამოცდილი ხუცეების რჩევით ეკეთებინათ, და საკუთარი თავის სრულ უარყოფას მოითხოვდა, ამიტომაც ბევრი ვერ უძლებდა მასთან ცხოვრებას. რუსებიდან ასეთი ბერი ათონზე აღარავინ დარჩა, ვინ იცის, იქნებ ოდესმე გამოჩნდეს. თუმცა კი მრავალი ბერი მოღვაწეობს, მაგრამ მამა არსენისნაირი განსჯის უნარი არავისა აქვს. სამი წლის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან საფლავი გათხარეს, როგორც ათონზე სწვევიათ. მისი ძვლები ცვილივით ყვითელი იყო და ნელსურნელებას აფრქვევდა.

ითარგმნა მცხეთის წმინდოს დედათა მონასტარში



14(27) სექტემბერი
მსოფლიო ავადღება კატიონისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა
აცხოვნე, უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვართა ბარბაროსთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მონიჭე და საფარველსა ქვეშე ჯვარისა შენისა დაიცვე რათა ვიტყოდეთ: უფალო, დიდება შენდა!

ДЖВАРИ ВАЗИСА
КРЕСТ ИЗ ЛОЗЫ ВИНОГРАДНОЙ
№ 3, 1992

В настоящем номере журнала помещена проповедь епископа Игнатия Брянчанинова "О вечной жизни", в которой святой отец наставляет своих духовных чад как жить, чтоб возлюбил их Господь, чтоб избежать ад и удостоиться Царства Небесного.

Цель проповеди отца Георгия (Схиртладзе) "Вопросы демонологии в православном учении" показать контуры учения православной церкви о демонологии.

Проповедь "Выросли наши дети учением и наставлениями Господа" указывает как в нынешнее время воспитывать детей в духе православной церкви и какие существуют способы для достижения этой цели.

Работу "О происхождении святых каппадокийских отцов" профессор Элгуджа Хинтибидзе посвящает выяснению вопроса о происхождении святителей христианской культуры и науки святых каппадокийских отцов - Василия Великого, Григория Нисского и Григория Назианзского.

В проповеди "Благодатный огонь на могиле Спасителя" рассказывается о нисшествии небесного огня на могилу Господа в день Пасхи.

Епископ Давид в своей проповеди объясняет духовное значение вечерни.

В настоящем номере продолжается публикация статьи архимандрита Рафаэля "Икона - "Слава грузинской церкви", в которой можно ознакомиться с описанием этой величественной иконы, узнать о значении этой иконы для духовной жизни грузинского народа.

Эквтите Кочламазашвили исследует значение древнегрузинского термина "корикози" и духовного - "викарии".

"Афонские отцы XIX века" Антония Святогора рассказывает о жизни и деятельности отцов Иоакима (по происхождению грека) и Арсения (русского).

В журнале напечатаны тропары Вознесения Господа, Усыпления Богородицы, Иоанна Крестителя, пророка Ильи (Тезбитского), Ильи Правдивого (Чавчавадзе), Рождества Богородицы, Вознесения Креста.

JVARI VAZISA
CROSS OF VINE
N 3, 1992

The preaching - "About Salvation", by Bishop Egnate Bryanchaninov is published in the present issue of the journal. The Holy Father advises His spiritual children what to do, in order to be devout to the Lord, to escape damnation of hell and find eternity.

The purpose of the preaching - "The Problems of Demonology in the Orthodox Catechism", by Father George (Skhirtladze), is to outline the Orthodox catechism on demonology.

The preachig "Bring Up Our Children According to the Confession of the Lord", tells us how to bring up a Christian child in the spirit of Orthodox Church, in the contrmporary conditions and what are the means of achieving this goal.

The problem of the origin of Great Cabadocian Fathers - Basily the Great, Grigol of Nosa and Grigol of Nazianzi, the greatest representatives of Christian culture and science, is researched in trhe work by professor Elguja Khintibidze - "About the Origin of Cabadocian Holy Fathers".

The preaching - "Gracious Fire on the sepulchre of the Saviour", tells us about coming the heavenly fire onto the sepulchre of the resurrected Lord.

The spiritual meaning of vespers is explained in the preaching by Bishop David.

Archimandrite Raphael continues the article from the previous issue of the journal - "The Icon - Glorification of Georgian Church", describing the glorious icon, speaks about its importance in the spiritual life of Georgian nation.

Ekvtime Cochlamazashvili discusses the meaning of old Georgian spiritual terms of Vicar, in his research.

The article - "Fathers of Athos in the 19th centure", by Antony of Mtatsmida, tells us about the life and merits of Father Ioakim (the Greek) and Father Arseni (the Russian).

The troparions of the Ascencion of the Lord, Dormition of the Holy Virgin, John the Baptist, Elias the Prophet (of Tesbity), Ilia the Rightous (Chavhavadze), Nativity of the Virgin, Elevation of the Cross are printed in the journal.

0330

